K 133488
3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მცირე
# ქრონიკები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი

# მცირე ქრონიკები

## (კინკლოსების ისტორიული მინაწერები)

ტექსტები გამოსცა, შესავალი წერილი და კომენტარები
დაურთო ჯუმბერ ოდიშელმა

K 133488
3

გამომცემლობა „მეცნიერება"
თბილისი
1968

ეროვნული ბიბლიოთეკა

~~90(C41)~~
902.4(47.922)
~~ə977~~

ნაშრომი წარმოადგენს კინკლოსების (აღდგომისა და მასთან დაკავშირებული მობილური საეკლესიო დღესასწაულების დასაანგარიშებელი ციკლური ცხრილების) ისტორიული მინაწერების კრიტიკულ გამოცემას, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული ყველა ნუსხის მიხედვით. ტექსტებს ერთვის კითხვასხვაობები ადრინდელ გამოცემებთან.

გამოკვლევაში ნაჩვენებია კინკლოსების ისტორიულ მინაწერთა მნიშვნელობა, როგორც საქართველოს ისტორიის წყაროსი, განსაკუთრებით მათი ფასეულობა ისტორიული ქრონოლოგიის თვალსაზრისით. არის ცდა ამ მცირე ქრონიკათა ცალკეული ცნობებისა და საერთოდ განსხვავებულ ქრონიკათა ურთიერთობის დადგენის, მათი კლასიფიკაციის.

კომენტარებში, არსებული წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის მონაცემების თვალსაზრისით, შეფასებულია კინკლოსურ ცნობათა რაობა, მათი ღირსება-ნაკლოვანება. ტექსტებს დართული აქვს საკუთარ სახელთა საძიებელი.

ᲨᲔᲛ-2000
ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲣᲚᲘᲐ

$\frac{1-6-1}{117-68 \text{ ადგ.}}$

145 გვ. ი.ტ.
ə223
-55

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შესავალი

ისტორია პირველ რიგში ამბავთა, მოვლენათა გადმოცემაა ამა თუ იმ საზოგადოების განვითარებისა და წარმოუდგენელია ადგილისა და დროის მინიშნების გარეშე. ამდენად, საერთოდ ისტორია და განსაკუთრებით პოლიტიკური ისტორია არ არსებობს ისტორიული ქრონოლოგიისაგან დაცილებით.

ქართული ისტორიოგრაფია სამწუხაროდ ღარიბია ისტორიული ქრონოლოგიის თვალსაზრისით. „ქართლის ცხოვრების" კრებულში შესულ თხზულებათა ნაწილში ქრონოლოგიური მასალა მწირია. მაგალითად, ჟამთააღმწერელთან თარიღები საერთოდ არ არის.

ისტორიოგრაფიის თვალსაზრისით უარესი მდგომარეობაა მოგვიანო შუა საუკუნეებში: XV—XVI სს. ამ პერიოდის ქართული თანადროული ნარატიული წყაროები (უმნიშვნელო გამონაკლისით) საერთოდ არ გაგვაჩნია. დაგვრჩენია ვიფიქროთ, რომ ამ ხანის ისტორიული თხზულებები ძნელბედობის ხანაში განადგურდა, ანდა იმავე ჟამთა სიავის, მეტად არახელსაყრელი საშინაო და საგარეო პირობების გამო, ქართულმა ფეოდალურმა საზოგადოებამ ისტორიოგრაფიისთვის ვერ მოიცალა და ასეთი თხზულებები აროდეს გვქონია. ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ უკვე ვახტანგ VI-ის დროისათვის ზემოაღნიშნული პერიოდის ნარატიული ორიგინალური ისტორიული ძეგლები აღარ გაგვაჩნდა.

ყოველივე ზემოთქმულის გამო საქართველოს პოლიტიკური ისტორიის შესასწავლად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ე. წ. ქრონოგრაფიულ მასალას.

ქრონიკა ისტორიული თხზულების ტიპია, ჯერ კიდევ ანტიკურიდან რომ მოდის და განსაკუთრებით შუა საუკუნეებში ვითარდება. როგორც თვით სახელწოდება გვამცნობს, ქრონიკაში ამბები წლების მიხედვითაა დალაგებული. დასავლეთ ევროპაში ქრონიკები განვითარდნენ მოკლე წლიური ჩანაწერების—ანალების სახით.

ქრონიკები იქმნებოდნენ ძირითადად მონასტრებში (ბ[illegible]) — საეპისკოპოსო ქალაქებში, მსხვილი ფეოდალების კარზე. ცენტრალიზებულ სახელმწიფოთა წარმოქმნასთან ერთად შეიქმნა ვრცელი ქრონიკები ე. წ. „სამეფო კრებულები“ (დიდი ფრანგული ქრონიკები, სენტოლბანური ქრონიკები — ინგლისში, პრაღული ქრონიკები — ჩეხეთში, სამეფო ქრონიკები — ესპანეთში და ა. შ.). დაქუცმაცებულ გერმანიაში, იტალიაში მთავარი მნიშვნელობა შეიძინეს ე. წ. ქალაქურმა ქრონიკებმა. ევროპაში XIII საუკუნიდან ქრონიკების შედგენა ძირითადად საერო პირების ხელში გადადის. ხალხში გავრცელებული იყო ლექსად გაწყობილი ქრონიკები. რუსეთში ქრონიკებს შეესაბამება ე. წ. летописи.

ქრონიკათა საერთო მასიდან პირობითად შეიძლება გამოიყოს მცირე ქრონიკები, ქრონოგრაფიები, სადაც ამბები მშრალად მოკლედაა გადმოცემული წლების მიხედვით. ტიპიურ ქრონოგრაფიას წარმოადგენს საქართველოს სინამდვილისათვის ე. წ. პარიზის ქრონიკა[1]. გვაქვს აგრეთვე სხვა ქრონოგრაფიები: მესხური დავითნის, ერისთავების დაუჯდომელის, ე. წ. „წიგნი ქორონიკონნი“, ანუ ლექსთა კრება (H — 1164) და სხვ[2]. ქართული ქრონოგრაფიების ტრადიციაზე დაყრდნობით არის შედგენილი ვახუშტი ბაგრატიონის ქორონიკონები.

ჩვენი შესწავლის მიზანს შეადგენს არა საერთოდ ყველა ქართული ქრონიკა, არამედ პირველსახე ქართული ეროვნული ქრონოგრაფიისა, ე. წ. კინკლოსების ისტორიული მინაწერები.

ქრონოგრაფიების შესწავლის საკითხთან დგას საკითხი საკუთრივ ქრონოლოგიისა. საქართველოში ცნობილი იყო სამი ერა, ანუ სისტემა წელთაღრიცხვისა: დასაბამიდან, „ქრისტესით“ და ქორონიკონული. ქორონიკონულ სისტემაზეა დაყრდნობილი კინკლოსი, ციკლური ცხრილი, მოწოდებული აღდგომისა და მასთან დაკავშირებული მობილური საეკლესიო-რელიგიური დღესასწაულების დასადგენად.

პასექის დღესასწაულის გავლენა საეკლესიო წელიწადის დადგენაზე ქართველებში, ისევე როგორც სხვა ქრისტიანულ ხალხებში, მეტად დიდი იყო. პასექი რელიგიურ დღესასწაულთა დღესასწაულია ებრაელთა შორისაც და აქედან მოდის რაბინთა უამრავი ნაშრომები ამ დღესასწაულის გასარკვევად, მზისა და მთვარის მოქცევათა ასტრონო-

---

[1] პარიზის ქრონიკა, ზ. ჭიჭინაძის გამოც., 1903; Chronique Géorgienne, traduit par M. Brosset jeune, პარიზი.

[2] სამხრეთ საქართველოს ისტორიული მასალები (XV—XVI სს), ქრ. შარაშიძის, გამოც. 1961; Э. Такайшвили, Хроника эриставского акафиста, Сборник материалов для описания местностей и племён Кавказа, вып. XXIX отд. I, стр. 95—114.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიული ურთიერთმიმართების დასადგენად. ციკლების კომბინაციათა მრავალგვარობა, წესების, ტერმინთა სხვაობა ყველაფერი ეს აღმოსავლური და არამარტო აღმოსავლური ქრონოლოგიური საკითხების შესწავლის სირთულეს შეადგენს.

პასქალური ციკლების საფუძველია 532-წლიანი ციკლი. ფიქრობენ, რომ ეს რიცხვი ეგვიპტეშია გამოთვლილი ასტრონომიულ საფუძველზე. იგი მზისა და მთვარის მოქცევათა ნამრავლია. ქართული კინკლოსებიდან ეს კარგად იცოდა ვახუშტიმ, რომელიც აღნიშნავს: „რადგან მზის მოქცევა 28 არს და მთვარისა 19, და ესენი გასწორდებიან 532 წელს, ესრეთ, 28-ჯერ მოიქცევიან და ისევ პირველსავე მოჰყვებიან, და ამის ნაკლებ წილს არაოდეს შესწორდებიან“[3].

კარგად არის ცნობილი საქართველოში ქორონიკონული წელთაღრიცხვის შემოღების თარიღი. ამ წელთაღრიცხვის პირველი წელია 781, ხოლო კ. კეკელიძის გამოთქმა რომ ვიხმაროთ annus nullus-ი არის 780 წ. დასაბამიდან ქართული ქრონოლოგიური ერის მიხედვით 532-იანი ციკლი ამ წელს უკვე 12-ჯერ მოქცეულა[4]. ამ დროიდან, ე. ი. XIII მოქცევიდან მოკიდებული ქორონიკონული წელთაღრიცხვით ქართველი კაცი, პირველ რიგში ქართული ისტორიოგრაფია, მოვლენათა დასათარიღებლად იძლევა რიცხვს პასქალური 532-იანი ციკლის ფარგლებში. ნამდვილი თარიღის მისაღებად XIII მოქცევის ქორონიკონებს უნდა დაემატოს 780 წელი, ხოლო XIV მოქცევისას 780+532=1312 წ. ქორონიკონული წელთაღრიცხვით ამჟამად ჩვენ XV მოქცევაში ვიმყოფებით.

პასქალური ციკლის შიგნით თვის რიცხვები წლიდან წლამდე იცვლება, მობილურია აღდგომის დღესასწაულიც, ხოლო ერთი სრული 532-იანი ციკლის დასრულების შემდეგ კვირის, თვისა და წლის დღეები უცვლელი თანმიმდევრობით მეორდებიან მომდევნო ციკლში. ეს მიღწეულია სწორ ასტრონომიულ საფუძველზე დამყარების გამო, მაგრამ დაწყება ქორონიკონული წელთაღრიცხვისა უკავშირდება რელიგიურ-ბიბლიურ ათვლას ქვეყნის გაჩენიდან. ვინმე ანდრიას მიერ შემოღებული 5604-წლიანი ქრონოლოგიური ერიდან გამოდის 532-წლიანი „ქორონიკონიცა“ და დასაწყისიც ამ ქორონიკონისა—780 წელი. ამიტომ, როგორც სამართლიანად შენიშნავდა კ. კეკელიძე „...ქორონიკონის ერა თითქოს, ერთის შეხედვით, ასტრონომიულ საფუძველზეა აგებული, მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით. ნამდვილად იმასაც რელიგი-

---

3 ვახუშტი, საქართველოს ისტორია, თბ., 1885, გვ. 1.

4 იხ. არჩილ ბარამიძე, ძველი საქართველოს ქრონოლოგიის საკითხები XIX საუკუნის ისტორიოგრაფიაში „მაცნე“, 1964, № 4, გვ. 176.

ური საფუძველი აქვს, რადგანაც მის გამოსავალ წერტილსაც „ქვეყნის გაჩენა“ შეადგენს“[5]. უფრო სწორად ქართული ქორონიკონული წელთაღრიცხვა რელიგიურ-ასტრონომიულ საფუძველზეა დამყარებული.

რელიგიური საფუძვლით ხსნის კ. კეკელიძე საკითხს, თუ რატომ იწყებენ ქართველები ქორონიკონულ წელთაღრიცხვას 781 წელს[6]. იგი ამ მოვლენას უკავშირებდა სომეხ-ქართველთა კონფესიურ განხეთქილებას[7]. ორი დაპირისპირებული ეკლესია გაიმიჯნა კულტურულ-რელიგიური ურთიერთობის თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვან საკითხშიც—პასექის დადგენის საქმეში. ამ მოსაზრებას ისიც ამტკიცებს, რომ ქართველები ყოველთვის აღნიშნავდნენ აღდგომის დღესასწაულის აღრევას სომეხთა მიერ: „სომხებს აღდგომა შეეშალათ, თევდორობის კვირა ჭამეს, აღდგომა კვირაცხოვლობას დაიყენესო“[8].

კინკლოსებში წელთაღრიცხვა მარტივი, ქორონიკონული სისტემითაა წარმოდგენილი. თითოეული სტრიქონი ცხრილისა ერთ წელს შეეფარდება. სტრიქონები ოთხეულებად არის დაყოფილი ნაკიანი წლების მიხედვით. კინკლოსური ცხრილის უმეტესად მარცხენა ან მარჯვენა აშიაზე მითითებულია ქორონიკონის თარიღი, რომელიც უმეტეს შემთხვევებში XIV მოქცევისაა. რიგ შემთხვევებში, როდესაც საქმე გვაქვს მე-13 მოქცევასთან, ქორონიკონულ თარიღთან ერთად მოცემულია თარიღი ქვეყნის გაჩენიდან, დაანგარიშებული ქართული ან ბერძნული წელთაღრიცხვით.

ამრიგად, კინკლოსი ტაბულა-ცხრილია ჟამთა მსვლელობისა, წლიდან წლამდე. აშიებზე, სტრიქონებს შუა დარჩენილი ადგილები გამოიყენეს ქრონისტ-მემატიანეებმა, ადგილის სიმცირის გამო ლაკონიურად ისტორიული ხასიათის მინაწერები ჩაწერეს და საეკლესიო-ლიტურგიკული ცხრილები ამავე დროს საერო ხასიათის ქრონიკებადაც იქცნენ. თითქოს ყველაფერი მარტივია ამ ქრონიკებით სარგებლობისას. საჭიროა გულდასმით ამოვიკითხოთ ადგილის სიმცირის გამო წვრილად დაქარაგმებული, ხშირად დაუდევრად გაკეთებული ისტორიული მინაწერი. შემდეგ მინაწერის სტრიქონის შესაბამისად გამოვთვლით ქორონიკონის აღნიშვნიდან სტრიქონთა ანუ წელიწადთა რაოდენობას, დავუმატებთ, მოქცევის შესაბამისად, 780 ან 1312 წ. და მივიღებთ თა-

---

5 კ. კეკელიძე, წელთაღრიცხვა ძველ საქართველოში, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, 1945, გვ. 326.

6 სამართლიანადაა გაკრიტიკებული მ. ბროსეს, ვ. ბოლოტოვის, დ. ჩუბინაშვილის შესაბამისი მოსაზრებანი, კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 333.

7 კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 332.

8 კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, A—873; М. Джанашвили, Описание рукописей, III, გვ. 114.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიღს. მაგრამ კინკლოსების ისტორიული მინაწერების თარიღები ხში-რად მცდარია. ისინი კომენტირების საფუძველზე კორექტირებას [illegible] როებენ.

ქართული, როგორც ისტორიული, ისე ტექნიკური ქრონოლოგი-ის დიდი სპეციალისტი მარი ბროსე გულისტკივილით აღნიშნავდა: „ძლიერ არეული და ძალიან რთული საქმეა შესწავლა ქართული ქრო-ნოლოგიისა, როგორც ზუსტი თარიღების ნაკლოვანების, ისე ამ დარგ-ში მომუშავე ავტორთა ხშირი არათანმიმდევრულობისა და მათ შორის თანხმობის ნაკლებობის გამო. საეკლესიო ანუ რელიგიურმა წელიწად-მა, რომელიც მსოფლიოს ყველა ქვეყანაში საფუძვლად, წესად უძევს ცივილურ წელიწადს, აქ ხშირ პოლიტიკურ გადატრიალებებში ცვალე-ბადობა განიცადა და თავის მხრივ ამ უკანასკნელზე (საერო წელიწად-ზე — ჯ. ო.) იქონია გავლენა, რასაც ყოველთვის ექნება ადგილი პოზი-ტიური ასტრონომიული ცოდნის ნაკლებობისას“[9].

კინკლოსური ქრონიკების ერთი ან ორწლიანი მცირე შეცდომების ახსნა მარტივად არის შესაძლებელი. შეცდომის საფუძველი სუბიექ-ტურ ნიადაგზეა წარმომდგარი — ისტორიული მინაწერი სხვადასხვა პირმა, მინაწერის გრაფიკული პოზიციის, მისი ხასიათის გამო, შეიძ-ლება სხვადასხვა სტრიქონს მიაკუთვნოს და განსხვავება ერთ ან ორ წელიწადში იქნება[10]. საშუალო საუკუნეებში ცნობილია რომ პლაგია-ტის გაგება არ არსებობდა. უმეტესი ნაწილი ქრონიკებისა პირწმინდა-დაა გადმოღებული სხვა ქრონიკიდან, ან სხვა ქრონიკების ცნობათა კომპილაციაა. ერთი კინკლოსური ქრონიკიდან მეორეში ისტორიული მინაწერების გადატანისას გადამწერებს შეეძლოთ დაეშვათ და დაშვე-ბულიც აქვთ შეცდომები, როგორც მინაწერის შესაბამის სტრიქონთან გაკეთების თვალსაზრისით, ისე სიტყვათა კალმისმიერ დამახინჯების ხაზით.

თავისი შინაარსით კინკლოსების ისტორიული მინაწერები მოიცა-ვენ მეფე-მთავართა ზეობის წლებს, მტრის შემოსევებისა და ბრძოლე-ბის თარიღებს, ცალკეული ფეოდალური გვარების საოჯახო ქრონი-კებს. კინკლოსური ქრონიკები ერთგვარად შეზღუდული ხასიათისა არიან. ისტორიული მოვლენების თვალსაწიერი ვიწროა და ქვეყნის ის-ტორია გარემომცველი სამყაროსაგან კარჩაკეტილადაა წარმოდგენი-

---

[9] Chronique Géorgienne, traduit par M. Brosset jeune, Paris, გვ. I; იხ. აგრეთვე M. Brosset. De la chronologie technique géorgienne, ecclésiastique et civile, M‘elanges asiatiques bull. de l'acad. imp. VIII, 1875.

[10] Е. Такайшвили, Хроника эриставского акафиста, Сборник материалов для описания местностей..., вып. XXIX, 1901, отд. I, стр. 101.

ლი. მახლობელ აღმოსავლეთში ოტომანთა იმპერიის წარმოქმნის ამბებთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა: „გასაოცარია, მაგრამ იმდროინდელ ქართულ კინკლოსებს თუ დავაკვირდებით, ისეთს შთაბეჭდილებას ახდენს, თითქოს ქართველებს ყველა ეს ამბები გამოჰპარვოდეთ, თითქოს შინაური ბრძოლით და ერთმანეთის ხოცვა-ჟლეტით გართულნი... ვერც კი ამჩნევდნენ, როგორ შეიქმნა მახლობლად ახალი დიდი და ძლიერი ოსმალეთის სახელმწიფო“[11].

ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად კინკლოსური ქრონიკები ძვირფასი წყაროა საქართველოს ისტორიისათვის. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მათ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური ისტორიის შესასწავლად. სპეციალურად აღნიშნავს ვახუშტი ბაგრატიონი ქრონოლოგიური მასალის სიმწირეს: „უწყება ჯერ არს, უკეთუ ცხოვრებისა ჩვენისა, ქორონიკონნი არიან იშვიათ“ და ამ ნაკლის შესავსებად კინკლოსურ მასალასაც იყენებს. კინკლოსებს იყენებდა ვახტანგ VI, „სწავლულ კაცთა კომისია“, უფრო მოგვიანებით მარი ბროსე, რომელსაც მრავალი საყურადღებო დაკვირვება ეკუთვნის ქართული ქრონიკების მიმართ. რამდენიმე კინკლოსი შესავალი წერილითა და შენიშვნებიურთ გამოსცა ექ. თაყაიშვილმა. განსაკუთრებული ღვაწლი ამ დარგში თ. ჟორდანიას მიუძღვის, რომლის მიერ შეკრებილი და გამოცემული ქრონიკალური მასალა მეტად ძვირფასი წყაროა საქართველოს ისტორიისათვის. ქრონიკებში თ. ჟორდანიას პირუთვნელად და მიუკერძებლად შეტანილი აქვს წყაროთა ყველა მონაცემი და შემდეგ ცდილობს მათ ახსნას, კომენტირებას, ცნობის წარმომავლობის დადგენას.

ამრიგად, ქართული კინკლოსური ცნობები მკვლევართა ინტერესს მოკლებული არ არიან და ეს ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული ვითარების გამო სავსებით გასაგებიცაა. შენიშვნებში, კინკლოსთა გამოცემებს რომ ერთვის, არცერთი მკვლევარი არ ცდილა დაედგინა მათი ურთიერთმიმართება იმ თვალსაზრისით, თუ რომელი კინკლოსი წარმოადგენს წყაროს მეორისათვის. ამის შეუძლებლობა ნათელი გახდა, როდესაც კინკლოსურ მასალას თავი მოვუყარეთ (მათი უმრავლესობა ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებშია დაცული) და ერთმანეთს შევუჯერეთ. აპრიორულად შეიძლებოდა გვეთქვა, რომ ზუსტი თანადამთხვევები განსხვავებული კინკლოსების მთელი ისტორიული მასალისა, ამ მასალის შედგენილობის კომპილაციური ხასიათის, ერთი და იგივე კინკლოსის ისტორიული მინაწერების მრავალავტორიანობის გამო არც იყო მოსალოდნელი.

ქვემოთ მოცემულია ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში დაცუ-

---

11 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, 1948, გვ. 63.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი კინკლოსური ქრონიკების მიმოხილვა ამ ქრონიკების წინამდებარე გამოცემისეული პირობითი რიგის მიხედვით.

ქრონოლოგიურად საქართველოს ისტორიის ყველაზე ადრეული პერიოდის ცნობები შემონახულია A — 1110 (I)[12] ხელნაწერში, რომელიც XIV — XV სს. თარიღდება. თ. ჟორდანია ამ კინკლოსურ ქრონოგრაფიას „აფხაზთა ქრონიკას" უწოდებს[13]. აქვე შევნიშნავთ, რომ ამ სახელწოდების ჭარბი პირობითობა აღნიშნული აქვს ივ. ჯავახიშვილს.

ეს კინკლოსური ქრონიკა, რომლის ქრონოლოგიური ჩარჩოებია 883—1245 წწ., სრულიად განცალკევებით დგას სხვათაგან. თავისი ცნობების სიძველით მას მხოლოდ A — 85 (II) უახლოვდება, მაგრამ საერთო ხასიათის ცნობები მათ არ გააჩნიათ, ორის გამოკლებით. „აფხაზთა ქრონიკა" მიუთითებს თამარ მეფის გარდაცვალებას 1207 წელს, ხოლო A — 85 (II) — 1206 წ. ამ თარიღის ქვეშ თვით ფაქტის ლაკონიური გადმოცემაც ურთიერთგანსხვავებულია. თანხვდომაა ცნობებში გიორგი III-ის გარდაცვალების შესახებ.

ქორონიკონით ტოვ (1688 წ.) თ. ჟორდანიას გამოცემული აქვს აფხაზთა ქრონიკის მინაწერი — „აქა გიორგი მეფე გ[ა]დ[ა]გდ[ე]ს: ერეკლეს დაჯდა[14]". ხელნაწერზე გულდასმით დაკვირვებით ტოვ ქორონიკონის გასწვრივ ვერტიკალურად ზევიდან ქვევით გაირჩევა მხოლოდ — „აქ...გ...კ...ჯ..." არც არის იმდენი ადგილი რომ ამ ასოთა შორის ჟორდანიასეული წაკითხვა დაეტიოს. ამავე კინკლოსში ტპ ქორონიკონზე (1692 წ). თ. ჟორდანიას ამოუკითხავს: „აქა მაეფა არჩილ იმერეთს დაჯდა"[15]. ტპ ქორონიკონის გასწვრივ ხელნაწერში საერთოდ არაფერი იკითხება. აღნიშნულის გამო მითითებული ჟორდანიასეული აღდგენები წინამდებარე გამოცემაში არ შევიტანეთ.

მისი შექმნის დროის თვალსაზრისით ყველაზე ადრეულია ხელნაწერი კრებულის A — 85-სადმი (XIII — XIV სს.) დართული კინკლოსის, უფრო სწორად ორი კინკლოსის ისტორიული მინაწერები. კინკლოსის პირველი ნაწილი 1206 წ. მინაწერით სრულდება, ხოლო მეორე 1351 — 1640 წწ. ამბებს მოგვითხრობს. მსგავსად A — 1110 ხელნაწერის კინკლოსისა, კინკლოსის პირველ ნაწილს სპეციალურად დართული აქვს სათვალავი ქვეყნის დასაბამიდან, რომელიც თანხვდება

---

12 აქ და ქვევით ხელნაწერის ნომრის პარალელურად ფრჩხილებში მითითებულია კინკლოსური ქრონიკის წინამდებარე გამოცემისეული ნომერი.

13 იხ. თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, I, გვ. LV, LVI. ხელნაწერთა აღწერილობა, A—IV, № 1110.

14 ქრონიკები, II, გვ. 507.

15 იქვე, გვ. 512.

ქორონიკონულ წელთაღრიცხვას, დაანგარიშებულს XIII მოქცევით. ხელნაწერი წარმოადგენს უნიკალურ ტრაქტატს ქართული წელთაღრიცხვის შესახებ[16].

1444 წლის გასწვრივ კინკლოსში აღნიშნულია: „[აქა] კოსტა[ნტი]პოლი [დაი]ჭირეს თურქთა“. ეს არის ქართულ კინკლოსებში აღნიშნული ერთ-ერთი არამრავალთაგანი ცნობა, რომელიც საქართველოს მის გარემომცველ სამყაროსთან აკავშირებს. ფაქტი კონსტანტინეპოლის დაცემისა უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო საქართველოსა და მთელი მახლობელი აღმოსავლეთისათვის, მან წარუშლელი დაღი დააჩინა მომდევნო პერიოდის მთელ ისტორიას. ყველა ქართული კინკლოსი, XV საუკუნის ორმოციანი წლების მასალის შემცველი, აუცილებლად აღნიშნავს კონსტანტინეპოლის ხონთქრისგან, ურუმთაგან, ან თურქ-თათართაგან დაპყრობას. უფრო მეტიც H — 3004 (V), A — 1452 (VI, ყანჩაეთის გულანი), H — 1738 (VIII), A — 1153 (IX), S — 2523 (X) საერთოდ ამ ფაქტის აღნიშვნით იწყებს კინკლოსურ ქრონიკას. მაგრამ იმ დროს, როდესაც კარგად არის ცნობილი, რომ კონსტანტინეპოლი თურქებმა 1453 წლის 29 მაისს დაიპყრეს, ყველა ზემოთ დასახელებული ხელნაწერი და დამატებით H—342 (III), S — 4615 (IV) ამ ამბავს 1444 წელს აღნიშნავს. ფაქტი თავისი ისტორიული შედეგებით მეტად დიდმნიშვნელოვანი იყო და იგი არ შეიძლებოდა აღრეოდათ სხვა მოვლენაში, მაგალითად, თურქთაგან ბოსფორის სრუტის დაკავებაში, როგორც ამას თ. ჟორდანია გვთავაზობს[17]. ამასთანავე, გარდა იკორთის ჟამნგულანისა, ყველა კინკლოსური ცნობა კონსტანტინეპოლის თურქთაგან დაპყრობას ერთხელ აღნიშნავს. რიგ ცნობებში კონსტანტინეპოლის აღებასთან ერთად სრულიად საბერძნეთის დაკავებაც არის მითითებული (H — 1452, VI; A—1153, IX). შეუძლებელია ცნობათა აღრევა ისე მომხდარიყო, რომ ბოსფორის სრუტის დაპყრობა აღნიშნულიყო და შემდეგ კვლავ არ ყოფილიყო ცნობა საკუთრივ კონსტანტინეპოლის შესახებ.

ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია ერთი ხელნაწერის ფრაგმენტი — მხოლოდ პასქალური ცხრილი (H — 3004,V), რომელშიც 1457 წ. სტრიქონთან ჩაწერილია „აქა კსტნტიპოლი ხვანთქარმან დაიჭირა: ზემო ეწერა მაგრა ეს უმართლოა, აქ უნდოდაო“. ამრიგად, შეც-

---

[16] როგორც რელიგიურ-ტექნიკური კალენდარი A:85, შესწავლილია მ. ბროსეს მიერ, იხ. M. Brosset, Traité de comput ecclésiastique, Etudes de chronologie technique, Mémoire de l'académic des sciences, VIII série, t—XI, № 13, პეტერბურგი, გვ. 24—56.

[17] თ. ჟორდანია, ქრონ., II, გვ. 256.

დომა მინაწერის ავტორსაც დაუნახავს (ფრაგმენტს XVI — XVII სს. ათარიღებენ), მაგრამ ნამდვილი თარიღი თვითონაც არ სცოდნია. მცდარი თარიღი იკორთის ჟამგულანშიც არის აღნიშნული[18].

ამრიგად, ნათელია, რომ საქმე გვაქვს პასქალური ციკლების ისტორიული მინაწერების საკმაოდ მყარ ტრადიციულ 9 წლიან შეცდომასთან. სომხეთის ისტორიულ-გეოგრაფიული შესწავლისათვის მიძღვნილ ნაშრომში სენ-მარტენი წერდა: „უნდა შევნიშნოთ, რომ მთელ მე-15 საუკუნემდელ ქართულ ქრონოლოგიაში ჩვენ ვხედავთ უხეშ შეცდომას 10 წლის ფარგლებში დაახლოებით მეტს ან ნაკლებს, რომლის მიზეზის ახსნა ჩვენ არ ძალგვიძსო“.[19] კონსტანტინეპოლის შესახებ ცნობის მაგალითზე ეს შეცდომა XV საუკუნეშიც გრძელდება. ამავე დროს შეცდომის კანონზომიერების, თუ კი მას ასეთი კანონზომიერება აქვს, დადგენა ძალიან ძნელია, ვინაიდან თუ კონსტანტინეპოლის დაცემის თარიღი მცდარად არის მითითებული, ჯვაროსანთაგან მისი დაპყრობა 1204 წელს ზუსტად არის მინიშნული იმავე ხელნაწერში.

1465 წლიდან, ყვარყვარე ათაბაგის მიერ გიორგი მეფის შეპყრობის ამბიდან მოყოლებული, აღნიშნულია რამდენიმე ფაქტი სამცხესაათაბაგოს ისტორიიდან. ამასთანავე ეს ფაქტები სხვა კინკლოსებშიც მეორდება. შესაძლებელია თ. ჟორდანიას ხელნაწერი A — 85 უკეთეს მდგომარეობაში ჰქონდა ხელთ. ყოველ შემთხვევაში 1472 წლის მინაწერი დღეისათვის სულ არ გაირჩევა, ხოლო თ. ჟორდანია ადგილების აღდგენით ასე კითხულობს მინაწერს „აქა [ქართ]ლი [დაიპყრა] ბაგ[რატ მეფემ და კ~ე] გარდ[აავდო]“[20]. 1568—1640 წწ. მინაწერები ძალიან დაზიანებულია.

ხელნაწერის ზოგიერთი ადგილი ძლიერ გადასულია და გამადიდებელი შუშითაც შეუძლებელი ხდება გადასული ასოების კითხვა. სიტყვების აღდგენებში დიდ დახმარებას გვიწევდა თ. ჟორდანიას წაკითხვები, რომელსაც, ვიმეორებ, ალბათ ხელნაწერი უკეთეს მდგომარეობაში უნახავს, მაგრამ ზოგჯერ ჟორდანიასეული აღდგენები მის მიერ ამა თუ იმ თარიღის ამბების პოზიტიურ, სხვა წყაროებზე დაყრდნობილ ცოდნას უფრო ემყარება, ვიდრე თვით ხელნაწერიდან გამოდის.

მაგალითად, 1765 წ. (უნგ) ა(ნ შესწორებით 1465 (რნგ) წ.)

---

18 იხ. ს. კაკაბაძე, ქრონიკა იკორთის № 6 ჟამნგულანისა, 1912.

19 M. G. Saint-Martin, Mémoires historiques et géographiques sur l'Armenie, პარიზი, 1819, გვ. 257.

20 ქრონიკები, II, გვ. 209,



ეროვნული ბიბლიოთეკა

თ. ჟორდანია კითხულობს: „აქა მეფე [გიორგი] [დაი]ჭირა ტყუ[ვე] ყუარყუარემო“[21]. მინაწერი ძლიერ მიმქრალია, მაგრამ აქ შემორჩენილი ასოების მიხედვით ლაპარაკი უნდა იყოს დასაბამიდან თარიღის ათვლაზე. თ. ჟორდანიასეული აღდგენილი ტექსტი მაინც შევიტანე წინამდებარე გამოცემაში.

ყველაზე ახლოს დგანან ერთმანეთთან H — 342 (III) ჟამნგულანისა და S — 4615 (IV) კინკლოსის მინაწერები. თითქმის ყველა ცნობა H — 342-ისა არის S — 4615-ში, სამის გამოკლებით, სახელდობრ ეს ცნობებია: დასაბამიდან წელთაღრიცხვის ათვლისა (7022), 1600 წელს ბატონიშვილი როდამის გარდაცვალებისა და სიმონ მეფის შეპყრობის, როსტომ მეფის ქართლში გამეფების. ამავე დროს ეს კინკლოსები უშუალოდ ერთი მეორის წყარო არ უნდა ყოფილიყვნენ. S — 4615-ში არის ცნობები, რომელნიც H — 342-ში საერთოდ არ არის. თითოწლიანი სხვაობა ერთი და იგივე ფაქტის დასათარიღებლად სტრიქონის მექანიკური აღრევით შეიძლება ავხსნათ, მაგრამ თანხვდომილი ფაქტების გადმოცემაც განსხვავებულია. S — 4615-ში მარტივად არის აღნიშნული „კონსტანტინეპოლი თათართ დაიჭირეს,“ ხოლო H — 342-ში ვკითხულობთ: „აქა კსტნტინეპოლი დაიჭირეს ოთმანიანთა და სრლ (სრულ) საბერძნეთი“. მსგავსი მაგალითები კიდევ შეიძლება მოვიყვანოთ, მაგრამ ამ კინკლოსების ცნობათა შორის ზუსტი ანალოგიებიც ბევრია. ამიტომ სავარაუდებელია, რომ მათ საერთო წყაროთი უსარგებლიათ.

ჟამნგულანი H—342-ის გადაწერის თარიღია 1661 წ. იგი გადაწერილი ყოფილა სარდლის პალატთ-უხუცესის პაპუნა ფანასკერტელციციშვილის ძის ზაალისა და მისი თანამეცხედრის მარიამ ამირეჯიბის დაკვეთით, ქართველთა მეფის დის დედისიმედის სულის საოხად.

ხელნაწერის ბოლოში დართული კინკლოსი აშკარად სხვა ქაღალდზეა დაწერილი, სხვა ხელით. ხელნაწერში ზოგიერთი სიტყვა წითელი მელნითაა დაწერილი, ხოლო კინკლოსში სინგურით; როგორც ხელი, ისე ქაღალდი კინკლოსისა უფრო ადრეული ჩანს, ვიდრე თვით ხელნაწერია და კინკლოსი შემდეგ უნდა იყოს მიწებებული ხელნაწერისთვის. ისტორიული მინაწერების ნაწილი იმავე ხელითაა შესრულებული, რომლითაც თვით კინკლოსია დაწერილი. თ. ჟორდანია ქრონიკებში ამ წყაროს „წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის ქრონიკას“ უწოდებს.

S — 4615 წარმოადგენს ჟამნს, დაწერილია მუქ, ხორბლისფერ ქაღალდზე, მოშავო-მოყავისფრო მელნით. თავსართი ასოები და

---

21 ქრონიკები, II, 285.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალაგ-ალაგ ტექსტის ზოგიერთი ფრაზა შესრულებულია სინგურით. ბოლოში დართული კინკლოსის ისტორიული მინაწერები 143-ე გვერდის აშიიდან იწყება. აშია გადაუჭრიათ, ამიტომ მინაწერები ზოგან სრულიად არ იკითხება. საჭიროა ტექსტის აღდგენები.

145-ე გვერდს თავზე აწერია: „ეს ფურცელი ზეით ამ წინ ფურცლს (Sic) უნდა, ანი ნიშნათ უზისო“ და გამოსახულია ნუსხური დიდი ანი. კინკლოსის ქრონოლოგიური თანმიმდევრობიდანაც ჩანს, რომ გვერდები მინაწერების გაკეთების დროისათვის უკვე გადასმული ყოფილა (144-ე გვერდი 145 შემდეგ უნდა იყოს). აშიის წაჭრის შედეგად მინაწერის დაკარგული ნაწილების აღდგენა ხერხდება შესაბამისი თარიღის სხვა კინკლოსური წყაროებით 1656 წლამდე და ამ წლის ჩათვლით, პირველ რიგში H — 342 (III)-ის ე. წ. „წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის ქრონიკის“ მიხედვით. 1543 წ. სტრიქონის გასწვრივ ქრონიკაში აღნიშნულია—„თათრის ფაშები გამოვიდ[ნეს], [რიც]ხვით ოცდაორი [ათასი] და ტაო მოსწყ,ვ[დეს]. მიუჴდა ბაგრატ მე[ფე ქ]ართლისა ქალაქს [გაემარ]ჯვა და ამოსწყვიტა“. H — 342-ში კი ბრძოლის ადგილის სახელწოდება განსხვავებულად არის მოცემული: „აქა ხუანთქრის ფაშაები მოვიდეს, რიცხ,ვთ ოცდაორი ათასი და სრლდ ტაო ამოსწყვიდეს. მიუჴდა ბაგრატ მეფე ქ ა რ ა ღ ა ქ ს, გაიმარჯვა, ამოსწყვიდნა მრავლი“[22]. ამავე თარიღზე ყანჩაეთის ჟამნგულანში ვკითხულობთ: „აქა იყო ქარხაქის ომი — ურუმნი მოვიდეს, ტაო ამოსწყვიდეს და ბგრტ მეფემან გაიმარჯვა და მრავალნი ამოსწყვდნა“, ხოლო H — 3004 (V)-ში ნაცვლად ქარაღაქ — ქარხაქისა კვლავ შეცდომით ქალაქზე, ე. ი. თბილისზეა ლაპარაკი. H — 1738 (VIII)-ში ადგილის სახელწოდებად აღნიშნულია ქრბაკი. ეს ქარაღაქ-ქარხაქ-ქარაბაკი სამცხე-საათაბაგოშია საძიებელი.

სხვადასხვა, განსხვავებული (ძირითადად მხედრული) ხელით ნაწერი ქრონიკა, მოკიდებული 1658 წლიდან, სხვა არცერთი კინკლოსური ქრონიკის თანმხვდომი არ არის. მოიცავს იგი ცნობებს მთელი საქართველოს შესახებ, თუმცა კი ცნობები ძირითადად ქართლ-კახეთის შესახებაა. უკანასკნელი მინაწერი გაკეთებულია 1738 წ.

შედარებით სხვა კინკლოსებთან XV საუკუნის ამბები უფრო დაწვრილებითაა გადმოცემული H — 3004 (V)-ში. საერთოდ მინაწერები ამ ციკლიური ცხრილისა 1550 წლის ჩათვლითაა გაკეთებული. წყვეტილები წელთა აღწერაში მცირეა. ერთი საუკუნის ამბავია ამ ხელნაწერში გადმოცემული ქრონიკალურად, 26 მინაწერია ჩაწერილი და წყვეტილები წელთა შორის 3 — 4 წელს არ აღემატება. ამას განსა-

---

22 იხ. ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, IV, 1948, გვ. 247.

ეროვნული

კუთრებით იმიტომ აღვნიშნავთ, რომ სხვა არცერთი კინკლოსი ემსგავსება ამ თვისებით მას ყანჩაეთის ჟამნგულანში კონსტანტინეპოლის აღების ცნობას მომდევნო ცნობა მთელი ორმოცი წლის ინტერვალით მოსდევს. ასევეა H — 1738 ((VIII), და H — 1755 (VII)-ში. ამ უკანასკნელში, შემდგომ 1485 წლისა, არის ცნობა 1535 წლის შესახებ.

H — 3004 (IV) ცალკე კინკლოსური ფრაგმენტია, ჩართული სხვა ხელნაწერების კრებულში. როგორც ჩანს, იგი ლიტურგიკული ძეგლიდან ამოუღიათ და მხოლოდ ქრონიკის დანიშნულება აქვს ცალკე სახით (თუმცა აღდგომის დღესასწაულის დასაანგარიშებლადაც ვარგისია). კინკლოსის ისტორიული მინაწერები გაკეთებულია 3 სხვადასხვა ნუსხა-ხუცური ხელით. ეს კინკლოსი თითქმის იდენტურია იკორთის ჟამნგულანის კინკლოსისა[23]. ერთი და იგივე თარიღის შესაბამისი ცნობები ზუსტად ერთნაირია. სხვაობა მდგომარეობს შემდეგში: 1. იკორთის ჟამნგულანის კინკლოსის დასაწყისში, 1457 წლამდე, რითაც იწყება H—3004, არის კიდევ წინამავალი 3 ცნობა, 1431, 1444 და 1447 წლებისა. 2. სკზ ქორონიკონზე, ე. ი. 1539 წ, ჩაწერილია სხვა ხელით: „აქა სომეხნი შ[ეიშალ]ნენ“. სხვა მხრივ ცნობათა ოდენობისა და თარიღების მიხედვით იდენტურობა ამ ქრონიკებისა უდავოა. მცირეოდენი სხვაობებია სიტყვათა დაქარაგმებაში. ამ ქრონიკებს პირობითად სამცხური შეიძლება ვუწოდოთ, ვინაიდან ძირითადად აქ ათაბაგთა ქრონიკაა გადმოცემული. იკორთის ჟამნგულანის ისტორიული მინაწერები 1550 წლით არ სრულდება. დამატებით იქ მოცემულია 1624 — 1729 წწ. ამბები და ამჯერად საქმე ქართლ-კახეთს ეხება.

ამ ორი ქრონიკის ურთიერთმიმართების თვალსაზრისით კიდევ ერთ მომენტს აღვნიშნავთ: ზემოთაც იყო ნათქვამი და გავიმეორებთ, რომ H — 3004-ში კონსტანტინეპოლის აღების თარიღი შესწორებულია. ტრადიციული 1444 წლის ნაცვლად 1457 წელს არის მინიშნული — „ზემო ეწერა მაგრა ეს უმართლოა აქ უნდოდაო“. იკორთის ჟამნგულანში კონსტანტინეპოლის აღება 1444 წელსაც არის აღნიშნული, ხოლო 1457 წელს მინაწერის ავტორისეული შესწორების გარეშე წერია: „აქა კოსტნტიპოლი დაიჭირეს თათართა“. შესაძლებელია H — 3004 იკორთის ძლისპირიდან არის გადმოწერილი, მაგრამ რატომ არის გამოტოვებული ცნობები 1431 წ. ალექსანდრეს მიერ ლორეს აღებისა და 1447 წ. ალბუღასა და ყვარყვარეს შორის მომხდარი

---

23 იხ. ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, ქრონიკა იკორთის № 6 ჟამნგულანისა, 1912.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძოლის, ვახტანგ მეფის გარდაცვალების შესახებ, ამაზე ვერაფერს ვიტყვით.

მეტნაკლები მსგავსების საფუძველზე ერთმანეთის გვერდით შეიძლება დავაყენოთ სამი კინკლოსური ქრონიკა (H — 1452, VI; H — 1755, VII; H — 1738, VIII). ამ ქრონიკათაგან ყველაზე უფრო ვრცელის, ყანჩაეთის ჟამნგულანის (H — 1452) მიხედვით პირობითად მათ შეიძლება ვუწოდოთ ყანჩაეთის ჟამნგულანის ჯგუფი. მსგავსება აქ მეტად პირობითია და შეხებია მხოლოდ დასაწყის ნაწილებს ამ ქრონიკებისა და იქაც გადამწერთა სუბიექტური შეცდომების შედეგად ერთი და იგივე ფაქტის აღნიშვნაში არის თითოწლიანი სხვაობა-შეცდომები.

ყანჩაეთის ჟამნგულანის ისტორიული მინაწერების თავისებურებას ის შეადგენს, რომ ქრონიკა, რომელიც, მსგავსად H-1738-ისა და H — 1755-ისა, კონსტანტინეპოლის თურქთაგან დაპყრობის თარიღით იწყება, 1679 წლის მინაწერის ჩათვლით, ერთი წვრილი ნუსხური ხელით არის შესრულებული. ექ. თაყაიშვილის სამართლიანი შენიშვნით გადმოწერილია ის სხვა წყაროდან, უპირველესად ყოვლისა, ალბათ, სხვა ხელნაწერის კინკლოსიდან[24]. გვიანდელი მინაწერები თანამედროვეთა მიერ არის გაკეთებული. ერთ-ერთი მათგანი, მამუკა მუხრანბატონი 1726 წლის მინაწერში კინკლოსური ცნობისთვის არადამახასიათებელ საკმაოდ ვრცელ თხრობას იძლევა თანადროული საქართველოს შესახებ[25]. აღწერს ქვეყნის შეჭირვებულ მდგომარეობას, შინააშლილობას უჩივის.

ალბათ გადამწერის მექანიკური შეცდომის შედეგია, რომ ყანჩაეთის ჟამნგულანში მუსტაფა ლალა ფაშას ლაშქრობა საქართველოში შეცდომით 1579 წელს არის მითითებული, ნაცვლად 1578 წლისა[26].

ყანჩაეთის ჟამნგულანის ცნობები 1754 წლის მინაწერით, ხუნძახის ბატონზე ერეკლე მეფის გამარჯვების ამბით სრულდება.

H — 1755 (VII) ჟამნის აშიებზე მიწერილი ისტორიული ქრო-

---

[24] Е. Такайшвили, „Канчаетский жам-гулан" и исторические приписки его кинклоса, Сборник материалов для описания местностей и племён Кавказа, вып. 29-й, 1901, стр. 115.

[25] მინაწერი კინკლოსის ცხრილ-ცხავზე არაა გაკეთებული; არც დაეტეოდა. იგი დაწერილია ხარების გამოსახულების მომდევნო გვერდზე, ტექსტის აშიაზე, 451 გვერდზე.

[26] მუსტაფა ლალა ფაშას შესახებ სპეციალური გამოკვლევა აქვს მ. სვანიძეს. იხ. მისი, „მუსტაფა ლალა ფაშას ლაშქრობა საქართველოში", თბილისის უნივერსიტეტის შრომები, № 116.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკა ორი ხელითაა გაკეთებული (ნუსხურითა და მხედრულით). გადამწერლები არიან ნათანელ ბედისმწერლიშვილი და ვახტანგ ყაფლანიშვილი. ამასთანავე ისე არ არის, რომ ერთი ხელი თავდებოდეს და მეორე იწყებოდეს; ეს ორი ხელი მონაცვლეობს. ქრონიკა, ვიმეორებთ, მეტად პირობით მსგავსებას იჩენს ყანჩაეთის ჟამნგულანთან. იგი უფრო ახლოს დგას H — 1738 (VIII)-ის ისტორიულ მინაწერებთან, წყვეტილები თარიღებს შორის ამ უკანასკნელში უფრო მცირეა. ყანჩაეთის ჟამნგულანის მსგავსად აქაც ერთწლიანი შეცდომითაა ნაჩვენები ლალა ფაშას საქართველოში ლაშქრობა, ხოლო H — 1738-ში თარიღი სწორადაა მითითებული. H — 1738-ში 1625 წელს სწორად არის მითითებული მარაბდის ომის თარიღი, ხოლო ყანჩაეთის ჟამნგულანი კვლავ ერთწლიან შეცდომას უშვებს (1624 წ.). განსხვავებით ყანჩაეთის ჟამნგულანისაგან, H — 1755-ში და H — 1738-ში არის ცნობები დასავლეთ საქართველოს შესახებ.

H — 1738 1707 წლის მინაწერით მთავრდება, ხოლო H — 1755 ნიშანდობლივია, რომ სრულდება იმავე 1679 წელს, რა წელსაც დასრულებულია ერთი ხელით ნაწერი ტექსტი ყანჩაეთის ჟამნგულანისა, თუმცა კი ამ თარიღით ნაწერი ცნობები განსხვავებულია.

ერთგვარ შედარებით სიახლოვეს იჩენს ერთმანეთთან სამი ხელნაწერის კინკლოსთა ისტორიული მინაწერები, ესენი არიან: A—1153 (IX), S — 252 ბ (X), H — 380 (XI).

A — 1153 წარმოადგენს ჟამნს. თ. ჟორდანიას ქრონიკებში ისტორიული მინაწერები A — 1153-ისა შესულია, როგორც ცნობები ჟამნი № 3-ის. ხელნაწერს ჟორდანიას ხელით პირველ გვერდზე აწერია „ჟამნი № 3". ამ ხელნაწერში ნუსხური ხელით არის შესრულებული მინაწერები 1700 წლის ჩათვლით. სულ ოთხი ხელი გაირჩევა. მოკიდებული 1700 წლიდან 1793 წლის ჩათვლით მინაწერები საკმაოდ დაუდევრად არის გაკეთებული მხედრული ხელით. ეს უკანასკნელი ნაწილი საგვარეულო ქრონიკაა მუხრანბატონებისა, მასში ჩართული ცნობებით წილკნელთა შესახებ.

ამ კინკლოსის ქრონიკაში საინტერესოა 1602 წელს აღნიშნული ცნობა: „ამ ქრონიკონს მეფე დავით მიიცვალა კახთა". საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს პირველი (1948 წ.) გამოცემებისთვის დართულ მეფეთა ქრონოლოგიაში დავითის მეფობა რატომღაც 1601 წელს არის აღნიშნული, ამავე დროს თ. ჟორდანიას ქრონიკების II ტომში გამოცემულია (დედანს, ან პირს ვეღარ მივაკვლიეთ) დავით მეფის 1602 წლის სიგელი — დედოფალ ქეთევანთან, შვილებთან: თე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმურაზ, ბაგრატთან ერთად დავითი ნინოწმინდის ეკლესიას ყმებს სწირავს[27].

H — 380 (XI) ხელნაწერი ჟამნგულანია. უმრავლესობა ისტორიული მინაწერებისა გაკეთებულია ერთი ნუსხური ხელით. იმ ხელით, რომლითაც აღნიშნულია კინკლოსის გადაწერის თარიღი: ტკდ — 1636 წ. ხელნაწერის ანდერძიდან ირკვევა, რომ გადამწერია დიაკონი „იოანე მწერალი მცირე“. 1636 წლის შემდეგ ძირითადი ცნობები ციციშვილების საგვარეულო ქრონიკას განეკუთვნება, თუმცა მეფეთა ზეობის წლებიც არის ჩართული, ხოლო 1688 წელს აღნიშნულია, რომ „გიორგი მეფე გააგდეს“ და „ერეკლე მეფე მოვიდა“. ქრონიკა სრულდება სხვა მხედრული მინაწერებისაგან განსხვავებული ხელით, რომლითაც ჩაწერილია 1722 წელს იმამ ყული-ხანის გარდაცვალება და კონსტანტინეს (მაჰმად ყული-ხანი) გამეფება, განსხვავებით ვახუშტი ბაგრატიონისაგან, რომელიც ამ ამბავს 1721 წ. აღნიშნავს, თარიღი სწორად არის მოცემული. 1722 წელს გაცემულ „ღვთაების გუჯარში“ სასიკვდილოდ გადადებული იმამ ყული-ხანი ამბობს: „მიერით ჟამითვე დაუტევე ცხოვრება ესე და შევეძინე მამათა ჩვენთა თანა“[28].

ერთ-ერთი ყველაზე უფრო ფართო ქრონოლოგიური ჩარჩოების ქრონიკაა ხელნაწერ S — 252 გ (X) კინკლოსის ისტორიული მინაწერები. თვით კინკლოსური ცხრილი 1579 წლისაა, ვინაიდან ამ თარიღთან მიწერილია: „ესე არს აწინდელი ქორონიკონი, რომელსაც დაეწერა“. ამ თარიღამდე ჭარბობს ცნობები სამცხე-საათაბაგოს შესახებ. ასეთი ცნობები ქრონიკაში ქვევითაც არის, მაგრამ მას შემდეგ, რაც 1587 წელს აღნიშნულია „აქა სამცხე დაიჭირეს ოსმალთა“ — ქრონიკა ძირითადად იმერეთის ამბებს, დასავლეთ საქართველოს ამბებს გადმოგვცემს. ამით ჩანს თვით ხელნაწერის ისტორიაც. იგი იმერეთში წაუღიათ. 1579 წლის შემდეგ მინაწერები გაკეთებულია ორი ნუსხური ხელის მონაცვლეობით (გარეულია ალაგ-ალაგ მხედრულიც). ნუსხური მინაწერები სრულდება 1789 წ. ცნობით; შემდგომი მინაწერები გაკეთებულია საკმაოდ დაუდევარი მხედრულით. 1820 წლის მინაწერთან ერთად სრულდება კინკლოსის ცხრილიც.

ქორონიკონ სოზ-ის გასწვრივ კინკლოსში ასეთი მინაწერია: „ამა ქორონიკონსა დ̃თაღმაშენებელსა გელათი დაუწყია და ქ̃კნი მობრუნებული არი“. ე. ი. ცნობა უნდა დავიანგარიშოთ XII მოქცევით და გამოდის, რომ გელათის მშენებლობა დაწყებულა 1057 წელს, იმ

---

27 ქრონიკები, II, 432.

28 იხ. ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც. II, გვ. 97.



რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროს, როდესაც დავით აღმაშენებელი ჯერ დაბადებულიც არ იყო, თ. ჟორდანია გამოთქვამს მოსაზრებას, რომ აქ იგულისხმება გელათის კომპლექსის ერთ-ერთი ეკლესიის (სახელდობრ, წმინდა გიორგის ეკლესიის) აგება ბაგრატ IV-ის მიერ და რომ ქრონიკაში, ისტორიულ ტრადიციაზე დაყრდნობით, დავით აღმაშენებლის სახელი შეცდომით არის შეტანილი[29]. ამ მოსაზრების ერთგვარ საფუძველს დავითის ისტორიკოსის თხზულებაც იძლევა. დავითმა მისი ისტორიკოსის ცნობით: „გარდაართხა ტაძარი ყოვლად წმიდისა და უფროსად კურთხეულისა დედისა ღმრთისა, რაჲთა რამე აღმატებული ყოველთა წინანდელთა ქმნულთა"[30]. უკანასკნელი სიტყვები შესაძლებელია კონკრეტულად გელათის ადგილებში ნაშენ ეკლესიას გულისხმობდეს. დიუბუადე მონპერე დავით აღმაშენებელს გელათის ხელმეორედ დამფუძნებელს უწოდებს[31].

თუ S — 252ბ კინკლოსური ქრონიკა 1787 წლის ამბებიდან დასავლურქართული, იმერული ქრონიკა ხდება, საკუთრივ იმერულ ქრონიკებად შეიძლება გამოვყოთ S — 1204 (XII)-ისა და H — 381 (XIII) ჟამნგულანების, გელათის — A — 186ა (XIV) და შემოქმედის—Q — 103ბ (XV) გულანების კინკლოსთაა ისტორიული მინაწერები.

S — 1204 ხელნაწერი XVII საუკუნეში გადაწერილი ჟამნგულანია. ისტორიული ცნობები მოთავსებულია კინკლოსის სტრიქონებს შორის; ყველა ერთი, კინკლოსისავე დამწერის ხელით. გადამწერს რომელიღაც აღმოსავლურქართული კინკლოსის მინაწერები ჰქონია ხელთ და ამიტომ, სხვა იმერული ქრონიკებისაგან, განსხვავებით აქ შეტანილია ცნობა თათართა მიერ კონსტანტინეპოლის აღების, 1556 წ. შაჰ თამაზის მიერ ქართლისა და სომხითის აოხრების შესახებ და ორიოდე მინაწერია ახალციხე-აწყურის შესახებ. კინკლოსის ცნობები 1700 წლით სრულდება.

ჟამნგულანი H — 381 (XIII), როგორც ეს კინკლოსის მინაწერებიდან ირკვევა, 1703 წ. გადაუწერიათ, ვინაიდან ერთი, დედნისეული ხელით გაკეთებული მინაწერები აქ წყდება. ხელნაწერის მინაწერებიდან ჩანს, რომ იგი გადაწერილია დიაკონ ბაბუხადის და იოანე პატარიძის მიერ, ფირან მხეიძის ბრძანებით. დასაწყისში მე-200 ქორონიკონამდე კინკლოსს ფურცლები აკლია. ცნობები მოყვანილია 1803 წლამდე, სადაც ერთწლიანი შეცდომით აღნიშნულია გრიგოლ დადიანის სიკვდილი (გარდაიცვალა 1804 წ.). 1778 წლიდან მინაწერე-

---

29 ქრონიკები, I, 202, 203. იგივე ცნობა არის შემოქმედის გულანშიც (Q—103ბ).

30 ქართლის ცხოვრება, I, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., გვ. $329_{22}$, 330 [illegible]

31 Dubois de Montpereus, Voyage.., II, გვ. 182—183.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი გაკეთებულია ცუდი, მოგვიანო მხედრული ხელით. ერეკლე მეორის გარდაცვალების თარიღიც შეცდომით 1797 წელს არის მითითებული.

XVII—XVIII საუკუნის გელათის გულანის (A—186 ა, XIV), კინკლოსის მინაწერებში 2 განსხვავებული ნუსხური მონაცვლეობს. არის მხედრულით გაკეთებული მინაწერებიც. 1519 წლიდან 1643 წლის ჩათვლით კინკლოსში სულ 5 მინაწერია. 1653 — 1668 წლების ამბები საკმაოდ ვრცლად არის მოთხრობილი გედეონ გენათელის მიერ. შემდეგ ხელნაწერი კახეთში წაუღიათ და 1736 წ. და 1742 წ. არის მინაწერები ენისელთ მოურავის გივის ძის დავითისა და ნინოწმინდელი იოსებ ვაჩნაძის შესახებ.

დიდი ფორმატის ხელნაწერია Q 1036 (XV), ე. წ. შემოქმედის გულანი, გადაწერილი 1749 წ. მისი კინკლოსის მინაწერები რიგი შეცდომებით გამოცემული აქვს დიმიტრი ბაქრაძეს[32]. 1749 წლამდე მინაწერები გაკეთებულია თვით კინკლოსის გადმომწერის მიერ. ცნობები კინკლოსის სტრიქონებს შუა არის ჩაწერილი და, როგორც სხვა მსგავს შემთხვევებში, აქაც აშკარაა, რომ გადმოღებულნი არიან სხვა კინკლოსური ქრონიკიდან. უკანასკნელი ცნობა კინკლოსისა 1718 წლით თარიღდება.

ყველა იმერულ ქრონიკაში კარგად მოჩანს დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავართა შინაომი. „ღონედ საკუთარი უძლურებისა" (ნ. ბერძენიშვილი) თათრებს უხმობენ დასახმარებლად ლევან აბაშიძე, დედოფალი ნესტან-დარეჯანი. ასეთ ვითარებაში ქრონისტი, ან ცალკეული მინაწერის ავტორიც მთლიანად ჩართულია ძმათა ომში და არათუ სხვა მეზობელ ქვეყნებს ვერ ხედავს, არამედ იმერეთს ქართლ-კახეთის ამბებიც აღარ აინტერესებს და პირიქით. არ არის ეროვნული ერთიანობის შეგრძნება.

ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში დაცულია კიდევ ორი მცირე ქრონიკა: S — 5091 (XVI) და S — 1384 (XVII) ხელნაწერების კინკლოსთა მინაწერები. პირველი მათგანი ლიტურგიკული ძეგლია (ამოკრებილი საკითხავები სახარება-სამოციქულოდან XVII ს.). იგი 1688 — 1733 წწ. ფარგლებში სულ შვიდ ისტორიულ მინაწერს შეიცავს. კინკლოსის აშიებზე ქორონიკონი მითითებული არ არის, მაგრამ რამდენადაც № 2 მინაწერში აღნიშნულია: „კახი მეფის ბატონის თეიმურაზის ძე ერეკლე გაბატონდაო", ცხადია, აქ ლაპარაკია ერეკლე I ნაზარალი-ხანზე, რომელიც ისტორიულ დოკუმენტებშიც არაერთხელ იწოდება თეიმურაზის ძედ (შვილიშვილი იყო). სხვა პასქალურ ცხრილებ-

---

[32] იხ. Д. Бакрадзе, Археографические путешествия по Грузии и Адчаре, გვ. 149—154.

თან ამ მინაწერის გასწვრივი სტრიქონის შედარებამ აჩვენა, რომ ქორონიკონი უნდა იყოს ტოე — 1688 წ., ნაზარალიხანის ქართლში გამეფების სხვა წყაროებითაც დადასტურებული თარიღი. ყველა მინაწერი დაუდევრადაა გაკეთებული. თვით პასქალურ ციკლში ნაკიანი წლების მონაცვლეობა არეულია. პირველი ორის გამოკლებით მინაწერები მხედრული ხელით არის გაკეთებული.

S — 1384 (XVII) ხელნაწერის (XVI ს. სადღესასწაულო) კინკლოსს სულ 4 მინაწერი აქვს, რომელთაგან სიზუსტით ვერცერთი ვერ დაიკვეხნის. 1718 წელს აღნიშნულია „ყეენი გარდააგდო მირეიზმან". მაგრამ თარიღი აშკარად მცდარია, ვინაიდან მირ-ვეისი 1715 წ. გარდაიცვალა[33]. შეცდომით არის მოცემული თარიღები ვახტანგ მეფის რუსეთში წასვლისა და ავღანელთაგან შაჰის მიერ ისპაჰანის განთავისუფლების.

ვრცელი ქრონიკებისაგან განსხვავებით კინკლოსების ისტორიული მინაწერები მეტად შეკუმშულ ცნობებს იძლევიან. გაბმითი თხრობა საერთოდ არ არის, ან თითქმის არ არის, მაგრამ კინკლოსებში დაცულ ცნობებს საქართველოს პოლიტიკური ისტორიისათვის საერთოდ მაინც დიდი ფასი აქვთ.

კომენტარებით აღჭურვილი კინკლოსური ქრონიკების ადრეული გამოცემების უმეტესობა ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს. მაგალითად, S—252ბ (X) კინკლოსი თ. ჟორდანიას მიერ გამოცემულია ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეულ პერიოდულ კრებულში «Прибавление к Духовному вестнику грузинского экзархата», 1903, № 15—16, გვ. 25-33. კრებულის იმავე წლის № 7—8-ში გამოცემულია S —1204 (XII) კინკლოსის მინაწერები. ასევე ნაკლებად ხელმისაწვდომია კინკლოსური ქრონიკების ბროსესეული ფრანგული გამოცემები. ქრონიკალური მასალის ამაგდარი მკვლევარის ქრისტინე შარაშიძის მიერ ხელნაწერთა აღწერილობებში გამოცემული კინკლოსური ქრონიკები, ხელნაწერთა აღწერილობის შედგენილობის პრინციპებიდან გამომდინარე, კომენტირებული არ არის. ყოველივე ზემოთქმულის გამო კინკლოსური ქრონიკების ძირითადი ნაწილის (ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდები) გამოცემა, ისტორიული ცნობების შესაბამისი კომენტირებით, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული. ტექსტის ჟორდანიასეული აღდგენები წინამდებარე გამოცემაში მინიშნულია ფეხშეუკრავი, შედარებით მოკლე, კუთხოვანი ფრჩხილებით.

რთული ქარაგმები კინკლოსური ქრონიკების ტექსტებში არ გვხვდება. ძირითადად აქ არის მარტივი დაქარაგმება ადვილად გასახ-

[33] იხ. М. С. Иванов, Очерк истории Ирана, 1952, стр. 81.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სნელი საკუთარი სახელებისა. ამიტომ წინამდებარე გამოცემაში ქარაგმები მითითების გარეშე გახსნილი.

სტრიქონებს შორის, აშიებზე ადგილის სიმცირის გამო, მინაწერის დართვისას ქრონისტები იძულებულნი იყვნენ მეტად ეკონომიურად ეწერათ. ამით არის გამოწვეული კინკლოსების ისტორიული მინაწერებისათვის დამახასიათებელი ხმოვანნაკლებობა.

ადგილის სიმცირის გამო დაკლებულ ხმოვანთა, იშვიათ შემთხვევაში თანხმოვანთა აღდგენა წინამდებარე გამოცემაში მოცემულია ფრჩხილების გარეშე; მაგალითისათვის, ტექსტის ფრჩხილებისაგან განტვირთვის მიზნით, ღედნისეული (III, 5) „აქა კსტნტინეპოლი დაიჭრეს ოთმანიანთა და სრლ სბრძნეთი" გამოცემაში მოცემულია ასე „აქა კონსტანტინეპოლი დაიჭირეს ოთმანიანთა და სრულ საბერძნეთი".

ის არამრავალი კითხვა-სხვაობები, რომლებიც შემჩნეულია აღრეულ გამოცემებთან შედარებისას, ნაჩვენებია ტექსტის სქოლიოში (J — პირობითად აღმნიშვნელია ჟორდანიასეული გამოცემა, T — თაყაიშვილის, A — მიგვითითებს ხელნაწერთა აღწერილობაზე, ხოლო ეს გამოცემები მითითებულია ცალკეული ქრონიკის ტექსტის დასაწყისში).

ტექსტის სქოლიოს ნუმერაცია გაკეთებულია საკუთრივ ქრონიკალური ცნობების ნუმერაციის შესაბამისად, ხოლო ქრონიკალური ცნობის დასასრულს მითითებულია კომენტარის ნომერი.

კინკლოსური ქრონიკების ტექსტის სქოლიოში პირობითად, ლათინური ალფაბეტის რიგით, ნაჩვენებია გადამწერთა ხელწერის მონაცვლეობა, გვერდი ხელნაწერისა, რომელზეც მინაწერია გაკეთებული.

კომენტარები, რამდენიმე გამონაკლისის გარდა (მაგალითად № 120), ძირითადად დალაგებულია ქრონოლოგიური თანმიმდევრობის მიხედვით. სხვადასხვა კინკლოსის ერთნაირი, მსგავსი და ერთმანეთთან ახლოს მდგომი ცნობების კომენტარები გაერთიანებულია ერთ შენიშვნაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტექსტები

## 1

### *A* — 1110

კურთხევანი, XIV—XVI სს.

ისტორიული მინაწერები ამ ხელნაწერის კინკლოსისა გამოცემული აქვს თ. ჟორდანიას ქრონიკების I და II წიგნებში. თ. ჟორდანია ამ წყაროს „აფხაზთა ქრონიკას“ უწოდებს (იხ. საქ. სახ. მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, IV, ფონდი A, 1954, გვ. 109, შენიშვნა 4; თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, I, გვ. გვ. LV, LVI, ტ. II, გვ. VI). შემდგომში თ. ჟორდანიამ იგი ცალკე გამოსცა პარალელური რუსული თარგმანითა და კომენტარებით აღჭურვილი (იხ. Ф. Жордания, Хроника абхазских царей, Тб., 1902).

პასქალური ციკლი იწყება 878 წლით (ხტპვ) და მთავრდება 1273 წლით. სხვა კინკლოსური ქრონიკებისაგან განსხვავებით ქორონიკონული წელთაღრიცხვის პარალელურად (ქორონიკონი ციკლის მარცხენა აშიაზეა), კინკლოსის მარჯვენა აშიაზე მინიშნულია ქართული წელთაღრიცხვა ქვეყნის დასაბამიდან, რაც შესატყვისობაშია XIII მოქცევით დაანგარიშებულ ქორონიკონულ წელთაღრიცხვასთან.

1. რიგ (ხუჟზ) XII მოქც.—**361** XIII მოქც — 893 } [ა]ქა დაწყე[ბა]ჲ ბ ე რ ძ ე ნ თ ა ქორონიკონისა არს[2].

2. რკჱ (ხფიბ)—**908**—აქა კ ო[ს] ტ[ა] ნ ტ ი ნ ე [გარ]დაიცვა[ლა][5].

3. რნა (ხფლე) — **931** — აქა ბ ა გ რ ა ტ მეფედ დაჯდა[6].

4. რნე (ხფლთ)—935 XII მოქცევით—**403** XIV მოქცევით—1467 } —აქა ვ ა ხ ტ ა ნ გ გ ო რ გ ა ს ა ლ[ი] მიიცვალ[ა][3].

---

[1] 68 r ნუსხ. a (ხუჟზ — 6497 — 5604 = 393). [2] 53 v. ნუსხ. a (ჴფ იბ — 6512—5604=908). [3] 69 r ნუსხ. b. [4] ნუსხ. c ძალიან ჰგავს a და b ხელს.

5. რობ (ხფნვ)— 952 / XIV მოქცევით—1484 — აქა თემურ გამოვიდა დიმიშ-ტი ათოჯრა[33].

6. როდ (ხფნჵ)— 954 / XIV მოქცევით—1486 — აქა ქართ[ვე]ლთა მეფ[ე]მან გა[ი]-ლაშქრა [თა]ვრეჟს და თე-მურ აო[ტნა][36].

7. რპვ (ხფო) — **966** — აქა გიორგი მეფე გარდა-იცვალაჲ[7].

8. სა (ხფპე) — **981** — აქა დემეტრე მეფე გარდაიც-ვალა[8].

9. სია (ხფჟე) — **991** — აქა რუსნი გამოვიდეს[9].

10. სმჵ (ხქლბ) — **1028** — აქა გიორგი მეფე გარდაიც-ვალა[10].

11. სმთ (ხქლგ) — **1029** — აქა ბაგრატ კულაპალა-ტი (sic) სულტანსა დაესხა[11].

12. სჲჵ (ხკნბ) — **1048** — აქა [მოკვ]და [კვირიკე დიდი და დაჯდა] კვირიკე [კ]ახთა[12].

13. ტგ (ხქპზ) — **1083** — აქა გ[ი]ორგი მე[ფ]ე ს[ჳ]ულ-ტანსა წინაშე წარვიდა[13].

14. ტთ (ხქჟგ) — **1089** — აქა დავით [მ]ე[ფ]ე დაჯდა და ძრვა [იყო][14].

15. ტლბ (ხლივ) — **1112** — აქა მო[ტ]ყუჵვნა[ჲ] იყო ყოველ-სა ქუეყ[ა]ნასა[ჲ]. თამარ შირვ[ა]ნით გამო[ვი]-და, და გიორგი მ[ო]კ[ლ]უდა[16].

16. ტლჵ (ხლკბ) — **1118** — აქ[ა] მე[ფ]ე [ო]ვს[ე]თ[ი]ს წავი-და[ჲ] გიორგი [ჭ]ყონდიდელ[ი] მოკვდა[17].

17. ტო (ხლნდ) — **1150** — აქა დავით [დ]ემეტრე[ს] გაადგ[ა][18].

18. ტობ (ხლნვ) — **1152** — აქა თამარის გ[ა]ნ[ი] აშენებ-[უ]ლი[ი] ეკლესია აკურთხეს და თამარ ჩოჯანი ჩა-იცუნა[19].

---

47. უმგ — **1755** — ქ. ქორონიკონს უმგ, ქრისტისშობის თვის იგ მუხრანის ბატონის შვილი დავით და იოვანე დაიბადა.

48. უმდ — **1756** — ქ. ქორონიკონს — უმდ, ღვინობისთვის კვ მუხრანის ბატონი კონსტანტილე მიიცვალა ლეკთაგან, დღე შაფათი იყო[191].

49. უნე— **1767** — ქ. ამა ქორონიკონს — უნე მუხრანის ბატონის ჯალაბი ელენე რუსეთს წაბძანდა მაისის კზ, ქორონიკონს უნე, ხევიდამ, დღესა კვირას[196].

50. უნე — **1767** — ქ. ამა ქორონიკონს—უნე მუხრანის ბატონის ლევანის შვილის იოვანეს შვილი დაიბადა ქრისტიშობის თვის 3 დღეს. ხუთშაბათს, ქორონიკონს უნე, ნიკოლოზ[196].

51. უნჱ — **1770** — ქ. ამ ქორანიკონს, ქორონიკონს უნჱ მუხრანის ბატონის შვილის იოვანეს შვილი პაპუა დაიბადა, ქრისტისშობის კე დღეს.

52. უნვ — **1768** — ქ. ამ ქორონიკონს უნვ რუს ხემწიფის ჯარი და იანარალი ტოტლობერი. სახელი იყო, მარიობის თვის დამდეგს მოვიდა. მეფობასა ერეკლესასა[198].

53. უნჱ — **1770** — ქ. ამა ქორონიკონს უნჱ საქართველოს მეფე ერეკლე აწყვერს წაბძანდა, საათაბაგოს ჯარი შემოება ღთის ძლით დიად ძალიან გაიმარჯვა, რომ არ თქმულა ისეთი გამარჯვება. მოკვდა დიდი საათაბაგოს ალა და ბატონი. ათასი რომ არ დარჩა ახალციხეს და საათაბაგოში დიდი კაცი, ასე გაემარჯვა მეფეს ერეკლეს[198].

---

45 მხედრ. e. 46 მხედრ. e. 47 მხედრ. e. 48 მხედრ. e. 49 249 v. მხედრ. f. ქორონიკონი უნე მინაწერისეულია. კინკლოსის სტრიქონი კი ქორონიკონ უჲვ-ს, ე. ი. 1778 წ. შეესაბამება. მსგავსი ამბავი სხვა მინაწერებშიც მეორდება შემდეგ. 50 მხედრ. f. 51 მხედრ. g. 52 250 r. მხედრ. f. უნვ გადაუკეთებიათ უნჱ-დ. 53 მხედრ. h.

54. უოგ — **1785** — ამ ქორონიკონს მ უ ხ რ ა ნ ი ს ბ ა ტ ო-ნის შვილი ს ვ ი მ ო ნ ნასახჩიბაში მიიცვალა. [illegible]-რვლის იგ. ქორონიკონს — უოგ.

55. უპა — **1793** — ამ ქორონიკონს — უპა მ უ ხ რ ა ნ ი ს ბ ა ტ ო ნ ი ს ლ ე ვ ა ნ ი ს შვილი ი ო ა ნ ე ბატონის-შვილი მი(ი)ცვალა ახალწლის ღამესა, შაბათი თენდებოდა. ბედნიერი კაცი ბძანდებოდა[206].

კინკლოსის დასასრულს (252r) თ. ჟორდანიას ხელით მიუწერია: „როგორც ეტყობა, ეს ჟამნი წილკნისა ყოფილა. ქორონიკონები უნდა იყოს ნაწერი თვით წილკნელებისა: 1665 წლამდე რომანოზისა, 1688 წლამდე ქრისტეფორესი; 1700 წლამდი იოვანესი; 1757 წლამდი (ქრისტეფორესი?); 1770 სხვის ხელია; 1785 წელი თვით ამბროსი წილკნელის ხელია ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ (ხაზგასმა ავტორისაა — ჯ. ო.) და 1793 წელი სხვა ხელია: იოანე წილკნელისა, ანუ გერვას მაჭავარიანისა. 1600 წლამდეც სხვადასხვა ხელია“.* ხელმოწერა — „თევდორე ჟორდანია“.

# X

## S — 252გ

### კინკლოსი, XVIII ს. II ნახ.

ცალკე რვეულად შეკრული ეს კინკლოსური ქრონიკა ერთ-ერთი ყველაზე უფრო ცნობამრავალია სხვა მსგავს ქრონიკათა შორის. გამოცემულია იგი ე. თაყაიშვილის მიერ (იხ. Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, вып. XXI, 1896, გვ. 1—19). მისი ცნობები ჩართულია თ. ჟორდანიას ქრონიკებში (წერა-კითხვის გამავრცელებელი საზ. ხელნაწერი № 252 გ). გამოცემულია იგი აგრეთვე ქრ. შარაშიძის მიერ ხელნაწერთა ინსტიტუტის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობაში, კოლექცია S, ტ. I, 1960, გვ. 256—261.

ცნობების ძირითადი მასა, 1784 წლის ჩათვლით, ცხრილის ტაბულებში ჩაწერილია ორი ნუსხური ხელით და სხვა ქრონიკიდან, ან ქრო-

---

[54] მხედრ. i. [55] მხედრ. j.

** ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია თ. ჟორდანია მართალია, მაგრამ, ჩანს, იგი მ ხ ო ლ ო დ წილკნის ეპისკოპოსთა მონაცვლეობიდან გამომდინარეობს, ამიტომ მინაწერების გამკეთებელთა ჟორდანიასეული მონაცვლეობა მისაღები არ ჩანს. მის მიერ ერთი პირის დაწერილად აღიარებულ მინაწერებში რამდენიმე ხელი მონაცვლობს.

ნიკებიდან ერთიან გადმონაწერს წარმოადგენს. მინაწერები მხედრული ხელით ჩართულია ქრონიკის ამ ნაწილშიც, ხოლო დასასრული ნაწილი მისი მთლიანად მხედრულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრონიკის საერთო ქრონოლოგიური ჩარჩოებია 1444 — 1820 წწ.

1. რლბ — **1444** — აქა კონსტანტინეპოლი დაიჭირეს თათართა, ჰოი, დღე რისხჳსა ღმრთისაჲ[30].
2. რთჱ — **1490** — აქა დედისიმედი მიიცვალა ათაბაკი[43].
3. რპვ — **1498** — აქა დიდი ყვარყვარე მიიცვალა ათაბაკი[44].
4. რპჱ — **1500** — აქა მიიცვალა ქრისტეანობისა ნათელი ქაიხოსრო ათაბაკი[45].
5. რჟჱ — **1510** — აქა მოვიდეს თათარნი ნოენბერსა ჟგ და დაწვეს საყდარი ქუთათისი და გაელათი[48].
6. სდ — **1516** — აქა დიდი მზეჭაბუკ მიიცუალა ათაბაკი[51].
7. სკა — **1533** — აქა გაილაშქრა მამია დადიანი და მამია გურიელი ჯიქეთს. და მოკლეს მამია დადიანი. გიორგი გურიელის შვილი და ტყუჱ იქმნა გურიელი და სამნი მისნი ძმანი და ლაშქარნი[54].
8. სკგ — **1535** — მურჯახეთის ომი, ქრისტეანეთა წაჴდენის მიზეზი[55].
9. სკგ — **1535** — აქა შეიბა მეფეთ-მეფე ბაგრატ და ათაბაკი ყვარყვარე ახალქალაქს. და გაემარჯვა მეფეს ჴელთ დარჩა ყვარყვარე და მისი ლაშქარნი და დაიპყრა ძემან ალექსანდრესმან სრულიად საათაბაკო[55].
10. სკდ — **1536** — აქა არს წელიწადი შჳდი ათას ოცდაორი ვიდრე აქამდე.
11. სლვ — **1548** — აქა დაიჭირა მეფემან ბაგრატ ლეონ დადიანი[59].

---

[1] 8 გვ. ნუსხ. b. ჭ ]ჰოი. J—არ არის.[2] 10 გვ. ნუსხ. b. [3] ნუსხ. b. [4] 11 გვ. ნუსხ. a. ბოლო სიტყვა—„ათაბაკი“ მიწერილია ნუსხური b-თი. [5] ნუსხ. b. [6] ნუსხ. a. ათაბაკი—ნუსხ. b. [7] 12 გვ. ნუსხ. b. J—სხვა მსგავსი ცნობები. [8] ნუსხ. a. [9] ნუსხ. b. [10] ნუსხ. b. J—სხვა მსგავსი ცნობები. [11] — [12] 13 გვ. ნუსხ. b.

ეროვნული ბიბლიოთეკა

12. სლჱ — **1550** — და გაიპარა [ლეონ დადიანი და მოვიდა შინა.

13. სმდ — **1556** — აქა დაჯდა ტბევრად ხახულარი წყმედიძე მამა საბა[62].

14. სნვ — **1568** — აქა იყო დიდი ჟამი იმერეთს. ამავე ქორონიკონსა თვესა ივნისსა კდ გაურისხდა ღმერთი ხოსროსა, ვახტანგის შვილსა, ულალტა მეფეს გიორგის, ძესა ბაგრატისსა ა. ტყვე იქმნა ძმისწული მეფისა, ძე კოსტანტინესი. განერა მეფე მშვიდობით[65].

15. სიზ — **1579** — ესე არს აწინდელი ქორონიკონი, რომელსა დაიწერა.

16. სიზ — **1579** — აქა ლალა ფაშა გამოვიდა[71].

17. სო — **1582** — აქა მანუჩარს ულალტეს ფაშებმა ათაბაკს[73].

18. სოდ — **1586** — აქა ელენე დაიბადა ახალციხელი[75].

19. სოზ — **1057** XIII მოქ. | ამა ქორონიკონსა დავით ალმაშენებელს გელათი დაუწყია და ქორონიკონი მობრუნებული არი[15].

20. სოე — **1587** — აქა დაიჭირეს სამცხე ისმაელთა[76].

21. სოთ — **1591** — აქა შამოება მეფე როსტომს დადიანი და გაემარჯვა მეფე როსტომს და დაიპყრეს ქართველნი[79].

22. სპთ — **1601** — აქა დაიპყრა სრულებით დუვალეთოსეთი და ალილო ციხე და სოფლები მეფემან როსტომ იმერეთისამან[84].

23. სყა — **1603** — აქა ელენე კახ მეფემან წაიყვანა[87].

24. ტკე — **1637** — აქა საფარიძე გედეონ მტბევარს (sic) დაჯდა.

25. ტკე — **1637** — აქა მიიცვალა მეფე გიორგი იმერეთისა ძე მისი დიდი ალექსანდრე მეფედ დაჯდა[110].

---

[13] ნუსხ. a. [14] 14 გვ. ნუსხ. b თ. ჟორდანიას ქრონიკებში (II; გვ. 411) ეს ცნობა შეცდომით (კორექტურული) მიწერილია ჟამნი № 3-ზე. [15—16] ნუსხ. a. [17] ნუსხ. a. ათაბაკს—ნუსხ. b. [18] 15 გვ. მხედრ. a. [19] ნუსხ. b. [20] ნუსხ. a. J—არ არის. [21] ნუსხ. b. [22] ნუსხ. b.[23] მხედრ. a. [24] 17 გვ. ნუსხ. a. მტბევარს || მტბევარად (?). [25] 18 გვ. ნუსხ. b.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



სურ. 4. A–1153, IX, 241 r

26. ტლჱ — **1650** — აქა საფარიძეს მტბევარს იშხნელობა და მაწყვერლობა მოუღეს ხვანთქრისაგან[118].

27. ტმ — **1652** — აქა ჯვარცმას აქეთ ათას ქ. მ. ბ. წელიწადი გამოსრული[120].

28. ტმბ — **1654** — აქა მიიცვალა დიდი მამუკა ბატონისშვილი იმერეთისა. დადიანმა ლეონ დაამავა და იქივ მიიცვალა[121].

29. ტმვ — **1658** — აქა შამოებენ მეფეს ალექსანდრეს ბანძას დადიანი ლიპარი, გურიელი ქაიხოსრო. ფარათ-ფაშა და ურუმის ჯარი გურიელს იახლა, დადიანს ქართველი ლაშკარი მეფე როსტომ ათხუვა. მეფეს ალექსანდრეს გაემარჯვა[124].

30. ტმზ — **1659** — აქა მიიცვალა ყოველთა მეფეთა მჯობი დიდი მეფე ალექსანდრე იმერეთისა[126].

31. ტნა — **1663** — აქა მოვიდა ლეონ დადიანი და შამოება მეფეს ბაგრატს ქუთათის ანძილახის საყდარს უკან და მეფეს ბაგრატს გაემარჯვა[129].

32. ტნე — **1667** — აქა მიიცვალა ლევან დადიანი[135].

33. ტნვ — **1668** — ამა ქორონიკონსა ფაშამ ჩამოიყვანა კახ ბატონის ქალი დარიჯან დედოფალი. — გააბატონეს, მაგრამ ქუთათის ლეჩხუმლებმა მოკლეს და ისევ ბაგრატს დარჩა მეფობა[136].

34. ტჲბ — **1674** — აქა დაესხა ქუთათის მეფე ბაგრატს ასან ფაშა, გურიელი გიორგი. და შეება მეფე და ფაშას გაემარჯვა. წვრილი კაცი დაჴოცეს და ცხენოსანი ჭ~ხთაშიდ გარდაყარეს[140].

35. ტჲთ — **1681** — აქა მიიცვალა მეფე ბაგრატ იმერეთისა, ძე ალექსანდრესი. ვაჲ, მემკჳდრე ბატონის გარდაშენება[146].

36. ტობ — **1684** — აქა როკით მეფეს ალექსანდრეს გურიელი გიორგი შამოება და მეფეს გაემარჯვა[148].

---

[26] ნუსხ. a. J—არ არის. [27] მხედრ. b. A, J—არ არის. დაშვებულია ათწლიანი მექანიკური შეცდომა (ათას ქ. მ. ბ.—1642) [28—29] ნუსხ. b. [30—32] ნუსხ. b. [33—36] 19 გვ. ნუსხ. b.

ეროვნული ბიბლიოთეკა

37. ტოთ — **1691** — აქა შამოება გოდოგანს მეფე არჩილს მეფე ალექსანდრე და გაემარჯვა არჩილ მეფეს[152].

38. ტპა — **1693** — ამა ქორონიკონსა მიიცვალა კახელი ბატონიშვილი მარიამ ყოვლითა სიკეთითა გასრულებული. უფალო მოიხსენე სასუფეველსა შინა ცათასა. — ახალციხეს.

39. ტჟ — **1702** — ქრისტეს აქეთ ჩღბ.

40. ტჟბ — **1704** — აქა ეკურთხა მონაზვნად ბაგრატ იმერეთის მეფის ასული, იყო წლისა კგ[157].

41. ტჟზ — **1709** — აქა დეკენბერსა შამოებენ მეფე გიორგის მალლაკს დადიანი გიორგი ოდიშარი თანა ახლდაენ (sic), ზოგიერთი იმერლებიც თანა ახლდენ. და მეფე გიორგის გაემარჯვა[162].

42. უით — **1731** — აქა მიიცვალა მარიამ დედოფალი, დადიანის ასული, მეფე ალექსანდრეს მეუღლე[181].

43. უკ — **1732** — აქა გაემარჯვა მეფე ალექსანდრეს ჩიხორს — ოტია დადიანი დაიჭირეს. რაჭის ერისთავი და აბაშიძე გაიქცა[182].

44. ულთ — **1751** — აქა მიიცვალა მეფე ალექსანდრე[189].

45. უმვ — **1758** — აქა გაემარჯვა ხრესილზედ მეფე სოლომონს, დადიანი თან ახლდა. ახალციხისა და აჭარის ჯარი სულ იყო — ერისთავი, აბაშიძე, წულუკიძე ახლდენ. გოლა ფაშა დაირჩინეს, აბაშიძე მოკლეს, წულუკიძე დაიჭირეს, თათარი გასწყვიტეს და ზოგი ცოცხალი შეიპყრეს[192].

46. უნვ — **1768** — აქა ერისთავი წაახდინა მეფე სოლომონ[197].

47. უნზ—**1769**—აქა რუსი მოვიდა იმერეთს[193].

48. უნჱ — **1770** — აქა რუსის ჯარმან და მეფე სოლომონ ქუთაისი აიღეს ფერისცვალებას. ქმა-

---

[37] 20 გვ. ნუსხ. b [38] მხედრ. a ახალციხეს—ჩამატებულია შემდეგ განსხვავებული ხელით. [39—40]. ნუსხ. b. [41] 21 გვ. ნუსხ. b. [42—43] 22 გვ. ნუსხ. b. [44—45] 23 გვ. ნუსხ. b. [46] 24 გვ. მხედრ. b აღწერილობაში შეცდომით მოცემულია ქორონიკონი — უნზ. [47-53] ნუსხ. b.

ვე წელსა ბაღდათი, შორაპანი და ცუცხვათი აიღეს[198].

ეროვნული ბიბლიოთეკა

49. უჲბ — **1775** — აქა გაემარჯვა ჩხერს მეფე სოლომონს — ხუთი ათასი ლეკის და თათრის ჯარი იყო — აბაშიძე ჩამოუძღვა. თათარი და ლეკი სულ გასწყვიტეს და აბაშიძე გაიქცა[199].

50. უჲდ — **1776** — აქა მიიცვალა მეფის ძე, კათალიკოზ-გაენათელი იოსებ[200].

51. უჲვ — **1778** — აქა მიიცვალა დედოფალი მარიამ[201].

52. უჲჱ — **1780** — აქა გაემარჯვა სოლომონს. დადიანი კაცია თანა ახლდა რუხვს. აფხაზი, ჩერქეზი, თათარი თერთმეტი ათასი კაცი იყო. — გააქციეს ამოსწყვიტეს და მრავალი ცოცხალი შეიპყრეს[203].

53. უობ — **1784** — აქა მიიცვალა ქრისტეანობისა ნათელი მეფე სოლომონ[204]

54. უოზ — **1789** — აქა არჩილის ძე სოლომონ მეფე იქმნა იმერეთისა ივლისის თუ(ე)ს[205].

55. უპგ — **1795** — აქა მეფე დავით მიიცვალა ახალციხეს[208].

56. უპდ — **1796** — აქა ხოჯა ყაენი მოვიდა ტფილისს[209].

57. უპე — **1797** — აქა მეფე ირაკლი მიიცვალა[210].

58. უპთ — **1801** — აქა მეფე ქართლისა გიორგი მიიცვალა[211].

59. უჟა — **1803** — აქა ლეჩხუმი აიღო მეფე, მეორემ სოლომონ[212].

60. უჟგ — **1805** — აქა პირველად რაჭას ჟამი იყო.

61. უჟჱ — **1810** — აქა რუსთა დაიპყრეს იმერეთი[214].

62. ფ — **1812** — აქა ბუონაპარტე შევიდა მოსკოვშიდ და რუსთა განდევნეს ამავე წელს. და წასრულს წელს იყო სიყმილი და ჟამი იმერეთს[215].

63. ფგ — **1815** — აქა მოვიდა მთავარმმართებელი რტისშჩევი იმერეთს[216].

64. ფგ — **1815** — აქა მიიცვალა მეფე არჩილის-ძე სოლომონ ტრაპიზონს[216].

65. ფჱ — **1820** — აქა ქუთათელი და გენათელი წაიყვანეს რუსეთს მარტის ე დღესა[217].

---

[54]—[57], 25 გვ. მხედრ. ხ. [58]—[60] მხედრ. ხ. [61]—[62] გვ. 26. მხედრ. ხ. [63]—[64] გვ. 26 მხედრ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## XI

### H — 380

### ქამნგულანი, 1636 წ.

ძირითადი მასა კინკლოსის ისტორიული მინაწერებისა გაკეთებულია ერთი ნუსხური ხელით, იმ ხელით, რომლითაც აღნიშნულია კინკლოსის გადაწერის თარიღი: ტკდ ქორონიკონი—1636 წ. ანდერძებიდან ირკვევა, რომ გადამწერია დიაკონი „იოანე მწერალი მცირე“.

კინკლოსის ისტორიული მინაწერები ადრე გამოცემული არ ყოფილა.

1. სკბ — **1534** — ამა ქორონიკონსა არს დასაბამითგან შჳდი ათას ოცდა ორი წელი ვიდრე აქამომდე.
2. სმთ — **1561** — აქა ომი ციხედიდსა იყო[64].
3. სნზ — **1569** — აქა ომი ფარცხისა და დარ[ჩა მე]ფე სჳმონ ყიზილბაშთა[66].
4. სჲზ — **1579** — აქა ლალა ფაშა გამოვიდა[71].
5. სო — **1582** — აქა ბატონს მანუჩარს ულალატეს[73].
6. სოზ — **1589** — აქა ბატონს სჳმონს შემოება დადიანი ოფისკუჭში. დადიანს გაემარჯვა[79].
7. სპა — **1593** — აქა ამ ქორონიკონსა ჩავიდა სარდალი ქართლსა და ბატონი სჳმონ დაიჭირეს[82].
8. სჟ — **1602** — აქა გიორგი მეფე მიიცვალაჲ და ძე მისი ლუარსაბ გამეფდა[86].
9. სჟბ — **1604** — აქა მოკლა კახმან კოსტანტინე მამა და ძმა[88].
10. სჟგ — **1605** — აქა მეფედ დაჯდა ბატონი თეიმურაზ[90].
11. სჟზ — **1609** — აქა მოვიდა თათარხანი და სამცხისა და ნიგლის ჴევის ფაშაები, და შავშეთის ლაშქარი ქართლით. და შეებაჲ ლუარსაბ მეფე. და ლუარსაბ მეფემ გაიმარჯვა[39].
12. სჟზ — **1609** — აქვე დედოფალი მიიცვალა[94].

---

[1] 195 r. ნუსხური a. [2] 195 v. ნუსხური b. ძირითადი მასა მინაწერებისა ამ ხელით არის დაწერილი. [3] ნუსხური b. [4] ნუსხური b. [5] 196 r. ნუსხური b. [6] ნუსხური b. [7] ნუსხური b. [8] ნუსხური b. [9] ნუსხური b. [10] ნუსხური b. [11] 196 v. ნუსხური b. [12] ნუსხური b.

13. სყზ — **1609** — ამავე ქორონიკონსა შაბაზ [illegible] წავიდა ბატონი თემურაზ[94].

14. ტა — **1613** — აქა მოვიდა შაბაზ ყეინი კახეთს და ბატონი თეიმურაზ ლიხთ-იმერეთის მორჩაჲ[99].

15. ტია — **1623** — აქა ულალატა ქართლის მოურავმან ყიზილბაშთა და გაიმარჯვა. და ბევრი ხანი და ლაშქარი ამოსწყუიტა, განჯაჲ დაარბივაჲ და სხვაცა მრავალი ზიანი უყო და კახი მეფე ურუმიდამე მეიყვანა და ბატონად დასვა[102].

16. ტიბ — **1624** — აქა ყორჩიბარჩი ბაში მოვიდა დიდი ომი იყო[103].

17. ტიე — **1627** — აქა მეფემ თეიმურა გაიმარჯვა მოურავზედა[105].

18. ტკ — **1632** — აქა გორი ააგეს ყიზილბაშთა[106].

19. ტკდ — **1636** — აქა ხვანთქარი გამოვიდა და ერევანი წააჴდინაჲ[108].

20. ტკზ — **1639** — აქა ჩიძავაძის ქალი მოიყვანეს.

21. ტკჱ — **1640** — აქა გიორგი დაიბადა.

22. ტლდ — **1646** — დარეჯან მიიცვალა.

23. ტმვ — **1658** — აქა როსტომ მეფე მიიცვალაჲ[125].

24. ტმვ — **1658** — აქა შანაოზ მეფე გაბატონდა[125].

25. ტნ — **1662** — აქა ციცისშვილის ქალი მოიყვანეს.

26. ტნბ — **1664** — აქა ბატონი თარხანი იორამ მიიცვალაჲ.

27. ტნბ — **1664** — აქა ბატონი სარდალი პაპუნა მიიცვალაჲ.

28. ტნგ — **1665** — ელენე.

29. ტნდ — **1666** — პატა.

30. ტნვ — **1668** — აქა დიდი ძრვაჲ იყო.

31. ტნჱ — **1670** — აქა ბატონიშვილი ბატონი დედისიმედი მიიცვალაჲ.

32. ტჲდ — **1676** — ბადური.

33. ტჲდ — **1676** — აქა ზაზა სარდალი მოკლეს[143].

---

13 ნუსხურ b. შაბ˜აზ. 14 ნუსხ. b. შაბაზ. 15 ნუსხ. b. 16 ნუსხ. b. ყორჩიბჲრჩი. 17 ნუსხ. b. 18 ნუსხ. b. 19 197 r. ნუსხ. b. 20 ნუსხ. b. 21 ნუსხ. b. 22 ნუსხ. b. 23 ნუსხ. b. 24 ნუსხ. b. 25 ნუსხ. b. 26 192 v. ნუსხ. c. 27 ნუსხ. c. ბჲ˜ტნი (წინა შემთხვევაშიც ასევე). 28 ნუსხ. d. 29 ნუსხ. d. 30 ნუსხ. c. 31 ნუსხ. c. 32 ნუსხ. d. 33 ნუსხ. d.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სურ. 5. H—380, XI, 196 v

34. ტჲვ — **1678** — აქა გ ი ო რ გ ი მეფე გაბატონდა[142].
35. ტჲჱ — **1680** — მ ა მ უ კ ა.
36. ტჲთ — **1681** — ე ლ ე ნ ე წაიყვანეს.
37. ტო — **1682** — ზ უ რ ა ბ ი.
38. ტოა — **1683** — ი ე ს ე.
39. ტოა — **1683** — აქა მ ა რ ი ა მ დედოფალი მიიცვალა[147].
40. ტობ — **1684** — აქა ჟამი გამოჩნდა.
41. ტოდ — **1686** — აქა წ ა ლ კ ე ლ ი ეპისკოპოზი მიიცვა-
ლა და მწუხარებაჲ არამცირედი დაგუტოვაჲ. საუ-
კუნოჲმცა არს საჴსენებელი და კურთხევაჲ მისი,
ამინ, ღმერთო! ქრისტე! ფ ე ო დ ო რ ე აცხონე.
42. ტოე — **1687** — ქწ. აქა მ ი ქ ე ლ ა ძ ი ს ქალ[ი]...
43. ტოვ — **1668** — ქწ. აქა გ ი ო რ გ ი მეფე [გაა]გდეს[151].
44. ტოვ — **1688** — ქწ. აქა ე რ ე კ ლ ე მეფე მოვიდა[151].
45. ტპბ — **1694** — აქა ა მ ი ლ ღ ა ბ ა რ მიიცვალა ჟამითა.
46. ტპგ — **1695** — აქა პ ა ტ ა ს ქორწილი.
47. ტპვ — **1698** — აქა მ ა ნ ი ნ ა დაიბადა.
48. ტპჱ — **1700** — ქ. აქა რ ო დ ა მ დაიბადა.
49. ტპთ — **1701** — ქ. აქა ა ნ უ კ ა [დაიბადა].
50. ტპთ — **1701** — აქა სულკურთხეული ც ი ც ი შ ვ ი-
ლ ი ს ქალი ბატონი მ ა რ ი ა მ მიიცვალა; საუკუნომ-
ცა არს საჴსენებელი და კურთხევა მისი, ამინ.
51. ტჟდ — **1706** — ქ. აქა ე ლ ე ნ ე [დაიბადა].
52. ტჟე — **1707** — აქა ი ო ს ე ბ ყენთან წაიყვანე[ს].
53. ტჟვ — **1708** — ქ. ზ ა ზ ა დაიბადა.
54. ტჟთ — **1711** — ქ. გ ი ო რ გ ი დაიბადა.
55. უდ — **1716** — აქა პატარა ა ვ თ ა ნ დ ი ლ ი დაიბად[ა].
56. უვ — **1718** — აქა ჟამობა. ე ლ ე ნ ე მიიცვალა.
57. უი — **1722** — ამ ქორონიკონს ი მ ა მ ყ უ ლ ი-ხ ა ნ
მიიცვალა და კ ო ს ტ ა ნ ტ ი[ნ ე] გამეფდა[172].

ოდეს ესე ქორონიკონი დაესრულოს თავითგანვე იწყების. ადამს აქეთ წელნი შჳდი ათას ას ორმოცდასამი იყუჲს, ქრისტეს აქეთაჲ ათას ექვსას ოცდათხუთმეტი, ზედნადები იჱ, მზის მო[ქ]ცევა გ, მოქცევა მთვარისა ით, ქართულად ქორონიკონი ტკდ*.

---

[34] ნუსხ. c. [35] ნუსხ. d. [36] ნუსხ. c. [37] ნუსხ. d. [38] ნუსხ. d. [39] ნუსხ. c. [40] ნუსხ. c. [41] ნუსხ. b-ს. მიაგავს ძალიან, მაგრამ სხვა ხელია. [42] ნუსხ. e. [43] ნუსხ. e. [44] ნუსხ. e. [45] 198 r. ნუსხ. c. [46] ნუსხ. c. [47] ნუსხ. f. [48] მხედრული a. [49] მხედრ. a. [50] ნუსხ. f. [51] მხედრ. a. [52] ნუსხ. e. [53] მხედრ. a. [54] მხედრ. a. [55] მხედრ. a. [56] მხედრ. b. [57] მხედრ. c. *ნუსხური.



ეროვნული ბიბლიოთეკა

XII

## S — 1204

## ქამნგულანი, XVII—XVIII სს.

კინკლოსის სტრიქონებს შუა (199r—201v) მოთავსებული ქრონიკალური ცნობები შესრულებულია კინკლოსისავე გადამწერის ხელით (ნუსხურად). ისტორიული მინაწერები ამ ხელნაწერისა თ. ჟორდანიას ქრონიკებში შესულია როგორც წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელნაწერ 1204-ის ცნობები. მთლიანად ქრონიკა გამოცემულია ხელნაწერთა ინსტიტუტის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის (S ფონდი) მეორე ტომში, 1964 წ., გვ. 98.

1. რლბ — **1444** — აქა კოსტანტიპოლი დაიჭირეს თათართა[30].
2. სმდ — **1556** — აქა შაჰთამაზ ჩადგა ქართლს და სომხითს და აღაოჴრა სრულად ხევთამდის[61].
3. სმჱ — **1560** — აქა გურიელი როსტომ გარდაჴდა. მისი ძე გიორგი გურიელად დაჯდა[63].
4. სნზ — **1569** — აქა სჳმონ მეფე ქართლისა დაიჭირეს თათართა ომშიდ[66].
5. სნთ — **1571** — აქა ლეონ დადიანი ცხენმან მოკლა[67].
6. სჲვ — **1578** — აქა შაისმელი გარდაიცვალა[70].
7. სო — **1582** — აქა ათაბაგს აწყუჷრს უღალატეს; გეემარჯვა, თათარი გაიქცაჲ[73].
8. სოე — **1587** — აქა ახალციხე ააშენეს ურუ[მ]თა: [დას]აბამითგან წელთა შჳდი ათას ოთხმეოცდა ათოთხმეტიაჲ. ნახეთ ამას უკან საქმე როგორ მოვაჲ[76].
9. სოვ — **1588** — აქა განქა (!) აშენეს[77].
10. სოთ — **1591** — აქა გურიელს მამიას აფხაზზე გაემარჯვა[78].
11. სპე — **1597** — აქა დედოფალი ათაბაგის ქალი მოიყვანეს[81].
12. სპჱ — **1600** — აქა დიდი გურიელი გიორგი მიიცვალაჲ[83].

---

[1] 199 v. თ. ჟორდანიას ქრონიკებში კონკრეტულად ეს ცნობა არ არის. არის სხვა მსგავსი ცნობები.[2] 200 r J—ეს ცნობები არ არის. [3] J—ეს ცნობა არ არის. [5] J—აქაჲ. [6] J—ქორონიკონი სჲე-1577; შაჰისმაილ. [7] J—აწყვერს. [8] J—სოე—1585. [9] 200 v განქა კალმისმიერი შეცდომა უნდა იყოს; J—სოზ 1589. განძა?[10] J—აბხაზზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



სურ. 6. S—1204, XII, 200 r

13. სჳდ — **1606** — აქა სჳმონ დაიბადა ბატონისშვი-
ლი[91].

14. სჳზ. — **1609** — აქა დედოფალი თინათინ მიიცვალა;
აქ აშენეს შალეთს საყდარი[95].

15. სჳჱ — **1610** — აქა მამია გურიელმან აჭარა
დაიჭირა[96].

16. სჳთ — **1611** — აქა დადიანი მანუჩარ ცხენმან
მოკლა[97].

17. ტ — **1612** — აქა მანუჩარ ბატონისშვილი მიიც-
ვალა.

18. ტკჱ — **1640** — აქა ვახტანგ გურიელი მიიცვა-
ლა[98]. ქაიჴოსრო გურიელად დაჯდა[113].

19. ტლე — **1647** — აქა მოიყვანეს დედოფალი ხუარამ-
ზე[116].

20. ტლთ — **1651** — აქა დაიბადა ბატონისშვილი გიორ-
გი[116].

21. ტნდ — **1666** — აქა მოიყვანეს დედოფალი თამარი[139].

22. ტნზ—**1669**—აქა დაიბადა ბატონისშვილი ქაიჴოს-
რო[139].

23. ტოგ — **1685** — აქა როკეთს შეიბენ, გიორგი გუ-
რიელი მოკლეს. მისი შვილი ქაიხჴოსრო დაჯ-
და[148].

24. ტოვ — **1688** — აქა მამია გურიელი დაჯდა ბა-
ტონად[149].

25. ტოზ — **1689** — აქა მოიყვანეს დედოფალი ელენე,
აბაშიძის ქალი[149].

26. ტპგ — **1695** — ამა ქორონიკონსა... ათანასე ნი-
კოლოზის შვილი.

27. ტპჱ—**1700** —აქა ბატონისშვილი გიორგი
დაიბადა[155];
ქრისტე, შეიწყალე ცოდვილი ნიკოლოზ მღვდე-
ლი*.

---

[13] J, A—ბატონიშვილი. [14] J—ეს ცნობა არ არის. A—„აშენეს ბჲლეთს საყდარი". [18] 201 r. [20] J—ტმ—1652. [21] 201 v. A—მიიყვანეს. [22] A—ბატონიშვილი. J—ეს ცნობა არ არის. [23] J—ეს ცნობა არ არის. მის ნაცვლად ამ ქორონიკონზე ქრონიკებში (II, გვ 504.) ვკითხულობთ: „აქა ჯუმათელი შარაშიძე მიიცვალა" (წერა-კითხ. № 1204), რასაც ჩვენ ხელნაწერში ვერ მივაკვლიეთ. ტოე (1687 წ.) ქორონიკონზე ქრონიკებში (II, 505) წერია: „აქა ჯუმათელი იოანე ბერიძე დაჯდა ჯუმათლად" (წერა-კითხ. № 1204). ხელნაწერში არც ეს ცნობა ჩანს. [24]—[27] J—ეს ცნობები არ არის.

* 220 r. ტექსტის ხელი.

## XIII

## H—381

### ჟამნგულანი, 1703 წ.

მინაწერებიდან ირკვევა, რომ ხელნაწერი გადაწერილია დიაკონ ბაბუხადიას და იოანე პატარიძის მიერ, ფირან მხეიძის ბრძანებით. ძირითადი მასა კინკლოსის ისტორიული მინაწერებისა, შესრულებული კინკლოსისავე გადამწერის ხელით, იოანე პატარიძის მიერ უნდა იყოს ჩაწერილი. თავში კინკლოსს მე-200 ქორონიკონამდე ფურცლები აკლია.

კინკლოსის ისტორიული მინაწერები გამოქვეყნებულია ექ. თაყაიშვილის მიერ (ძველი საქართველო, ტ. II, განყოფილება III, გვ. 67—72). მინაწერები კინკლოსური ცხრილის ხელით სრულდება 1703 წ. არის შემდგომი მინაწერებიც, რომლებიც 1803 წლამდე მიდის. ქრონიკის საერთო ქრონოლოგიური ჩარჩოებია 1512 — 1803 წწ.

1. ს — **1512** — ამ ქორონიკონსა ხუანთქარმან გელათი და ქუთათის[ი] დაწუა[48].
2. სზ — **1519** — ამა ქორონიკონსა დაჯდა გელათს ეპისკოპოზად საყვარელიძე მელქ[ისედეკ][52].
3. სოზ — **1057** XIII მოქც. — ამა ქორონიკონსა დავითს, აღმაშენებელს, გელათი დაუწყია და ქორონიკონი მობრუნებულა[15].
4. სოთ— **1591** — ამა ქორონიკონსა შეიბენ მეფე როსტომ დადიანი მეფეს სვიმონს; და იმერელს და ოდიშარს გაემარჯვათ ამავე ქორონიკონს[79].
5. სჟბ— **1604** — ამა ქორონიკონსა მიიცვალა მეფე როსტომ[89].
6. ტია — **1623** — ამა ქორონიკონსა, დეკენბერსა თ, შეიბენ გოჭოურას მეფე გიორგი და ლევან დადიანი. დადიანს გაემარჯვა[101].
7. ტიგ — **1625** — ამა ქორონიკონსა შვილმა მამია გურიელი მოკლა[104].

---

[1] 470 r. [3] 473 v. როსტომ, დადიანი] როსტომ (და) დადიანი—T. [5] 474 r. [6] 475 r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. ტკე — **1637** — ამა ქორონიკონსა მიიცვალა მეფე გიორგი[110].

9. ტმბ — **1654** — ამა ქორონიკონსა მიიცვალა მამუკა ბატონიშვილი; დადიანმა ლეონ დაამავა და მუნ აღესრულა დარჩენილი[121].

10. ტმე — **1657** — ამა ქორონიკონსა მიიცვალა დადიანი ლეონ და გაახატონა მეფე ალექსანდრემ ვამეყ; და ჭილაძე, მიქელაძე დადიანმა და ოდიშარმა მოსცეს ძმის სისხლშიდ[124].

11. ტმზ — **1659** — ამა ქორონიკონსა შემეება მეფეს ალექსანდრეს დადიანი ლიპარ და ქაიხოსრო გურიელი; ფარათ ფაშასა ურუმნი ახლდენ და ქართველთ ბატონის სახლით-უხუცესი ციციშვილი და ქართველთ ლაშქარი გუწრც ახლდენ ბანძას; მეფეს ალექსანდრეს გაემარჯვა[124].

12. ტმთ — **1661** — ამა ქორონიკონსა მიიცვალა მეფე ალექსანდრე და ძე მისი ბაგრატ მეფედ დაჯდა[126].

13. ტნვ — **1668** — ამა ქორონიკონსა ფაშამ ჩამოიყვანა კახი ბატონის ქალი დარიჯნა (sic) დედოფალი: გააბატონეს, მაგრამ ქუთათის ლეჩხუმლებ[მ]ა მოკლეს. ისევ ბაგრატს დარჩა მეფობა[136].

14. ტჲ — **1672** — ამა ქორონიკონსა დაესხა მეფეს ბაგრატს ქუთათის ასან ფაშა. მეფე ჴელთ დარჩა, დაიმერეთი და ოდიში აარხრა. ქუეყანაჲ ვერ დაიჭირა და ისევ მეფე გააპატონა[140].

15. ტჲბ—**1674**—ამა ქორონიკონსა შემოებენ ქუთათის ციხეს მეფე ბაგრატ და იმერელნი, ურუმთ ეჭირა. აღებით აიღეს, მაგრამ [მ]ოშალეს. ღმერთმან ცოდვა [მი]სცეს [ვ]ინც მოშალა. ქუთათისი დასწვეს და ქალაქი აღაოჴრეს[140]...

16. ტჲზ — **1679** — ამა ქორონიკონსა ჩამოვიდა იმერეთის დასაჭირვად მეფე არჩილ[144].

17. ტჟა — **1703** — ამა ქორონიკონსა ჩამოვიდა აზრუმის ფაშას. საბეკას ციხე, ჭალატყის ცი-

---

[8] 475 v. [9] 476 v.[13] 477 r. [15] ღმერთმან ცოდვა მისცეს, ვინც მოშალა] ღმერთმან ხედვა მისი ციხე ვინც მოშალა—T. [16] 477 v. [17] 478 v.

ხე, შორაპნის ციხე დააქციეს, მრავალი ქვეყანა-
დაწვეს, დაკაფეს და აოხრეს[158].

18. ტჟჱ — **1710** — ამა ქორონიკონსა გაემარჯვა მეფე გიორგის ფარცხანაყანევს დადიანსა და რაჭის ბატონზედ და ვაკის ბატონზედ[162].

19. ჳ — **1712** — ამა ქორონიკონსა გაემარჯვა ჩხარს მეფე გიორგის[164].

20. ჳკ — **1732** — ამა ქორონიკონსა მეფე ალექსანდრეს თავის ძმა შემოება. დადიანი, ერისთავი, აბაშიძე თანა ახლდა. მეფე ალექსანდრეს გაემარჯვა ჩიხორს; დადიანი დაირჩინეს. თუესა დეკენბერსა კე[182].

21. ჳმე — **1757** — ამა ქორონიკონს იქმნა ხრესილის ომი თათრებს, ვეზირის ჯარს ახლდენ ერისთავი და აბაშიძე, წულიკიძე (sic) და მეფეს შამოებენ. და გაემარჯვა მეფე სოლომონს. აბაშიძე მოკლეს, ერისთავი გააქციეს, წულუკიძე დაირჩინეს. ქემხა და ბაშალა მოკლეს, სხვა უანგარიშო მოკლეს და დაირჩინეს დეკემბერსა იდ, დღესა კჳრიაკესა[192].

22. ჳნ — **1762** — ამ ქორონიკონს ქაიხოსრო აგიაშვილის სალ[194]...

23. ჳჲვ — **1778** — ქ. ამ ქორონიკონს მიიცვალა დედოფალი მარიამ, დიდი მეფის სოლომონის [მეუღლე][201].

24. ჳობ— **1784** — ამა ქორონიკანსა მიიცვალა ნეფე სოლომონ[204].

25. ჳპა — **1793** — ამა ქორონიკონსა მიიცვალა სარდალ-ქეშიკთუხუცესი ციხისთავი აგიაშვილი ქაიხოსრო[207].

26. ჳპბ — **1794** — ამ ქორონიკონს მიიცვალა მეფე დავით[208].

27. ჳპე — **1797** — ამ ქორონიკონს მიიცვალა მეფე ერეკლე[210].

28. ჳჟა — **1803** — ამა ქორონიკონს მიიცვალა დადიანი გრიგოლ[213].

---

[18] 470 r. უფრო ბაცი მელნითაა ნაწერი, ხელიც განსხვავებულია. ნუსხ. b. [19] ნუსხ. c. [20] 480 r. ნუსხ. c. [21] 481 r. ნუსხ. d. [22] მქრალი მხედრული. [23] 482 r. მხედრ. a. [24] მხედრ. a. [25] 482 v. მხედრ. a. [26] მხედრ. b. [27] 483 r. მხედრ. a. [28] მხედრ. a.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რ~ჲ დათავდეს თავსავე დაიწყე. სადა ქანწილი უზის—ეს ქორონიკონი მე დამიწერია ი ო ა ნ ე ს (ი~ეს)*.

ქ. ღმერთი შეიწყალე ი ო ა ნ ე პ ა ტ ა რ ი ძ ე, ამინ და კირიელეისონ! ღმერთო ნუ წარსწყმედ**.

## XIV

### A — 186ა

### გელათის გულანი, XVII ს.

ისტორიული მინაწერები მისი კინკლოსისა გამოცემულია თ. ჟორდანიას მიერ (იხ. Описание рукописей и старопечатных книг церковного музея духовенства грузинской епархии, ტ. I, გვ. 196 — 197). ქრონიკალური ცნობები ჩართულია აგრეთვე თ. ჟორდანიასავე ქრონიკებში.

კინკლოსის დასასრულს, მთავრული ასოებით, რომელთაგან თითოეული ნუსხურით ნაწერი დახვეული სტრიქონებით არის მოხაზული, ვკითხულობთ: „ღმერთო! შეიწყალე ცოდვილი დიმიტრი, ამინ! (ღ~ე შ~ე ც~ი დ ი მ ი ტ რ ი ა~ნ)“. ტექსტიდან ირკვევა, რომ ხელნაწერი გენათელი მთავარეპისკოპოსის ზაქარიას ბრძანებით გადაუწერია დიმიტრი მღვდელს, ორ სხვა პირთან ერთად.

1. სზ — **1519** — ამა ქორონიკონსა გ ე ლ ა თ ს ეფისკოპოზი დამჯდარა[52].
2. სპა — **1593** — ამა ქორონიკონსა ო ფ ი შ კ ჳ დ ს ომი ყოფილა.
3. სჟდ — **1606** — ამა ქორონიკონამდის გ ე ლ ა თ ი რომ დაწყებულა, ფ წელიწადი გარდასრულიყო[15].
4. ტი — **1622** — ამა ქორონიკონსა, დეკემბერსა თ. გ ო ჭ ო უ რ ი ს ომი იქნა[101].
5. ტლა — **1643** — ქ. ამა ქორონიკონსა დაიბადა ე ლ ე ნ ე ს ა ხ ლ ი ს-უ ხ უ ც ე ს ი ს ქ ა ლ ი, თვესა ფებერვალსა.

---

* 1703 წლამდელი მინაწერების ხელი.

** ოდნავ განსხვავებული ხელი, უფრო ბაცი მელანი.

[1] 547 გვ. ნუსხ. a. (გადამწერისავე ხელი). ეფისკოპოზი] ეპისკოპოსი — J (II, 335).[2] 548, ნუსხ. a ოფიშკჳდს] ოფიშკჳმს — J (II, 427). [3] ნუსხ. a. [4] 549 გვ. ნუსხ. a. გოჭოურის] გოჭაურის — J (II, 445). [5] მხედრული a. J — ეს ცნობა არ არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. ტმა — **1653** — ამა ქორონიკონსა მიიცვალა [illegible] ნისშვილი მამუკა თუÇსა დეკენბერსა[121].

7. ტმდ — **1656** — ამა ქორონიკონსა ტმდ, აკურთხა მიტროპოლიტად ი(?) გაენათელი ზაქარია ქვარიანი ღირსმან და ღუთისმოყვარემან აფხაზეთისა კათალიკოზმან მაქსიმე მაჭუტაძემან თუÇსა ივნისსაჲ[122].

8. ტმვ—**1658**—ამა ქრონიკონსა მეფეს ალექსანდრეს გურიელი ქაიხოსრო და დადიანი ლიპარი შემოებენ ბანძას. ქართველთ ლაშქარი და ურუმი გვერც იახლათ, ოდიშარი და გურიელნი უნაკლულოდ გვერც იახლათ. მივიდა მეფე ბანძას, ეწყო ბრძოლად. — დადიანი ლიპარი მოკლეს და გურიელი ქაიხოსრო ლტოლვილი სტამბოლს შეიქცა და საქართველო მეფეს დარჩა [124].

9. ტმÇ — **1660** — ამა ქორონიკონსა, თვესა მარტსა დ, მეფე ალექსანდრე მიიცვალა. ამავე წელსა და ამავე თვესა მის წილ ძე მისი ბაგრატ მეფე იქმნა; — და [ა]მავე წელსა თვესა ივლისსა ულალატა დედინაცვალმა და ზოგმა მისმა ორგულმა ყმებმა. დაიჭირეს და თვალი დასწვეს. და სამს წელიწადს იმერეთი ოხერ და უმკვიდრო იქმნა; — ზოგჯერ დადიანს ეპ[ყ]რა, ზოგჯერ ყიზილბაშთაგან, ზოგჯერ ურუმთაგან და ერთს წელს გურიელიც მეფობდა. ესეთი უსაზომო ჭირი იქნა ამისის დაშავებითა. და გ წელიწადს კათალიკოზმა ჩხეიძემ სვიმეონ და მისმა ძმამ სახლისუხუცესმა სეხნიამ და გენათელმა ლორთქიფანიძემ გედეონ დიდის ცდითა მოიყვანეს და გააბატონეს (თვესა ივლისს ოცდა ექვსსა)[126].

10. ტმÇ — **1660** — ქ. ამა ქორონიკონსა დაიბადა ოტია ლორთქიფანიძე, ღმერთო გაზარდე!

---

[6] ნუსხ. a. თუÇსა] თუესა — J. [7] ნუსხ. a. [8] ნუსხ. a. ტექსტის ნაწილი ფურცლის თავშექცევითაა დაწერილი. [9] ნუსხ. a. ერთი ნაწილი ტექსტისა კინკლოსის ცხრილის თავშექცევითაა ნაწერი. პირველ და მეორე ნაწილებს შუა წინამავალი ცნობაა ჩაწერილი. [5] დასწვეს] დაწუეს — J. [7] — ეპყრა] ეჭირა — J. [9] კათალიკოზმა ჩხეიძემ] კათალიკოზმან ჩხეტიძემ — J. [10] მინაწერი მოგვიანო მხედრულით. J — არ არის.

11. ტნა — **1663** — ამა ქორონიკონსა ვინც იმერელ[illegible] მის ღალატშიდ არ ერია, შოიყ[ვა]ნეს მეფე ბაგრატ და გააბატონეს თვესა გიორგ[ობისასა][129].

12. ტნბ — **1664** — ამა ქორონიკონსა მეფე ბაგრატ, დადიანი ლევან შეიბნეს ბანძას და მეფეს გაემარჯვა. დადიანი ჴელთ დარჩა, ცოლი წაართვა. მან შეირთო და თავისი და თინათი (sic) დადიანს შერთო, ნახეთ უბატონოთ იმერელთ რჯმალი[132].

13. ტნვ — **1668** — ქ. ქორანიკონსა ამას, დედოფალმან ნესტან-დარეჯან ჩამოიყვანა ურუმის ლაშქარი და მრავალი ავი ქნა, და მრავალი სოფელი წახდა; და კიდეცა შიმშილობა ქნა. იმ წელს მე, გენათელმა გედეონ, ხიდი ავაშენე ჴიშურაზედა სულის ჩემის საოხად. და ვინცა შენდობა ბრძანოთ, ღმერთმან თქვენცა შეგინდნეს, ამინ!

ქ. მეორესა წელსა გელათს, წყალწითელზედ ვაშენებდი ხიდსა და არ დამაცალეს რაჭველებმა, თვარა გათავებას უპირობდი; ამა წელსა აღდგომა აპრილსა თერთმეტსა იყო[136].

14. უკდ — **1736** — ამ ქორონიკონს წინამძღვრად დავჯედ მე ცოდვილი იოანე, ძე ენისელთ მოურავისა გივისა. ღ~თ შ~ე.

15. ულ — **1742** — წ. ერთსა ამას ქორონიკონს მიიცვალაჲ ნინოწმიდელი ვაჩნაძე იოსებ, თვესა ფებერვალს ია, ღამესა ორ ჟამსა.

## XV

### *Q* — **103 ბ**

(პირი H—3005)

1749 წ.

დიდი ფორმატისა და მოცულობის ხელნაწერი სამ წიგნადაა დაშლილი. ხელნაწერი სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია შემოქმედის გულანის სახელწოდებით. კინკლოსის ისტორიული მინაწერები გა-

---

[11] 550 გვ. ნუსხ. a. თავშექცევით ცხრილის ტექსტისადმი. თვესა გიორგ] თვესა გიორგობისთვესა — J. [13] მხედრული b; შეგინდნეს] შეგინდეს — J. [14] 551. ნუსხ. b. [15] ნუსხ. b.



ეროვნული ბიბლიოთეკა

მოცემულია დიმიტრი ბაქრაძის მიერ (იხ. Д. Бакрадзе, Археологические путешествия по Гурии и Адчаре, გვ. 149 — 154). გულანის ქრონიკალური ცნობები შესულია თ. ჟორდანიას ქრონიკებში და ბოლოს მისი ისტორიული მინაწერები დაბეჭდილია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობაში — Q კოლექცია, ტომი I, 1957, გვ. 121—122.

დიდი ნაწილი მინაწერებისა გადმოწერილია კინკლოსთან ერთად და ჩართულია უშუალოდ სტრიქონებს შუა კინკლოსის გადმომწერისავე ხელით, მოკიდებული პირველი მინაწერიდან 1749 წლამდე, სადაც ვკითხულობთ: „ამ ქორონიკონსა დაიწერა წმინდა ესე გულანი“.

1. Ს — **1512** — აქა მოვიდენ თათარნი, ქუთათისი და გელათი დაწვეს[48].

2. Სიგ — **1525** — აქა გელათს ომფორი დადვეს[52].

3. Სკზ — **1539** — აქა შვდგზის წყეულნი სომეხნი შეიშალნეს[56].

4. Სობ — **1584** — აქა მეფე გიორგი მოკუდა და ძე მისი ლეონ მეფედ დაჯდა[74].

5. Სპვ — **1598** — აქა გურიელი, ბატონი გიორგი, მიიცვალა და ძე მისი მამია დაჯდა ჴელმწიფედ[83].

6. Ⴒიე — **1627** — აქა გურიელს მამიას ულალატეს და მოკლეს[104].

7. Ⴒკვ — **1106** — აქა დავით გელათი დაიწყოჲ[15].
XIII მოქც.

8. Ⴒკზ — **1639** — აქა გურიელი კათალიკოზი მიიცვალაჲ[111].

9. Ⴒკჱ — **1640** — აქა ჯუმათელი ნიკოლოზ მანველისშჳლი დაჯდა[111].

10. Ⴒმბ — **1122**
XIII მოქც. — აქა მიიცვალა დავით აღმაშენებელი[112].

11. Ⴒმთ — **1661** — აქა მეფემან ალექსანდრე გურიას მოუჴდა და გურიელი ქაიხოსრო გარდაავგდო და დიმიტრი გურიელი გურიელად დასვაჲ[127].

12. Ⴒოგ — **1685** — აქა ჯუმათელი შარაშიძე მიიცვალა.

---

[1] 430 г. ქორონიკონი Ს—1512] ქორონიკონი Სა—1513—J (II, 331). [4] 430 v. [5] J — არ არის. [11] 431 г. J — არ არის. [12] J — არ არის, არის სხვა ქრონიკის ცნობა.

13. ტიე — **1687** — აქა ჯუმათელი იოანე ბერი დაჯდა ჯუმათლად.

14. ტქბ — **1704** — აქა მოვიდა გურიას ხალი ფაშა და აოხრა ქვეყანაჲ[159].

15. ტქდ — **1706** — აქა ქორონიკონსა აფხაზი და მეგრელი მიუჴდა ჩოჩხათს და ჯუმათელს შარვაშიძე მაქსიმეს გაემარჯვა.

16. უზ — **1719** — აქა მეფე გიორგი მოკლეს იმერეთს მარტსა, იგ[170].

17. უივ — **1728** — აქა დადიანი ბეჟან მოკლეს თათართა[176].

18 ულზ — **1749** — ამა ქორონიკონსა დაიწერა წმინდა ესე გულანი.

19. უმე — **1757** — ამას ქორონიკონსა იმერეთს თათრის ლაშქარი მოვიდა. მეფეს სოლომონს გაემარჯვა. ლევან აბაშიძე მოხკლეს, გოლა ფაშა დაბაშ ალა დაირჩინეს და მერმე მოხკლეს თვესა დეკენბერსა იდ-სა; ამასვე ქორონიკონსა იმერეთს ლეკის ლაშქარი მოვიდა, მრავალი სული ქრისტიანი იშოვნეს, გელათი და სუჯუნის საყდარი დასწვეს თვესა აგვისტოს.[192]

20. უმჱ — **1760** — ამას ქორონიკონსა მზე დაბნელდა თვესა ივნისსა ბ, დღესა პარასკევსა[193].

21. უნა — **1763** — ამას ქორონიკონსა იმერეთს სერესკერი და ახალციხის ფაშა ოთხმოცი ათასი კაცით ჩამოვიდენ. ღვთის ნებით ტყულათ გაიქცა და მრავალი იშოვეს იმერელმან[195].

22. უნბ — **1764** — ამას ქორონიკონსა გურიას სერესკერის ლაშკარი მოვიდა ასკანა, ლეჴოური და ბუკის ციხე ეილეს; ამასვე წელსა მეფე სოლომონ და გურიელი მამია გურიას მოვიდენ და ბუკის ციხე და ასკანის ციხე აილეს.

23. უნვ — **1768** — ამას ქორონიკონსა მეფეს სოლომონს (!) თათარს და აბაშიძე ლევანს შეება ოკრიბას, დღესა Ⴠჳრიაკესა, თვესა დეკენბერს იდ-სა. აბაშიძე ლევან მოკლეს, თათარი ქემ-

---

[17] მარჯვენა აშიაზე. [18] 431 v. კინკლოსის გადამწერის უკანასკნელი ჩანაწერი. [19] აქედან მოკიდებული ყველა დანარჩენი მინაწერი ერთი ხელითაა გაკეთებული. გოლა ფაშაჲ და ბ҃ჲშ ალა] გოპა (!) ფაშა და შჲ҃შალა — A (გვ. 122). [21] გაიქცა] გაიქცენ—A (122 გვ.).

ხ ა დაირჩინეს, სხვა მრავალი დაირჩინეს [illegible]-
ცეს.[192]

ეროვნული
ბიბლიოთეკა

24. უჲვ — **1778** — ამ ქორონიკონს გ უ რ ი ე ლ ი მ ა მ ი ა
მიიცვალა, თვესა ივლისსა.[203]

## XVI

**S — 5091**

## XVII ს.

ლიტურგიკული ძეგლი. გამოკრებილი საკითხავები სახარება-სამო-
ციქულოდან. კინკლოსის ისტორიული მინაწერები ადრე გამოცემული
არ ყოფილა.

1. [ტოვ] — **1688** — ამ ქორონიკონს ფ ი ლ ი პ ე დაიბადა.
2. [ტოვ] — **1688** — ამ ქორონიკონს კ ა ხ ი მ ე ფ ი ს, ბა-
ტონის თ ე ი მ უ რ ა ზ ი ს, ძე ე რ ე კ ლ ე გაბატონ-
დაჲ ქ ა რ თ ლ ს ა ჲ[151].
3. [ტპთ] — **1701** — ამ ქორ[ონ]იკოს (!) გიორგი ...დეს.
4. [ტჟა] — **1707** — ამა ქ[ორონიკონს] [კ ა] ხ ე თ[ს] ლ ე-
ვ ა ნ [ბატ]ონიშვ[ილი][161]...
5. [ტჟთ] — **1711** — [ამ] ქ[ორო]ნიკო[ნს] ვ ა ხ ტ [ა ნ გ] გა-
ბატონდა[163].
6. [უგ] — **1715** — ამ ქორანი[კონ]სა [თ] უ რ მ ა ნ ი გარ-
დამოვიდნენ[167] (!).
7. [უკა] — **1733** — ამა ქორონიკონსა ყიზილ[ბა]ში მოვი-
და ი ს[ა ყ] ფ ა შ ა რ უ [ს თ ა]ვ ს ა[184].

## XVII

**S — 1384**

## სადღესასწაული, XVI—XVII სს.

კინკლოსური ცხრილის მინაწერები გამოცემულია საქ. სსრ მეცნი-
ერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის ქართულ ხელნაწერთა
აღწერილობაში, კოლექცია S, ტომი II, 1961 წ., გვ. 179. ქრონიკის თა-
რიღებში შეცდომებია.

---

[1] 70 v. ნუსხ. a. [2] ნუსხ. a. [3] 71 r. მხედრ. a. [4] მხედრ. a. [5] 71 v. მხედრ. a. [6] მხედრ. a. [7] 72 r. მხედრ. a.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. უე — **1717** — [ბაქ]არ გაბატონდა, იესე მეფე გარდაავდეს და ვახტანგ მე[168]...
2. უვ — **1718** — ყეენი გარდაავდო მირეიზმა[169].
3. უია — **1723** — აქა ოსმალთ დაიჭირეს ქართლი და [მეფე]ნ[ი] რუსეთს წავიდენ... წელსა[173].
4. უიჳ — **1730** — აქა ყეენმა ისპანი და თავრიზი აიღო[180].

## XVIII

### H — 938

### ჟამნგულანი, XVII—XVIII სს.

კინკოსური ცხრილის აშიები, ისევე როგორც ხელნაწერის სხვა ფურცლებისა, წაჭრილია, დაზიანებულია მინაწერებიც. წაჭრილია ქორონიკონის მინიშნება და ამიტომ კინკლოსური ცხრილი ამჟამად უთარიღოა. სხვა კინკლოსურ ცხრილებთან (S—252 გ, A—1153) ამ ხელნაწერის ცხრილის სტრიქონთა შედარებამ აჩვენა, რომ პირველი ისტორიული ხასიათის მინაწერი ქორონიკონ ფგ-ს (503) გასწვრივ უნდა იყოს გაკეთებული. საერთოდ კი ცხრილი არაკვალიფიცირებულადაა გადაწერილი. სხვა ცხრილებთან შედარებით აღინიშნება ცალკეული სხვაობანი.

1. ფგ — **1815** — აქა გელუანის ქალი აფხაზეთს დაჯდა დედოფლად.
2. ფდ(?) — **1816** — ...[ი]მერეთს მოკვდა. დაჯდა ძე მისი გიორგი ბატო[ნიშ]ვილი.
3. ფე — **1817** — აქა იოვანე მღდელი, კეჭალმაძე მოვიდა აფხაზეთს.
4. ფზ — **1819** — აქა ცაიშელი მი[ი]ცვალა.
5. ფზ — **1819** — აქა თათარი აკუს მოვიდა[218]...
6. ფლგ — **1845** — აქა [ხვ]ანთრის ლაშქარი სოლაღოდიშს დამ...

---

[1] 103 v. ყველა მინაწერი ერთი მხედრული ხელითაა გაკეთებული. აღწერილობაში თარიღი მინიშნული არ არის. [2] აღწერილობაში ეს ცნობა არ არის შეტანილი [3] უია ] უკ—A. [4] უიჳ] ურ—A.

[1] 273 v. მხედრ. a.[2] ნუსხ. a. [3] 274 r. მხედრ. a. [4] ნუსხ. b. [5] მხედრ. a. [6] 274 v. მხედრ. b.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კომენტარები

**1.** (III, 1, IV, 1).

Oppolzer-ის „კანონებიდან“ გამომდინარე ე. ბჟუსმა გამოიანგარიშა, რომ IV საუკუნეში მცხეთა-კასპის რაიონში რამდენჯერმე ყოფილა მზის დაბნელება: 1) 319 წლის 6 მაისს, საღამოს 6 1/4 საათზე, 2) 346 წლის 6 ივნისს, დილის 8 საათზე (იხ. კ. კეკელიძე, ქართველთა მოქცევის მთავარი ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხები, ეტიუდები..., IV, 1957, გვ. 283, შენიშვნა 1).

**2.** (I, 1, III, 2, IV, 2).

№ 1 კინკლოსში მოცემული ქვეყნის დასაბამიდან ათვლილი ქართული წელთაღრიცხვიდან გამომდინარე (ხუჯზ — 6497; 6497 — 5604 = 893), შესაბამისად XIII ქორონიკონული მოქცევისა (რია — 113; 113 + 780 = 893), ცნობა უნდა დათარიღებულიყო ბერძნულ-რომაული წელთაღრიცხვის დასაწყისისათვის სრულიად მიუღებელი თარიღით — 893 წლით. ისტორიული ქრონოლოგიის ყველა მკვლევარი რეფორმებს ბერძნულ-რომაულ ქრონოლოგიურ ერათა შესახებ IV საუკუნეში ადასტურებს. ამდენად, კინკლოსური ცნობის არსიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, იგი უნდა დათარიღდეს ქართული ქორონიკონული წელთაღრიცხვისთვის უჩვეულო წესით — XII მოქცევით.

ამრიგად, ქართული კინკლოსური ცნობების მიხედვით დაიწყო „ბერძენთა ქორონიკონი“ 361 წ. (I, 1,) ან 359 წ. (III, 2, IV, 2).

ისტორიული ქრონოლოგიის საკითხების მკვლევართათვის ცნობილია, რომ ვინმე ანდრიამ. „მაგნუს ეპისკოპოსის ძმამ“, იმპერატორ კონსტანციუსის ბრძანებით 353 წ. შემოიღო ორასწლიან პასქალურ ციკლზე დაყრდნობილი სისტემა. აღნიშნული სისტემა მალე შეიცვალა და 380 წლიდან ძალაში შედის თეოფილე ალექსანდრიელის კალენდარი, მიძღვნილი იმპერატორ თეოდოსი I-სადმი. ვიქტორიუსის ტაბულაში 380 წ. აღნიშნულია — Hinc Theophilus episcopus pa-

ეროვნული ბიბლიოთეკა

schali suo sumpsit exordium (იხ. Traité d'études Byzantines, I, La chronologie, par V. Grumel, პარიზი, 1958, გვ. 50 ქვევით მითითება—V. Grumel).

ვიცით კიდევ ერთი სისტემა წელთაღრიცხვისა — ე. წ. რომაული ერა, დადასტურებული სომეხი ავტორების (ასოლიკი, იოანე დიაკონი, იაკობ ყირიმელი და სხვ.) მიერ. საწყისი ამ სისტემისა არის 248 წელი, ურყევი ნუმიზმატიკური მონაცემებით დადასტურებული მეათასე წელი რომის დაარსებიდან. 249 წელი — პირველი წელი ამ სისტემისა,— დასაწყისია რომის მეორე ათასწლეულის.

ცნობილია წელთაღრიცხვით სისტემებზე დიდი გავლენა მთვარისეული ციკლებისა. სწორედ 95-წლიანი მთვარისეული ციკლი (19×5) ჰყოფს 249 წელს 353 წლის რეფორმის ამოსავალი წერტილის — 344 წლისაგან. ამავე დროს 248 წელი დაემთხვა ზეობას ფილიპესი, რომლის შესახებაც ევსებიოსის ქრონიკაში ნათქვამია: „Primusque omniam ex Romanis imperatribus christianus fuit". რომის ათასწლეულის ზეიმი ქრისტიანი იმპერატორის მიერ იმპერიის გაქრისტიანებამდე, შემდგომში უნდა წარმოსახულიყო ფაქტად, ღვთის საგანგებო სურვილით რომ მოხდა. ამიტომ იმპერიის გაქრისტიანების შემდგომ 248 წელი ამოსავალი წერტილი გახდა გამოსათვლელად ქრისტიანული კულტის ცენტრალური დღესასწაულის— აღდგომისა, დასაფუძნებლად კალენდრის სისტემისა (V. Grumel... 151 გვ.).

ამოსავალ წერტილად 248 წლის მქონე სისტემის გამოყენების ქვედა საზღვარია 353 წელი; ამ წელთაღრიცხვის ხმარების ფარგლებია 353 — 380 წწ. სივიწროვე ამ ფარგლებისა მთავარი მიზეზია სისტემის მივიწყების.

V. Grumel-ი ფიქრობს, რომ რომაული წელთაღრიცხვის შემოღება უნდა მომხდარიყო წარმართი იმპერატორის იულიანეს გარდაცვალებისთანავე. წარმართობისა და ქრისტიანობის ჭიდილში 363/364 წწ. (V. Grumel... 151 გვ.). 20 წელზე ნაკლები დროის შემდეგ აღმოსავლეთის სამეფო კარის მიერ ალექსანდრიული ციკლის მიღებამ უკუაგდო კონსტანტინეპოლური მთვარისეული ციკლი და ფატალური დარტყმა მიაყენა ახალგაზრდა რომაულ წელთაღრიცხვას, მასზე რომ იყო დაფუძნებული (V. Grumel... იქვე).

ამ სისტემას, შექმნილს აღმოსავლეთ რომაელების—ბერძნების მიერ, რომაულს უწოდებენ, მაგრამ ხანდახან ბერძნულსაც (ასოლიკი, იოანე კათალიკოსი). ცნებების ბერძნულისა და რომაულის იდენტური მნიშვნელობით ხმარების მაგალითები სხვაც მრავალია.

780 წელს შემოღებული 532 წლიან ციკლზე დამყარებული ქართული ქრონიკონული სისტემა სწორედ რომაულიდან მომდინარეობს და მასზეა დაფუძნებული (780—532=248 იხ. V. Grumel, დასახ. ნაშრომი, თავი XI, L'ére des Romains, Le kronikoni et l'ére mondiale des Géorgiens), ამიტომ, ვფიქრობთ, ქართველი ქრონისტი ბერძნული ქორონიკონების დასაწყისში გულისხმობს 363/364 წწ. შემოღებულ ახალ სისტემას, რომლის ამოსავალი წერტილია 248 წ.

ორწლიანი სხვაობა ყველაზე სარწმუნო (უძველესია) № 1 ჰიბკლოსის ცნობასთან შედარებით (361 წ., 363 წ.). შესაძლოა პასქალური ქრონიკების თავისებური ბუნების შედეგია (სტრიქონების გასწვრივ მინაწერის გაკეთებისას დაშვებული შეცდომა).

ცნობის კომენტარში თ. ჟორდანია აღნიშნავს, რომ „ბერძნების ქორონიკონი 361 წ. იულიანეს კეისრობისას დაიწყო, როდესაც ანდრიამ, მაგნუს ეპისკოპოსის ძმამ, დაადგინა კალენდარი (იხ. ქრონიკები, I, გვ. 83). თ. ჟორდანიასეული კომენტარი მისაღები არ ჩანს, ვინაიდან ანდრიამ კალენდარი იმპერატორების კონსტანტინესა და კონსტანციუსის დროს შექმნა. სხვა წყაროებთან ერთად ასეა აღნიშნული თ. ჟორდანიას მიერვე მითითებულ თხზულებაში სომეხი ავტორის ასოღიკისა (იხ. Всеобщая история Степаноса Таронского, Асогика по прозваинию—писателя XI столетия, перевод и комментарии Н. Эмина, 1864 г., 331 გვ.). წარმართი კეისრის იულიანეს დროს კალენდარი შემოღებულიც რომ ყოფილიყო გამარჯვებული ქრისტიანობის მიერ, იგი მაშინვე უარყოფილი იქნებოდა. ქართული ქრისტიანული ეკლესია ამ სისტემას თავისი კალენდრის საფუძვლად ვერ გაიხდიდა.

**3.** (I, 4).

ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, ვახტანგ გორგასალი 499 წ. გარდაიცვალა (ვახუშტი, საქ. ისტ., 1885 წ., გვ. 101). „აფხაზთა ქრონიკის“ გარდა არ გვაჩნია სხვა არც ერთი ისტორიული წყარო, სადაც ვახტანგ გორგასალის გარდაცვალების თარიღი იყოს დაცული.

ჯუანშერისთვის მიწერილი თხზულების თხრობის თანმიმდევრობიდან გამომდინარე ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, „ვახტანგ მეფის სიკვდილის თარიღად 502 წლის შემოდგომა უნდა მივიჩნიოთო“ (ქართვ. ერის ისტ., 1, 1960, გვ. 289). ამრიგად, XII მოქცევით დაანგარიშებული ჩვენი ქრონიკის თარიღში თითქოს 100 წლიანი შეცდომაა დაშვებული (თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, გვ. 50, 51).

„აფხაზთა ქრონიკის“ თარიღის ნებისმიერი, ხელოვნური ინტერპრეტაციის საფუძველზე ს. კაკაბაძე თვლიდა. რომ ვახტანგ მეფე

ეროვნული ბიბლიოთეკა

484 წ. გარდაიცვალა (ს. კაკაბაძე, თბილისი, V ს. II ნახევარში. „მნათობი“, 1958, № 10, გვ. 102; მისივე, ვახტანგ გორგასალი, გვ. 12, შენიშვნა). კაკაბაძისეული ინტერპრეტაცია „აფხაზთა ქრონიკის“ თარიღისა სავსებით დამაჯერებლად გააკრიტიკა ლაშა ჯანაშიამ (ლ.-ნ. ჯანაშია, ლაზარ ფარპეცის ცნობები... 1962, გვ 166, შენიშვნა 215). მანვე აღნიშნა, რომ ვახტანგის გარდაცვალების თარიღის დასადგენად არ გამოდგება გვიანდელი ჩანართის შთაბეჭდილების მქონე ცნობა ჯუანშერისა, რომელიც „ქართლის ცხოვრების“ ძველ სომხურ თარგმანში საერთოდ არ არის.

დავუმატებთ, რომ ჯუანშერისთვის მიწერილ თხზულებაში ვახტანგის გარდაცვალების სინქრონულად მოთხრობილია კარგად ცნობილი ფაქტი იმპერატორ ზენონის გამეფებისა, რაც 471 წ. მოხდა, ხოლო გარდაიცვალა ზენონი 491 წ. (История Византии, т, I, 1967, გვ. 203). ამასთანავე ზენონი, საწინააღმდეგოდ ქართული წყაროს ჩვენებისა, არ იყო ძე წინამორბედი კეისრის ლეონ I-ის

უნდა გავიზიაროთ ლ. ჯანაშიას დასკვნა, რომ არსებული ცნობები გორგასლის მეფობის ზუსტად დათარიღების საშუალებას არ იძლევა; ვიცით მხოლოდ, რომ იგი V საუკუნის II ნახევარში მეფობდა.

4. (III, 3, IV, 3).

თ. ჟორდანიას თარიღი XIV მოქცევით აქვს დაანგარიშებული (ქრონიკები. II, გვ. 235-1429 წ.), ქართული წყაროების „სარკინოზობა“ მხოლოდ და მხოლოდ „არაბობის“ სინონიმია და ამიტომ ცნობა XIII მოქცევით უნდა დაანგარიშდეს.

სხვა წყაროებით 897 წელს არაბთა (სარკინოზთა) რაიმე შემოსევა ცნობილი არ არის.

5. (I, 2).

X საუკუნის საქართველოს ისტორიაში ცნობილია კონსტანტინე აფხაზთა მეფე. კინკლოსური ქრონიკები, პირველ რიგში „აფხაზთა ქრონიკა“, სწორედ მისი გარდაცვალების თარიღს გულისხმობს.

„მატიანე ქართლისა“ მოგვითხრობს, რომ კონსტანტინე ათხაზთა მეფემ ქართლი დაიპყრო. მის დროს იყო სარკინოზობა (აბულ-კასიმი) და ეწამა მიქელ-გობრონი. ქორეპისკოპოს კვირიკესთან ერთად კონსტანტინემ კახეთი დაიპყრო და „შემდგომად მცირედთა დღეთა გარდაიცვალა კოსტანტი, აფხაზთა მეფე“ (ქართლის ცხოვრება, I, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, გვ. $264_{18}$). თარიღი მისი გარდაცვალებისა არც „მატიანე ქართლისაში“ და არც სტეფანე მტბევარის „გობრონის წამებაში“ არ არის.

ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, კონსტანტინე 906 წელს გამეფ-

და და 19 წლის მეფობის შემდეგ 921 წელს გარდაიცვალა (ვახუშტი, ქართლის ცხოვრება. ღ. ბაქრაძის გამოც., გვ. 323). მარი ბროსეც, ალბათ, ვახუშტიზე დაყრდნობით კონსტანტინეს გამეფებას 906 წელს აღნიშნავს, მაგრამ მისი გარდაცვალების სამი განსხვავებული თარიღი აქვს მოცემული: 920 წ., 921 წ., 925 წ. (იხ. M. Brosset, Histoire de la Géorgie, I, 1849 წ., გვ. 274, შენიშვნა 8; გვ. 278, შენიშვნა 3; Additions et éclaircissements..., IX, 1851, გვ. 175).

„მეფეთა დივანში“ მოცემული მეფობის ხანგრძლივობის წლებზე დაფუძნებით ექვთიმე თაყაიშვილს კონსტანტინეს ზეობის წლებად მიაჩნდა 873-912 წწ. (ძველი საქართველო, II, განყ. III, გვ. 53).

„აფხაზთა ქრონიკის“ გამოცემის კომენტარში თ. ჟორდანიამ მართებულად მიიჩნია კონსტანტინეს გარდაცვალების ამ წყაროსეული თარიღი — 908 წ. მასვე აქვს შენიშნული, რომ „მატიანე ქართლისაში“ კონსტანტინე მეფე ცოცხალია სომხური წყაროების მიხედვით (ასოლიკი, იოანე დრასხანაკერტელი) 914 წელს მოკლული სომეხთა მეფის სუმბატის შემდგომაც. ამ წინააღმდეგობის ახსნას თ. ჟორდანია „მატიანე ქართლისაში“ ამბავთა თხრობის თანმიმდევრობის აღრევით ცდილობს (Ф. Жордания, Хроника абхазских царей, 1902, გვ. 4). სომხურ წყაროებზე დაყრდნობით „მეფეთა დივნის“ ქრონოლოგიურ მონაცემთა სიზუსტეში ეჭვი შეიტანა ივ. ჯავახიშვილმა (ქართვ. ერის ისტორია, II, 1965, გვ. 104, შენიშვნა 1).

ზ. ანჩაბაძის ნაშრომში გაპარულია კორექტურული შეცდომა: კონსტანტინეს მეფობის წლებად მინიშნულია 893-929 (?!) წწ. (З. В. Анчабадзе, Из истории средневековой Абхазии, 1969, გვ. 126).

რ. ხონელია კონსტანტინეს გარდაცვალების ვახუშტისეულ თარიღს (921 წ.) იზიარებს, რატომღაც, სხვა ავტორების მეშვეობით და ჰგონია, რომ ეს თარიღი სხვა ქართულ წყაროებშიც არის (Историко-филологический журнал АН АрССР, 4(31), 1965 წ., გვ. 100—101).

სომხური წყაროებისა და სომეხი მკვლევარების მონაცემების გათვალისწინებით ელ. ცაგარეიშვილი მიიჩნევდა, რომ კონსტანტინე 893-922 წწ. მეფობდა (იოანე დრასხანაკერტელი, სომხეთის ისტორია, ე. ცაგარეიშვილის გამოც., 1965, გვ. 0119). ამჟამად, ნიკოლოზ მისტიკოსის აფხაზთა მთავრისადმი გაგზავნილი წერილის 919 წლით დათარიღებასთან დაკავშირებით (წერილის მიხედვით კონსტანტინე ამ დროს ცოცხალი აღარაა) ე. ცაგარეიშვილი სთვლის, რომ კონსტანტინეს გარდაცვალების თარიღად უნდა მივიღოთ 918 წელი (ე. ცაგარეი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილი, ქართულ-სომხური საისტორიო წყაროები საქართველო-ბიზან-ტიის ურთიერთობის შესახებ X—XI საუკუნეებში, ხელნაწერი დაცუ-ლია კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში). ნიშანდობლივია ათწლიანი სხვაობა ამ უკანასკნელ თარიღსა და „აფხაზთა ქრონიკის" თარიღს შორის.

6. (I, 3).

„მატიანე ქართლისა" მოგვითხრობს, რომ აფხაზთა მეფის კონს-ტანტინეს სიკვდილის შემდეგ ტახტისათვის ბრძოლა ატყდა მის უფ-როს ძეს გიორგისა და უმრწემეს ვაჟს, გურგენ ერისთავთ-ერისთავის სიძეს, ბაგრატს შორის. „ვიდრე არა მიიცვალა ბაგრატ, არა იყო მშვი-დობა. და შემდგომად სიკუდილისა მისისა მიიღო სრულობით მეფობა აფხაზთა გიორგი მეფემან" (ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გა-მოც., I გვ. $265_{5-6}$). არც „მეფეთა დივანში", არც რომელიმე სხვა წყაროში ბაგრატი მეფედ არ იხსენიება.

თ. ჟორდანია კინკლოსის ცნობას სარწმუნოდ მიიჩნევდა (იხ. ქრონიკები, I, გვ. 86, 88, შენიშვნა 7).

7. (I, 7).

„აფხაზთა ქრონიკა" ერთადერთი წყაროა, რომელიც გიორგი მე-ფის გარდაცვალებას 966 წ. აღნიშნავს. ვახუშტისა და მის კვალდაკვალ მარი ბროსეს მიხედვით გიორგი 955 წ. მოკვდა (ვახუშტი, საქართვე-ლოს ისტორია, დ. ბაქრაძის გამოცემა, ნაწ. I, გვ. 323. M. Brosset, Historie de Ia Ceorgie, I, 1849, გვ. 290, შენიშვნა 1).

„მეფეთა დივნის" დაანგარიშებით გიორგი 957 წელს გარდაიცვა-ლა (ძვ. საქართველო, II, განყ. III, გვ. 53). კუმურდოს ეკლესიის ქტიტორულ წარწერაში 964 წელს აფხაზთა მეფედ ლეონის მოხსენე-ბის ფაქტის ახსნას თ. ჟორდანია ლეონისა და გიორგის (მამა-შვილის) თანამოსაყდრეობით, ან ვახუშტისთან დაშვებული 10 წლიანი შეცდო-მის დადასტურებით ცდილობს (Ф. Жордания, Хроника абхазских царей, 1902, გვ. 5). სამეცნიერო ლიტერატურაში (ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ერის ისტ., II, 1905, გვ. 106, 107; ნ. ბერძენიშვილი, მცხეთის საბუთი XI საუკუნისა, შრომები IV, გვ. 262; З. Анчабадзе, Из истории средневековой Абхазии, 1959, გვ. 128) გიორგი აფხაზთა მეფის გარდაცვალების თარიღად „მეფეთა დივანზე" დაყრდნობით მიღებულია 957 წ.

8. (I, 8).

თ. ჟორდანიას მართებული დაკვირვებით ძე გიორგი მეფისა, დე-მეტრე, ლეონის „თანამეფე" ყოფილა. „ვიყვნეთ ორნივე სწორად

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფალ მამულსა ჩუენსა, ვითარცა ვიყვენით უწინარეს მე და[illegible] მიმართავს დემეტრე თეოდოსის „მატიანე ქართლისაში“ (ქართ. ცხოვრ., I. ს. ყაუხჩიშვილის გამოც., გვ. 271$_{14-15}$).

ვახუშტისა და ბროსეს მიხედვით დემეტრე გარდაიცვალა 979 წ. (ვახუშტი, საქ. ისტ., I, დ. ბაქრაძის გამოც., გვ. 322; M. Brosset, Additions..., გვ. 175).

„მეფეთა დივნის“ ცნობით, დემეტრეს ზეობის წლებად გამოდის 967-975 (ძვ. საქართველო, II, განყ. III, გვ. 53). ივ. ჯავახიშვილი ამ თარიღს სწორად მიიჩნევდა (ქართ. ერის ისტ., II, 1965, გვ. 107).

**9.** (I, 9).

ქართლის ცხოვრებაში (სუმბატ დავითის-ძის ქრონიკა) რუსები პირველად ბასილ კეისრისა და ქართველთა მეფე გიორგი პირველს (1014-1027 წწ.) შორის მომხდარ ბრძოლასთან დაკავშირებით მოიხსენებიან („ტალმანი მეფისანი რუსნი“—იხ. ქართლის ცხოვრება, I, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., გვ. 384$_{21-25}$).

სტეფანოს ტარონელი (ასოღიკი), მის კვალდაკვალ არისტაკეს ლასტივერტელი მოგვითხრობენ უმნიშვნელო საბაბით გამოწვეული შეტაკების შესახებ ქართველთა და ბერძენთა ბანაკში მყოფ 6000 კაცისაგან შემდგარ რუსთა რაზმს შორის, რაც მოხდა დავით კურაპალატის სიკვდილისთანავე (1000 წ.), ბასილ კეისრისა და ბაგრატ კურაპალატის დროს (იხ. Степанос Таронский, Всеобщая история, ემინის გამოც., 1864, გვ. 199-201).

ბიზანტიის ისტორიიდან კარგად არის ცნობილი, რომ ბარდა ფოკას აჯანყების დროს ბასილ კეისარს დახმარება აღმოუჩინა კიევის რუსეთის მთავარმა ვლადიმერ სვიატოსლავის-ძემ. 6000-კაციანი რუსთა კორპუსი ბიზანტიის სამფლობელოებში შევიდა და 989 წლის 13 აპრილს აბიდოსთან თვით კეისრის სარდლობით „ვარანგთა რაზმებმა“ დაამარცხეს აჯანყებულნი (იხ. History of the Byzantine state, George Ostogorsky, 1957, გვ. 269).

ამრიგად, გამოდის, რომ 989 წელს ბიზანტიაში მოსული რუსთა 6000-კაციანი ლაშქარი ასოღიკის მიხედვით 1000 წლისთვისაც ბიზანტიელთა მხედრობაშია. სუმბატ დავითის ძის ქრონიკის ცნობით „ტალმანი მეფისანი რუსნი“ ბიზანტიელთა რიგებში არიან კიდევ უფრო გვიან, გიორგი პირველის (1014-1027) დროს. სურათი ბუნდოვანია. საფიქრებელია, რომ ასოღიკთან 6000-კაციანი კორპუსის მოხსენიება ანაქრონიზმია.

„აფხაზთა ქრონიკის“ ცნობა 991 წელს რუსთა შემოტევის შესახებ სხვა წყაროებით არ დასტურდება. თარიღში ათწლიანი შეცდომაა სავარაუდებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ. ჟორდანიას აზრით, „აფხაზთა ქრონიკაში“ ალნიშნულია ტმუ-ტარაკანელი რუსების შემოჭრა, ან ლაპარაკია მოსე კალანკატუელის მიერ უთარიღოდ ნახსენებ რუსთა შემოტევაზე (იხ. ქრონიკები, I, გვ. 132-133, Ф. Жордания, Хроника абхазских царей, 1902, გვ. 7).

**10.** (I, 10).

„მატიანე ქართლისას“ და სუმბატ დავითის ძის ქრონიკის მიხედვით ქართველთა მეფე გიორგი I 1027 წლის 16 აგვისტოს გარდაიცვალა (ქორონიკონი—247; იხ. ქართლის ცხოვრება, I. ს. ყაუხჩიშვილის გამოც., გვ. 291 $_{1}$ $_{2}$, 385$_{22}$). გარდაიცვალა იგი „ჟამსა ოდენ სიყმისასა“. ივ. ჯავახიშვილის გამოთვლით 25, თუ 29 წლისა (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1965, გვ. 136).

**11.** (I, 11).

სომეხი ისტორიკოსის ვარდანის ცნობებით თურქ-სელჩუკები მათი სულტნითურთ სომხეთ-აზერბაიჯანის ტერიტორიაზე უკვე 1021 წლიდან ჩანან. ნახჭევანში მათ ებრძვის ლიპარიტ ბალვაში (Вардан Великий, Всеобщая история, 1861, ემინის გამოც., გვ. 122).

ქართულ წყაროებში სელჩუკები 1929 წელზე უფრო გვიან ჩნდებიან. ამავე დროს მომთაბარეთა ბრბოები შემტევი ძალაა. მათ კი არ ესხმიან, ხდება პირიქით. მაინც არ არის გამორიცხული, რომ ბიზანტიასთან ურთიერთობის ნორმალიზაციის პერიოდის ახლო ხანებში, კურაპალატობის მიღების შემდეგ, ბაგრატი თავს დაესხა თურქთა სულტანს. ქართული წყაროებისა და ბიზანტიელი ისტორიკოსის გიორგი კედრენის მიხედვით, პატივი კურაპალატობისა ბაგრატს ებოძა ბიზანტიის კეისარ რომანოზ არგუროსის ძმისწულ ელენეზე ქორწინებისას 1031 წ., ან ცოტა მოგვიანებით (იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართვ. ერის ისტორია, II, 1965, გვ. 139-140; ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტ. საკითხები, IV, 1967, გვ. 239—240).

თ. ჟორდანია „აფხაზთა ქრონიკის“ თარიღს—1029 წ. მართებულად მიიჩნევდა და სთვლიდა, რომ საქმე შეეხება ბაგრატ კურაპალატისა და თურქ-სელჩუკთა სულტან მაჰმუდს შორის მომხდარ ბრძოლას (იხ. ქრონიკები, I, გვ. 168; Ф. Жордания, Хроника абхазских царей, 1902, გვ. 8).

**12.** (I, 12).

ლიპარიტ ბაღვაშის რჩევით მოწყობილ თბილისის გარემოცვის დაწყებისათვის, „მატიანე ქართლისას“ ცნობით, კვირიკე დიდი აღარ იყო ცოცხალი—„მოკლულ იყო დიდი კახთა მეფე კვრიკე ოსისა ვისმე მონისა მიერ“ (ქართ. ცხოვრ., I, 1955, გვ. 297$_{6}$). თბილისის ალყა 1037-

ეროვნული ბიბლიოთეკა

1038 წ. დაიწყო (იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ერის ისტ., II, 1965, გვ. 141; M. Brosset, Additions..., XII, გვ. 227). ე. ი. 1038 წ. კვირიკე დიდი აღარ იყო ცოცხალი. ვახუშტის მიხედვით კვირიკე 1038 წ. მოკლეს (ქართ. ცხოვ. 1854, გვ. 99. ბროსესთან ვახუშტისეული თარიღი შეცდომით 1039 წელია Histoire..., I, გვ. 317, შენ. 5).

„აფხაზთა ქრონიკის“ მის მიერვე აღდგენილ ტექსტზე დაყრდნობით თ. ჟორდანია შეცდომით სთვლიდა, რომ კვირიკე დიდი 1047 წ. მოკლეს (იხ. ქრონიკები, I, გვ. 196-200; Ф. Жордания, Хроника абх. цареӣ, გვ. 8-9).

XI საუკუნის მცხეთის საბუთის დამამტკიცებლის, კვირიკე მეფის დისწულ, მეფე კვირიკეს პიროვნების დადგენისას ნ. ბერძენიშვილმა ყურადღება მიაქცია „აფხაზთა ქრონიკის“ ჟორდანიასეულ აღდგენილ ტექსტს. ნ. ბერძენიშვილს ეჭვი არ ეპარებოდა კინკლოსური ცნობის თარიღის სიმცდარეში. მისთვის მთავარი იყო, რომ კვირიკე დიდის მემკვიდრე კვირიკედვე იყო მოხსენებული. მცხეთის საბუთისა და კინკლოსის ცნობის საფუძველზე ნ. ბერძენიშვილმა დაასკვნა, რომ კვირიკე დიდის დისწულმა, დავით სომეხთა მეფის ძე გაგიკმა თავისი ბიძისა და მამობილის კვირიკეს სამფლობელო კახეთთან ერთად მისი სახელიც დაიმკვიდრა და კვირიკედ იწოდა (ნ. ბერძენიშვილი, მცხეთის საბუთი XI ს., საქ. ისტ. საკითხები, IV, გვ. 237).

წინამდებარე გამოცემაში ცნობის თ. ჟორდანიას მიერ აღდგენილი ტექსტია წარმოდგენილი, მაგრამ აღდგენილ ტექსტში კვირიკე **დიდის** სიკვდილის შემდეგ აღნიშვნა იმისა, რომ გამეფდა კვირიკე **კახთა**, დამაეჭვებელია, ვინაიდან დიდი კვირიკეც **კახთა** მეფე იყო.

**13.** (I, 13).

1080 წ. დავითის ისტორიკოსის ცნობით საქართველოში ე. წ. „პირველი დიდი თურქობა“ იყო. „არა-სადა იყო ღონე ჴსნისა და შეწევნისა“ და დიდებულებთან დათათბირების შემდეგ გადაწყდა მეფის „წარსლვა მაღალსა სულტანსა მალიქ-შას წინაშე“ (ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. $321_7$). გიორგი მეფის წასვლა ხორასანში სულტან მალიქ-შაჰთან აღნიშნული აქვს სომეხ ისტორიკოს ვარდანსაც (იხ. Вардан, Всеобщая история, ემინის გამოც., 1861, გვ. 132). თარიღი ამ ისტორიული ფაქტისა დაცულია მხოლოდ „აფხაზთა ქრონიკაში“.

**14.** (I, 14).

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობითაც დავითის გამეფებისას დიდი მიწისძვრა იყო საქართველოში. თანხმობაშია თარიღიც, როდესაც დავითი გამეფდა, „მას ჟამსა იყო ჰასაკითა თექუსმეტისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლისა, ხოლო ქრონიკონი სამას და ცხრა“, ე. ი. 1089 წ. (იხ. ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 324).

**15.** (X, 19. XIII, 3. XV, 7).

1057 წ. დავით აღმაშენებელი დაბადებულიც არ იყო და, ცხადია, გელათის მშენებლობას ვერ დაიწყებდა. თ ჟორდანიას აზრით ცნობა შეეხება გელათის კომპლექსის ერთ-ერთი ეკლესიის აშენებას ბაგრატ მეფის მიერ (ქრონიკები, I, გვ. 202).

შემოქმედის გულანის კინკლოსის ცნობაზე დაყრდნობით, აგრეთვე გამომდინარე დავითის ისტორიკოსის თხზულებიდან, სადაც გელათის მშენებლობის დაწყება 1104-1110 წწ. არის მოთხრობილი, გელათის მონასტრის მშენებლობის დასაწყის თარიღად სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულია 1106 წ. (ქრონიკები, I, გვ. 239; ბ. ლომინაძე, გელათი, 1955, გვ. 16).

**16.** (I, 15).

ვიდრე დავით აღმაშენებელი თურქ-სელჩუკებს საბოლოოდ ალაგმავდა, მათი ტყვევნა-თარეში ჩვეულებრივი ამბავი იყო და „აფხაზთა ქრონიკაშიც“ ასახულა.

1116 წ. დავით მეფემ თავისი ასული კატაჲ საბერძნეთის მეფის რძლად გაგზავნა, ხოლო „პირველ ამისსა ასული თჳსი თამარი გაეგზავნა დედოფლად შირვანისა“ (ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. $334_{4-8}$).

სახელი თამარის მეუღლისა ქართულ წყაროებში დაცული არ არის. თამარის მეუღლე არ უნდა ყოფილიყო აფრიდონი, დავითის ისტორიკოსის მიხედვით 1120 წ. რომ მოკლეს შირვანელ-დარუბანდელთა ბრძოლაში. ისტორიკოსი არაფერს ამბობს მის ნათესაობაზე საქართველოს სამეფო სახლთან, და იყო თუ არა აფრიდონი შირვან-შაჰი, ისიც საეჭვოა (ქართლის ცხოვრება, I, გვ. $339_5$; В. Ф. Минорский, История Ширвана и Дербенда, 1963, გვ. 178).

ე. პახომოვის მიერ ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით შედგენილი შირვან-შაჰის მონაცვლეობის ტაბულაზე დაყრდნობით, ვ. მინორსკი ასკვნის, რომ თამარის მეუღლე იყო მანუჩარ (მინუჩიხრ) მეორე, რომელიც შირვან-შაჰი ხდება აფრიდონის მოკვლის შემდგომ.

მინორსკი თავის მოსაზრებას იმითაც ამაგრებს, რომ პროფ. ხადიხასანს მადრასის ხელნაწერებში მიუკვლევია ფალაკის ოდისათვის, რომელშიც ფალაკი იზიარებს მწუხარებას მანუჩარის და მისი ქართველი მეუღლის თამარისა ამ უკანასკნელის ძმის დემეტრეს გარდაცვალების გამო, რაც 556 წ. ჰიჯრით ანუ 1160 წ. უნდა მომხდარიყო (В. Ф. Минорский, დასახ. ნაშრომი, გვ. 179-180).

მარი ბროსემ, მის კვალდაკვალ დ. ბაქრაძემ და თ. ჟორდანიამ აშ-კარა ანაქრონისტული შეცდომა დაუშვეს, როდესაც თამარის მეუღლედ მიიჩნიეს ქართული წყაროს აღსართანი, ანუ ახსიტან შირვან-შაჰი დორნისა (Brosset, Hist. de la Géorgie, I, გვ. 360, შენიშვნა 2; ვახუშტი, საქ. ისტორია, I, დ. ბაქრაძის გამოც., გვ. 178, შენ. 3; თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, გვ. 240). პახომოვისა და მინორსკის მიხედვით მანუჩარ მეორის მომდევნო შირვან-შაჰი აღსართან (ახსატან) პირველი ძე იყო მანუჩარისა და თამარის. ე. ი. აღსართანი დისწული იყო დემეტრე I-ის. ამას ადასტურებს „ისტორიანი და აზმანიც“, სადაც აღსართანი მოხსენებულია როგორც გიორგი III-ის მამიდაშვილი („მამის დისწული“, იხ. ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. $17_5$). არაბულ-სპარსულ წყაროებში აღსართანი იწოდებოდა აბუ-ლ-მუზაფფარ მანუჩარ-ახისტან ბანკესრანად (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტ., II, 1965, გვ. 238).

დავითის ისტორიკოსის მიხედვით თამარის შირვანში გათხოვება დიდად არ უნდა იყოს დაშორებული 1116 წ. ამიტომ ერთგვარ ეჭვს იწვევს თამარის საქართველოში გამომგზავრების (სტუმრობის) აფხაზთა ქრონიკისეული თარიღი. 1112 წ. შესაძლოა თამარი საერთოდ არ იყო ჯერ გათხოვილი შირვანში.

გადაჭრით თქმა იმისა, თუ რომელ გიორგის გარდაცვალებაზეა ლაპარაკი „აფხაზთა ქრონიკაში“, ძნელია. შესაძლოა, მართებულია თ. ჟორდანიას ვარაუდი, რომ 1112 წ., ან ცოტა მოგვიანებით, გარდაიცვალა მამა დავით აღმაშენებლისა. თ. ჟორდანია სამართლიანად შენიშნავდა, გიორგი არ გარდაცვლილა 1089 წ. ამ წელს გიორგიმ შვილი გამეფა, თვითონ კი ჩამოსცილდა, თუ ჩამოაცილეს სამეფო საქმეებს. 1103 წ. რუის-ურბნისის ძეგლის წერის ბოლოში გიორგი მოხსენებულია როგორც ცოცხალი (ქრონიკები, I, გვ. 240-241).

**17.** (I, 16).

„ხოლო მაშინ ოვსეთს ყოფასა, — ვკითხულობთ დავითის ისტორიკოსთან, — მიიცვალა გიორგი ჭყონდიდელი“ (ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. $337_1$). ამ წყაროს თხრობის ქრონოლოგიური თანმიმდევრობიდან გამომდინარე დავით აღმაშენებლის ოსეთში გალაშქრებისა და იქ გიორგი ჭყონდიდელის გარდაცვალების თარიღად მიღებულია 1118 წელი.

**18.** (I, 17).

თამარის ისტორიკოსის თხზულებიდან („ისტორიანი და აზმანი“...) ცნობილია, რომ დემეტრე პირველი თავის ორ ძეს შორის უპირატესობას ანიჭებდა არა ტახტის კანონიერ მემკვიდრე დავითს, არამედ გი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორგის — უმრწემესს. როდესაც „უმცროსის მარჩეველობა“ რეალურ მოქმედებაში გამოიხატა, მაშინ უნდა მომხდარიყო უფლისწულ დავითის წარუმატებელი განდგომა-შეთქმულება. თამარის ისტორიკოსთან დემნა უფლისწულის გიორგი მეფისადმი განდგომის საანალოგიოდ ნათქვამია „დავითცა, ჵამამან მისმან, ღალატსა და განდგომილებასა შინა მამისა დემეტრესსა ამოსწყჳტნა ამის სამეფოსა დიდებულნი, რომელნიმე ექსორია-ქმნითა, რომელნიმე სიკვდილითა და რომელნიმე განპატიჟებითა“ (ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. $18_{10-12}$). არც თამარის ისტორიკოსთან, არც სხვა წყაროში თარიღი დავითის ამბოხისა არ არის.

დემეტრე I მეფობის დამლევის ქრონოლოგია ვახუშტი ბაგრატიონთან არეულია; ვახუშტის მიხედვით დემეტრე 1150 წ. შემონაზონდა, ამავე წელს იგი მოკვდა და გამეფდა მისი ძე დავით. უფრო ქვევით ვკითხულობთ, რომ გამეფდა დავითი 1154 წ. და 6 თვე იმეფა. არის სხვა შეცდომებიც. ამდენად არაა სარწმუნო ვახუშტისეული თარიღი დავითის განდგომისა — 1144 წ. (იხ. ვახუშტი, ბაქრაძის გამოც., გვ. 188, 194).

თ. ჟორდანია დავითის განდგომის აფხაზთა ქრონიკისეულ თარიღს სწორად უკავშირებს დემეტრეს შემონაზონების ვახუშტისეულ თარიღს. 1150 წელს უნდა მომხდარიყო ბერად შედგომა დემეტრესი და მცდელობა გიორგის გამეფებისა. ამის შედეგი იყო დავითის განდგომა-ამბოხი (ქრონიკები, I, გვ. 252; იხ. აგრეთვე ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ერის ისტორია, II, 1965, გვ. 224-225).

**19.** (I, 18).

თამარი, შირვანში გათხოვილი ასული დავით აღმაშენებლისა, იყო მეუღლე შირვან-შაჰ მანუჩარ მეორისა და დედა აღსართანის (იხ. კომენტარი 16).

ქართლის ცხოვრების ბროსესეულ გამოცემაში მის შესახებ ვკითხულობთ: „...დიმიტრი მეფის დაჲ იყო დიდის დავითის მეფის ასული, რომელი უკანასკნელ მოიქცა სამშობლოდვე თვისად და მონაზონ იქმნა, და აღაშენა თიღვისა მონასტერი, სახელსა ზედა პატიოსნისა ჯუარისასა“ (ქართ. ცხოვ., I, 1849, გვ. 290). თვით თიღვის მონასტრის ჩრდილოეთის ფასადის ქტიტორულ წარწერაში მოხსენებულია თამარი, „ღმრთის მსახური“ (ლ. რჩეულიშვილი, თიღვა, 1950, გვ. 6).

ლაშა-გიორგისდროინდელი მემატიანის მიხედვით შემონაზვნებული თამარი „თიღჳსა აღმაშენებელი“ მიიცვალა 1155 წ. ამ ცნობასთან დაკავშირებით „ისტორიანი და აზმანის“... მოწმობაზე დაყრდნობით მარი ბროსეს შენიშნული აქვს, რომ თამარი ცოცხალი იყო

1161 წელსაც (M. Brosset, Histoire..., I, გვ. 382, შენიშვნა 4). 1161 წ. ანისის აღების შემდეგ გიორგი III „პირველად მივიდა გამზრდელისა მისისა წინაშე, თამარსა დედოფალსა-დედოფალთასა“ (ქართლის ცხოვ., II, 1959, გვ. $10_{20}$). თამარი აქ დედოფალთა-დედოფალია და არა დედოფალყოფილი, რაც აუცილებლად იქნებოდა აღნიშნული მისი შემონაზვნების შემდეგ.

თამარი მახლობელ აღმოსავლეთში ცნობილი პიროვნება იყო. შექებულია იგი პოეტ ხაკანის ოდებშიც (პ. ჩაიკინი, ქართულ-ირანული ურთიერთობიდან, ენიმკის მოამბე, III, 1938, გვ. 18). პროფ. ხადი-ხასანის მიერ მადრასში მიკვლეული ფალაკის ოდის მიხედვით 1160 წ. თამარი მეუღლესთან მანუჩართან ერთად სამძიმარს იღებს ძმის დემეტრეს გარდაცვალების გამო (В. Ф. Минорский, История Ширвана и Дербенда, 1963, გვ. 180, შენიშვნა 20).

„აფხაზთა ქრონიკით“ 1152 წ. ერთდროულად მოხდა გასრულება მონასტრისა და თამარის შემონაზონება. ამ ცნობაზე დაყრდნობით, აგრეთვე სხვა ისტორიული მონაცემების გათვალისწინებით, ხელოვნებათმცოდნე ლ. რჩეულიშვილმა თიღვის ტაძრისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში მიიჩნია, რომ მონასტერი აგებულია 1152 წ. (ლ. რჩეულიშვილი, თიღვა, გვ. 96, 97).

თუ გავითვალისწინებთ, რომ 1160-1161 წწ. თამარი ჯერ შემონაზონებული არ ყოფილა, უნდა დავუშვათ, რომ მაჰმადიანი, მაგრამ პროქართული განწყობილების, საქართველოს სამეფო კარისაგან დამოკიდებული შირვან-შაჰის ქრისტიანი მეუღლე თიღვის აღმშენებლობაზე ზრუნავს შირვანიდან. ცნობილია აგრეთვე, რომ თამარის ქორწინებამ შირვანის საკითხი ვერ გადასჭრა და დავით აღმაშენებელი, მისი ძე დემეტრე არაერთგზის ლაშქრობენ შირვანში. უნდა ვიფიქროთ, რომ ქვრივობისას თამარი ხანგრძლივად სტუმრობდა საქართველოში. „აფხაზთა ქრონიკიდან“ ჩვენ ვიცით თამარის ერთი ადრეული სტუმრობის შესახებ. სხვა წყაროდან კი ვიცით, რომ იგი გამზრდელი იყო გიორგი III-ის.

ზემოთქმულიდან გამომდინარე შესაძლოა, რომ 1152 წ. თამარის ღვაწლით მართლაც დასრულდა თიღვის მონასტრის მშენებლობა, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ „აფხაზთა ქრონიკაში“ დაშვებულია ათწლიანი შეცდომა და თიღვის მონასტერი 1162 წ. აშენდა, ხოლო მისი ქტიტორიც ამავე წელს აღიკვეცა მონაზვნად.

**20.** (II, 1)

სომეხი ისტორიკოსის ვარდანის ცნობითაც გიორგი III 1156 წ. გამეფდა (Вардан, Всеобщая история, გვ. 154-155). გიორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გი მესამის გამეფების იგივე თარიღი გამოდის სამთავისის წარწერიდანაც (იხ. ქრონიკები, I, გვ. 255-259).

მარი ბროსესთან გიორგი III-ის ზეობის წლებია 1156-1184 წწ. (M. Brosset, Histoire..., I, გვ. 383). სტეფანოს ორბელიანისა და ლაშა-გიორგისდროინდელი მემატიანის ცნობებზე დაყრდნობით, ივ. ჯავახიშვილი ასაბუთებდა. რომ გიორგი III მართლაც 1156 წ. გამეფდა (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1965, გვ. 227, 228 და შენიშვნა 1).

**21.** (I, 19, 20).

მემკვიდრეობის ფეოდალური წესის მიხედვით დავით V-ის ძეს, უფლისწულ დემეტრეს, სრულიად ლეგიტიმური უფლებები ჰქონდა სამეფო გვირგვინზე. გიორგი III-ის წინაალმდეგ მისი და ორბელების შეთქმულება-ამბოხის ისტორია საკმაოდ კარგადაა ცნობილი როგორც ქართული, ისე სომხური წყაროებით (იხ. M. Brosset, Episode de Demna, Additions..., XVI, გვ. 257-264). სომეხი ისტორიკოსებისთვის (ვარდანი, სტეფანოზ ორბელიანი) დემეტრე ცნობილია მისი ალბათ საალერსო სახელით დემნათი.

ლაშა-გიორგისდროინდელი მემატიანისა, ვარდანისა და სტეფანოზ ორბელიანის ერთობლივი ცნობებით აჯანყება 1177 წ. მოხდა, შეპყრობილ დემეტრე-დემნას თვალნი დასწვეს, ორბელნი დახოცეს და ნაწილი განდევნეს (ი. ჯავახიშვილი, ქართ. ერის ისტ., II, 1965, გვ. 242).

„აფხაზთა ქრონიკაში“ დემეტრე უფლისწულის განდგომა-ამბოხი შეცდომით ორ ამბოხებადაა ასახული 1167 წ. და 1178 წ., რაც თ. ჟორდანიამ მართებულად მიიჩნია (ქრონიკები. I, გვ. 259 და გვ. 260-264).

პირველ შემთხვევაში ათწლიანი (მექანიკური ?) სხვაობაა ნამდვილ თარიღთან. ცხადია, 1167 წ. რომ მისთვის თვალები დაეწვათ, 1177 წელს ამბოხებაზე გულგატეხილი დემეტრე ორბელებს ციხიდან საბლით ვერ გამოეპარებოდა და მეფეს ვერ ეახლებოდა (იხ. ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. $20_{2,3}$).

სხვა კინკლოსური ცნობა (I, 20), თ. ჟორდანიას, შესაძლოა, მართებული მტკიცებით, აღნიშნავს, რომ 1177 წ. დაწყებული ამბოხება დემნასი დასრულდა 1178 წ. (ქრონ. I, გვ. 264).

**22.** (I, 21).

„ისტორიანი და აზმანი“... მოგვითხრობენ, რომ დემეტრე-დემნას ამბოხების (1177 წ.) ჩაქრობის მეორე წელს გიორგი მესამემ გაამეფა და თანამოსაყდრედ გაიხადა თავისი ასული თამარი, რაც 1178-1179 წწ. უნდა მომხდარიყო.

ლაშა-გიორგისდროინდელი მემატიანე გიორგი მესამის გარდა-ცვალების შესახებ გადმოგვცემს: „და იმეფა ოცდარვა წელი და მიიც-ვალა სტაგირს კახეთისასა, თუესა მარტსა ოცდაშჳდსა, სამშაბათსა ვნებისასა“ (ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. $267_{29, 30}$), ე. ი. 1156 წ. გამეფებული გიორგი მეფე 1184 წ. გარდაცვლილა. ამასთანავე კინკ-ლოსებში დაცულ ცნობას გიორგი მესამის 1184 წ. გარდაცვალების შესახებ ადასტურებენ სომეხი ისტორიკოსები ვარდანი, სტეფანოზ ორბელიანი და სანაინის ეკლესიის წარწერა (იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ერის ისტ. II, 1965, გვ. 244).

აღნიშნული ცნობების საფუძველზე თარიღებში კლაპროტთან (1171 წ.) და ვახუშტისთან (1174 წ.) დაშვებული შეცდომები პირვე-ლად მარი ბროსემ გაასწორა (იხ. მისი, Additions.., Date de la mort de Giorgi III, გვ. 264-266).

ლაშას მემატიანის ტექსტის შეცდომით გაგების გამო ბროსემ გი-ორგი მესამის გარდაცვალების დღედ 6 აპრილი მიიჩნია (Brosset, Histoire de la Georgie, I, გვ. 401, შენ. 3). ივ. ჯავახიშვილის გამოთვ-ლით ვნების კვირის სამშაბათი 1184 წ. სწორედ 27 მარტზე მოდიოდა.

„აფხაზთა ქრონიკის“ ცნობის დაზიანებული ტექსტი აღდგენილია თ. ჟორდანიას მიერ. უცვლელად დავტოვეთ თვით ჟორდანიას მიერ-ვე საეჭვოდ მიჩნეული „ჩალიანის“ აღდგენა (იხ. ქრონიკები, I, გვ. 268).

**23.** (I, 22)

დავით ოსი, ანუ დავით სოსლანი „ისტორიანი და აზმანის“ მიხედ-ვით დედით ბაგრატიონი იყო, ხოლო მამით ოს მეფეთა შთამომავალი (ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 46).

თამარის გამეფების ვახუშტისეული მცდარი თარიღის (1174 წ.) რექტიფიკაციის შემდეგ მარი ბროსემ და მის კვალდაკვალ დ. ბაქრა-ძემ ვახუშტიზე დაყრდნობით მიიჩნიეს, რომ თამარის პირველი ქორ-წინება მისი გამეფებიდან 3 წლის შემდეგ, ე. ი. 1187 წ. მოხდა და რომ მეორედ თამარი 1192 წ. გათხოვდა (Brosset, Histoire..., I. გვ. 413. შენ. 3, გვ. 417, შენ. 1; Additions, გვ. 296; ვახუშტი, საქ. ისტ., დ. ბაქრაძის გამოც, გვ. 216, შენ. 1).

„აფხაზთა ქრონიკა“ ერთადერთი წყაროა, სადაც აღნიშნულია თა-მარის დავით სოსლანზე ქორწინების თარიღი. ამ წყაროს თარიღიდან გამომდინარე თ. ჟორდანია სთვლიდა, რომ პირველი ქორწინება თამა-რისა 1184-1185 წწ. უნდა მომხდარიყო და რამდენადაც „ისტორი-ანი და აზმანი“ თამარის პირველი ქორწინების შესახებ გვამცნობს, რომ თამარი „ორ წლამდის გინა უმეტეს იყო განსაცდელსა უცხოსა

თმენასა შინა“, თამარის პირველი ქმრის განდევნა 1187-1188 წწ. მომხდარა (იხ. ქრონიკები, I, გვ. 275, 276).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივ. ჯავახიშვილმა დააზუსტა, რომ თამარის ქორწინება არ შეიძლებოდა მომხდარიყო 1185 წლის 27 მარტამდე (წლისთავი გიორგი III-ის გარდაცვალებიდან). 1187-1188 წწ. პირველი ქმრის განდევნის შემდეგ წყაროთა ჩვენებით თამარმა უქმროდ წელიწადი თუ წელიწადნახევარი დაჰყო და 1189 წ. გათხოვდა დავით სოსლანზე (ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ერის ისტ., II, 1965, გვ. 257, 258).

**24.** (I, 23)

შირვანის მთავარი ქალაქის შამახიის მიწისძვრისაგან დაქცევის შესახებ „ისტორიანი და აზმანი“... მოგვითხრობს—„შერისხვაცა მოიწია სახლსა ზედა შარვანისასა... შერყევით შეარყივნა და დასცნა ზღუდენი და ციხენი შამახიისანი“ (ქართ. ცხოვ., II, 1959, გვ. $63_{5-7}$).

მიწისძვრა შამქორის ომამდე მომხდარა, ხოლო შამქორის ომი თ. ჟორდანიას გამოკვლევით 1195 წ. გადაიხადეს (იხ. ქრონიკები, I, გვ. 282; მ. ბროსე შამქორის ომს 1203 წლით ათარიღებდა, მაგრამ დათარიღების სიზუსტეში თვითვე ეპარებოდა ეჭვი — Histoire, I, გვ. 443, შენ. 4; Additions..., გვ. 296). „ისტორიანი და აზმანი“ ზუსტ ქრონოლოგიურ რიგზე გაწყობილი თხზულება არ არის. ამიტომ დათარიღება, ცხადია, პირობითია.

ლაშა-გიორგისდროინდელი მემატიანის ცნობით, ლაშა „ოდეს დაიბადა, ქრონიკონი იყო ოთხას და ცამეტი“, ე. ი. 1193 წ. (ქართ. ცხოვ., I, 1955, გვ. $369_{31}$). ამრიგად, კინკლოსის თარიღთან მხოლოდ ერთწლიანი სხვაობაა.

დღეისათვის დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს, რომ ბასიანის ომი 1202-1203 წწ. მოხდა. ამ ომის შემდგომ, ლაშა გიორგის მამას, დავით სოსლანს დიდხანს აღარ უცოცხლია და, სავარაუდებელია, 1204-1205 წწ. იგი გარდაიცვალა (იხ. ა. გამყრელიძე, ბასიანის ომის თარიღი, კავკასიის ხალხთა ისტ. საკითხები, 1966, გვ. 242-257; ბ. სილაგაძე, XII-XIII სს. საქ. ისტ. ზოგიერთი საკითხი..., კრებ., საქართველო რუსთაველის ხანაში, 1966, გვ. 118-119, გვ. 125 და შენ. 79). სწორედ ამ დროს უნდა გაეხადა ჟამთააღმწერლის გადმოცემით თამარს თანამოსაყდრედ 13 წლის ლაშა (ქ. ც., II, გვ. $151_{2}$). 1192/3 წწ. დაბადებული ლაშა 1205 წ. დაახლოებით 13 წლისა იქნებოდა.

**25.** (II, $4^{1}$, 31).

12-13 აპრილს 1204 წლისა ჯვაროსნებმა (=პრომთა) აიღეს კონსტანტინეპოლი და საშინლად დაარბიეს (История Византии,

II, 1967, გვ. 345). ბასილ ეზოსმოძღვრის თხზულების მიხედვით, ეს მოხდა თამარ მეფის მიერ ბიზანტიის წინააღმდეგ შავიზღვისპირეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში წარმოებული შეტევის შედეგად (ტრაპიზონის საკითხი). აიღეს ქართველებმა: ლაზია, ტრაპიზონი, სამსუნი, სინოპი, კერასუნტი, — „ხოლო ესმა ესე ფრანგთა, რამეთუ მოელო შეწევნა ბერძენთა აღმოსავლეთით, გამოვიდეს ვენეტიკნი და წარიღეს სამეუფო ქალაქი“ (ქართ. ცხოვ., II, 1959, გვ. $142_{20-25}$).

მ. ბროსეს, მის კვალდაკვალ ივ. ლოლაშვილს ბასილ ეზოსმოძღვრის ცნობის საპირისპიროდ აღნიშნული აქვთ, რომ თამარ მეფემ ალექსი კომნენს ტრაპიზონის დაპყრობაში დახმარება აღმოუჩინა იმის შემდეგ, რაც კონსტანტინეპოლის დაცემა შეიტყო (M. Brosset, Additions.... გვ. 297. ივ. ლოლაშვილი, ქართვ. მეხოტბენი, II, გვ. 84).

მოვლენათა განვითარების სისწრაფის თვალსაზრისით საინტერესოა, რომ მიქელ პანარეტოსის ქრონიკით კომნენმა, თამარის დახმარებით, ტრაპიზონი 1204 წ. აპრილშივე აიღო (მიქელ პანარეტოსი, ტრაპიზონის ქრონიკა, ალ. გამყრელიძის გამოც., მასალები საქ. და კავკ. ისტ., ნაკვ. 33, 1960, გვ. 16). ამიტომ თითქოს ნაკლებ დასაჯერებელია ამ ორი კონკრეტული ფაქტის ურთიერთკავშირი (იხ. ალ. გამყრელიძე, ბასიანის ომის თარიღი და ტრაპიზონის დაარსების ზოგიერთი საკითხი, კავკ. ხალხთა ისტ. საკითხები, 1966 გვ. 251).

აქვე დავძენთ, რომ აქ უბრალო სინქრონიზმთან არ უნდა გვქონდეს საქმე. ახლო აღმოსავლეთში მომხდარ ამ ორ მნიშვნელოვან მოვლენას შორის შინაგანი კავშირია საძიებელი. თამარ მეფეს უნდა სცოდნოდა ბიზანტიის მიმართ ჯვაროსანთა მზარდი ექსპანსიის მოსალოდნელი შედეგები. ნაწილობრივ მაინც იგივე ამბავი აპირობებდა ტრაპიზონში პროქართული დაჯგუფებების გაძლიერებას.

**26.** (I, 24. II, 5ა, 32).

ლაშა-გიორგისდროინდელი მემატიანის ცნობით, თამარმა 23 წელი იმეფა და 427 ქორონიკონს, ე. ი. 1207 წ. გარდაიცვალა (1184+23=1207. 427+780=1207), ხოლო ტახტზე ავიდა 12 წლის ლაშა (ქართ. ცხოვ., I, 1965, გვ. $369_{20-24}$, 370). ბასილ ეზოსმოძღვრის მიხედვითაც თამარმა 23 წელი იმეფა (ქართ. ცხოვ., II. გვ. $150_{1,2}$). სომეხი ისტორიკოსის ვარდანის ცნობით თამარი 22 წლის მეფობის შემდეგ გარდაიცვალა (1184+22=1206. Вардан. Всеобшая история, გვ. 171. თამარის ნაცვლად ემინისეულ თარგმანში შეცდომით ლაპარაკია დავით სოსლანზე, რადგანაც ფაქტების გაანალიზება-კომენტარში ემინი ეყრდნობოდა მ. ბროსეს, რომლის ქრონოლოგიით თამარი 1212-1214 წწ. გარდაიცვალა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

კინკლოსური ცნობა, ქართველთა მიერ 1207 წ. ყარსის აღებისა და თამარის გარდაცვალების შესახებ, დასტურდება არაბი ისტორიკოსის იბნ ალ-ასირის თხზულებით (603 წ. ჰიჯრით, ანუ 1206/7 წ. ბ. სილაგაძე, XII-XIII სს. საქართველოს ისტ. ზოგიერთი საკითხი..., კრებული, საქართველო რუსთაველის ხანაში, 1966, გვ. 124). ვარდანის მიხედვით თამარმა თურქებს ყარსი 1206 წ. წაართვა (Всеобшая ист., გვ. 169).

კინკლოსური ცნობების ბუნებიდან გამომდინარე ერთწლიანი სხვაობა სხვადასხვა კინკლოსის თარიღებში დასაშვებია. ამასთანავე A—85 (II)-ის ცნობით თამარი 1206 წ. გარდაიცვალა, მაგრამ ლაშა 1207 წ. გამეფდა, ხოლო თამარის შემდგომ ლაშას გამეფების ერთწლიან ინტერვალზე არცერთი სხვა წყარო არ მიგვითითებს. იმავე A—85-ის II კინკლოსში XV საუკუნის მხედრულით გაკეთებული მინაწერი, 1211 წ. თამარის გარდაცვალებისა და მომდევნო წელს მისი ძის გიორგის გარდაცვალების შესახებ, თ. ჟორდანიას აზრით, თამარის დ ე დ ო ფ ლ ა დ მოხსენიების გამო არ გულისხმობს თამარ მეფეს (ქრონიკები, II, გვ. 91). ჩვენი აზრით, ეს ცნობა, წინამავალ ცნობასთან ერთად კონსტანტინეპოლის 1204 წ. დაწვის შესახებ, მექანიკურად იქნა გადმოტანილი I კინკლოსიდან. თარიღში და თამარის დედოფლად მოხსენებისას გადამწერმა შეცდომა დაუშვა.

სხვა თარიღი თამარის გარდაცვალებისა არც ქართულ და არც უცხოურ პირველწყაროებში არ არის.

მარმეთის 1206 წლის და ჰაღბატის 1210 წ. წარწერებში საქართველოს მეფე არის არა თამარი, არამედ მისი ძე გიორგი (ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ერის ისტ., II, 1965, გვ. 290, 291).

მ. ბროსემ მიიჩნია, რომ თამარი გარდაიცვალა 1212 წ. გარდაცვალებული ზაქარია მხარგრძელის შემდგომ, 1212-1214 წწ. (M. Brosset, Additions..., გვ. 298).

თ. ჟორდანიამ გაითვალისწინა თამარ მეფის გარდაცვალების ბროსესეული თარიღი და ქრონოლოგიური წინააღმდეგობების შემცველი „ისტორიანი და აზმანის" თხზულებაზე დაყრდნობით (მთიულთა აჯანყების ხანგრძლივობა) ერთწლიანი კორექტივი შეიტანა თარიღში. თ. ჟორდანიას მიხედვით თამარ მეფე 1213 წ. გარდაიცვალა (ქრონიკები, I, გვ. 300). ეს თარიღი მიიჩნიეს მართებულად ალ. ხახანაშვილმა, საკუთარი დასაბუთებით ივ. ჯავახიშვილმა და იგივე დამკვიდრდა სამეცნიერო თუ სასწავლო ლიტერატურაში, ხოლო კ. კეკელიძის გამოკვლევით თამარი 1216 წ. 27 იანვარს გარდაიცვალა (იხ. Трапезундская хроника, 1905, გვ. 19. ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ერის ისტ., II,

1965. გვ. 290, 1213-1214 წწ. „ისტორიანი და აზმანი“, კ. კეკე-ლიძის გამოც., 1941, გვ. 43).

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამარის გარდაცვალების თარიღად 1207 წელს ადრიდანვე მიიჩნევდა ს. კაკაბაძე. ამასვე ამტკიცებდა იგი ვეფხისტყაოსნისადმი მიძღვნილ თავის უკანასკნელ შრომაში (ს. კაკაბაძე, რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი, 1966, გვ. 228-230. ადრინდელი შრომების მითითება იხ. იქვე შენ. 1).

ბ. სილაგაძემ იბნ ალ-ასირის ცნობების შესწავლისას დამაჯერებლად დაამტკიცა, რომ იბნ ალ-ასირის ცნობა თამარის 1206/1207 წწ. გარდაცვალების შესახებ სწორია. მან მოიშველია მხითარ აირივანცის ცნობა, რომლის მიხედვითაც 1209—1210 წწ. თამარ მეფე ცოცხალი აღარ იყო. მანვე გამოიყენა ფრანგი რაინდის დე ბუას მიერ ბეზანსონის ეპისკოპოსისადმი მიწერილი წერილი 1207 წ. რომ ათარიღებენ და რომელშიც ვკითხულობთ, ქრისტიანობისთვის მებრძოლი 16 წლის ქართველთა მეფე თავისი დედის ძვლებს თან დაატარებსო (ბ. სილაგაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 124-129).

**27.** (I, 25).

აფხაზთა ქრონიკის ცნობასთან თანხმობაშია ლაშა-გიორგისდროინდელი მემატიანის მონათხრობიც: „მოკუდა გიორგი მეფე ბაგავანს იანვარსა თვრამეტსა, დღესა ოთხშაბათსა. ქრონიკონი იყო ოთხას ორმოცდაორი“ (442 + 780 = 1222, ქართ. ცხოვ., I, 1955, $371_{7, 8}$). ამავე წელს გამეფდა მისი და რუსუდანი.

ეს თარიღია დამკვიდრებული სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურაში (იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ერის ისტ., III, 1966, გვ. 28 და სხვ.).

სხვადასხვა არაპირდაპირი ცნობის საფუძველზე მარი ბროსე მიიჩნევდა, რომ ლაშა-გიორგი 1223 წ. გარდაიცვალა (M. Brosset, Histoire..., I, გვ. 493, შენ. 3; გვ. 495, შენ .3).

**28.** (I, 28).

ჟამთააღმწერლის თხზულებაში, სადაც თარიღები საერთოდ არ არის, დავითის თანამოსაყდრედ დასმა მოთხრობილია ჯალალედინის საქართველოში ყოფნისას; ხოლო ჯალალედინი 1231 წ. მოკლეს. ამიტომ. ივ. ჯავახიშვილმა აფხაზთა ქრონიკის თარიღი მცდარად ჩასთვალა. მანვე მიუთითა ჟამთააღმწერლის თხზულების შესაბამის ადგილას დაშვებულ ფაქტობრივ წინააღმდეგობებსა და შეცდომებზე (ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ერის ისტ., III, 1966, გვ. 103-110).

ნ. ბერძენიშვილი სთვლიდა, რომ დავითის ნაადრევად დასმა თანამოსაყდრედ, შესაძლებელია, ჯალალედინის საწინააღმდეგო პო-

ლიტიკური აქტი იყო (ნ. ბერძენიშვილი, სავაზირო..., საქ. ისტ. საკითხები, III, 1966, გვ. 21, შენ. 71). დავითის თანამოსაყდრედ დასმა, მაინც ვფიქრობთ, იმ გარემოებით იყო ნაკარნახევი, რომ ლაშას ძეს ტახტზე პრეტენზიები ჩახშობოდა. ჯალალედინს საქართველოს სამეფო ტახტი საკუთრად უნდოდა და რამდენი მეფე იქნებოდა ამ ტახტზე, მისთვის პრინციპული მნიშვნელობის არ უნდა ყოფილიყო. ამავე დროს ჟამთააღმწერლის თხზულებაში მრავალი წინააღმდეგობაა. გადაჭრით იმის მტკიცებაც არ შეიძლება, რომ დავითი მაინცდამაინც ჯალალედინის დროს გახდა თანამოსაყდრე. იგივე ჟამთააღმწერელი გადმოგვცემს, რომ დავით რუსუდანის ძის გამეფება მოხდა ლაშას ძის დავითის რუმის სასულტნოში გაგზავნის თანადროულად, ხოლო აბულფარაჯის სირიული ქრონიკა მოგვითხრობს, რომ 1236 თუ 1237 წ. რუსუდანმა თავისი ასული თამარი რუმის სულტან ყიასედინს მიათხოვა და ლაშას ვაჟიც თან გააყოლა (ქართ. ცხოვ., II, 1959, გვ. 180. M. Brosset, Histoire..., I, გვ. 502, შენ. 3).

**29.** (I, 30).

ცნობილია რუსუდანის წერილი, მიწერილი 1240 წ. რომის პაპისადმი, ამიტომ მარი ბროსემ მცდარად მიიჩნია რუსუდანის გარდაცვალების ვახუშტისეული თარიღი—1237 წ. ცოცხალია რუსუდანი 1243 წ. მონღოლთა მიერ ყიასედინის დამარცხებისას, აგრეთვე 1244 წ. მონღოლთა მიერ ალამუთის წინააღმდეგ ბრძოლის განახლებისას. ჩამჩიანის შრომაზე დაყრდნობით მ. ბროსემ მიიჩნია, რომ რუსუდანი 1247 წ. გარდაიცვალა (თავი მოიწამლა). მ. ბროსე არ გამორიცხავდა შესაძლებლობას, რომ რუსუდანის გარდაცვალების თარიღი 1248 ან 1249 წლამდე გადაწეულიყო (M. Brosset, Histoire..., I, გვ. 528, შენ. 6).

რომის პაპის ელჩის პლან კარპინის, სპარსი ისტორიკოსების რაშიდ ედ-დინის, ჯუვეინის ცნობებით 1246 წ. გუჲუქის ყაენად კურთხევის დღესასწაულს ორივე უფლისწული დავით ლაშას-ძე და დავით რუსუდანის-ძე ესწრებოდნენ. ამრიგად, აფხაზთა ქრონიკის ცნობა, რომ „მასვე წელსა (1245 წ. ჯ. ო.) დავით გამოვიდა“ სხვა წყაროებით არ დასტურდება. 1246 წ. ურდოში მისულმა პლან კარპინმა იცოდა რუსუდანის გარდაცვალების ამბავი, ხოლო საქართველოდან ურდოში ცნობის მიღწევას წელიწადი მაინც დასჭირდებოდა, ამიტომ ივ. ჯავახიშვილმა რუსუდანის გარდაცვალების აფხაზთა ქრონიკისეული თარიღი სწორად მიიჩნია (ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ერის ისტ., III, 1966, გვ. 119 — 121).



ეროვნული ბიბლიოთეკა

**30.** (II, 7. III, 5. IV, 5. V, 1. VI, 1. VII, 1. VIII, 1. IX, 1. X, 1.), კარგად არის ცნობილი, რომ თურქებმა კონსტანტინეპოლი 1453 წ. 29 მაისს აიღეს. ამრიგად, საკმაოდ მკვიდრი ტრადიციით, ქართულ ქრონოგრაფიებში 9 წლიანი შეცდომაა დაშვებული. 1444 წ. უჩვენებს ამ ამბავს პარიზის ქრონიკაც (Chronique Géorgienne, ბროსეს გამოც., 1829, ქართ. ნაწ., გვ. 2). ერთ კინკლოსში 1445 წ. მექანიკური შეცდომის შედეგადაა მითითებული. ერთ-ერთი კინკლოსის (V) ქრონისტს შეუნიშნავს შეცდომა, მაგრამ სწორი თარიღი არც მას სცოდნია და კონსტანტინეპოლის აღება 1457 წ. აღუნიშნავს.

**31.** (II, 9, V, 2).

პარიზის ქრონიკისა და ახალი ქართლის ცხოვრების (III ტექსტი) ცნობით აყ-ყოინლუს ბელადი უზუნ-ჰასანი 1462 წ. მოვიდა სამცხეში დასახმარებლად ყვარყვარე ათაბაგისა და ჩიხორთან გაამარჯვებინა კიდეც ათაბაგს მეფეზე (Chronique Géorgienne, ქართ. ტექსტი, გვ. 2, ქართ. ცხოვ., II, გვ. 478 $_{12, 13}$).

სპარსულენოვანი, ან სხვა უცხოური წყაროები არ ადასტურებენ უზუნ-ჰასანის აღნიშნულ შემოსვლას საქართველოში, სამცხეში.

ამბროზიო კონტარინის ცნობით 1473/1474 წწ. უზუნ-ჰასანს უკვე დაკავებული ჰქონდა ლორის ციხე და სომხითი, რაც ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით ნიშნავს იმას, რომ უზუნ-ჰასანი ადრევე — 1461/62 წწ. შემოვიდა საქართველოს სამხრეთში (ქართ. ერის ისტ., IV 1948, გვ. 86—87).

**32.** (V, 3)

ცნობის პირველი ნაწილი—„აქა მეფესა ყუარყუარე უშველა", გაუგებარია, თუ არ გავითვალისწინებთ პარიზის ქრონიკის, ახალი ქართლის ცხოვრების (III ტექსტი) შესაბამის ადგილს: „უზუნჰასან ყაენი მოვიდა სამცხეს, ყვარყვარეს უშველა" (Chronique Géorgienne, გვ. 2; ქართ. ცხოვ. II, გვ. $478_{12}$), ე. ი. თავის დროზე ცნობა წინამავალისაგან ხელოვნურად გაუწყვეტიათ.

ვახუშტის მიხედვით ჩიხორთან 1463 წ. გიორგი VIII და მისი ტახტის მოცილე ბაგრატი (შემდგომში ბაგრატ VI) შეიბნენ (ვახუშტი, საქართ. ისტ., ბაქრაძის გამოც., გვ. 304—305).

ჩიხორის ომის სპეციალურად შესწავლისას ივ. ჯავახიშვილმა დაადგინა, რომ ცნობებში ლაპარაკია იმერეთში მდებარე ჩიხორზე. მან მკვეთრი ზღვარი დასდო ვახუშტის ცნობასა და კინკლოსურ ცნობებს შორის: ჩასთვალა რომ გიორგისა და ბაგრატს შორის მომხდარ ბრძოლაში ათაბაგი არაფერ შუაში იყო და, ცხადია, ვერც გაიმარჯვებდა (ქართ. ერის ისტ., IV, 1948, გვ. 84—86).

ვახუშტისავე ცნობით ბაგრატმა ჩიხორის ომი ყვარყვარე ათაბაგის წაქეზებით წამოიწყო. ათაბაგი ალბათ მონაწილეობასაც მიიღებდა ამ ომში და თუ ქრონისტი სამცხელი იყო, გიორგი მეფის დამარცხება მისთვის პირველ რიგში ათაბაგის გამარჯვებად იქნებოდა მიჩნეული.

**33.** (I, 5. 6. III. 6. IV, 6).

ორი კინკლოსური ქრონიკა ერთნაირად, 1463 წ. თარიღით, მოგვითხრობს ქართველთა მეფის თავრიზს გალაშქრების და თემურის აოხრების, თუ თემურის მიერ მეფის „აოხრების“ ამბავს. „აფხაზთა ქრონიკაში“ ქვეყნის დასაბამიდან დათარიღების თვალსაზრისით უადგილო ადგილას იგივე ცნობა რედაქციული სხვაობით 1486 წ. არის აღნიშნული და დამატებით ჩაწერილია, 1484 წ. თემურმა დიმიტრი ააოხრაო.

პარიზის ქრონიკაში და აქედან სიტყვა-სიტყვით ქართლის ცხოვრების გაგრძელებაში (III ტექსტი) იგივე ამბავი კვლავ 1463 წ. თარიღით ბუნდოვანი ტექსტითაა გადმოცემული „აქა ქართველთ მეფე თავრიზს გილაქმა და თემურა ააოჭრა“ (Chronique Céorgienne, ქართ. ტექსტი, გვ. 2. ბროსესეულ ფრანგულ თარგმანში ლაპარაკია თემურის მიერ მეფის შეპყრობა-აოხრებაზე; ქართ. ცხოვრ., II, $478_{14}$).

1463 წ. „თავრიჟ გილაქმან და თემურ მოაოხრეს ქართლი და საგანძურნი მეფისანი“, ვკითხულობთ ვახუშტისთან (საქ. ისტ., ბაქრაძის გამოც., გვ. 305). ე. ი. თავრიჟ გილაქი და თემურ აქ სარდლების სახელებია და აღარ არის ლაპარაკი ქართველთა მეფის გალაშქრებაზე.

1463 წ. საქართველოს მეფეს გიორგი VIII-ს გამწვავებული მდგომარეობა ჰქონდა ყვარყვარე ათაბაგთან, ხოლო იმერეთიდან მას ტახტს ეცილებოდა ბაგრატი. ასეთ ვითარებაში მეფეს თავრიზისკენ გალაშქრების თავი არ უნდა ჰქონოდა. უცხოური წყაროებით არც რაიმე გარეშე ძალის საქართველოში შემოჭრის ამბავი დასტურდება ამ პერიოდში. თ. ჟორდანია აიგივებდა თემურსა და იაყუბ-ყაენს, მაგრამ ,ვფიქრობთ, უმართებულოდ (ქრონიკები, II, გვ. 303, 304). იაყუბ-ყაენის შემოსევა კინკლოსურ ქრონიკებში ცალკეა მოთხრობილი

ამრიგად, აღნიშნული კინკლოსური ცნობები ჩვენთვის ჯერჯერობით ძნელად ასახსნელ ანაქრონიზმს შეიცავენ. ცნობები თემურლენგის, ან თემურიდების ქართული წყაროებისთვის და მათ შორის კინკლოსური ქრონიკებისთვის ბნელით მოცულ პერიოდს უნდა შეეხებოდეს. გადამწერის კალმისმიერი დამახინჯების შედეგად შესაძლებ-

ეროვნული

ლია დიმიშტი აღნიშნავს დამასკოს, რომელიც თემურმა 1401 წ. აიღო. გვიანდელი ისტორიული ცნობების თავრიზ—თავრიჟი, ცხადია, ირანის ცნობილი ქალაქია და არა სარდლის სახელი, ასევე გილაქი ქალაქი გილანი უნდა იყოს. თემურიდების მმართველობის დასაწყისში შესაძლებელია, ქართველთა მეფემ მართლაც დალაშქრა აღნიშნული ქალაქები.

**34.** (II, 10. V, 4).

ყვარყვარე ათაბაგის მიერ 1465 წ. გიორგი მეფის შეპყრობა და ბაგრატის გამეფება მოთხრობილი აქვს ვახუშტი ბაგრატიონსაც (საქ. ისტ., I, ბაქრაძის გამოც., გვ. 306). ამავე თარიღით ათაბაგის მიერ მეფის (სახელი არ წერია) ტყვედქმნის შესახებ ცნობა არის პარიზის ქრონიკაშიც (Chr. Géorg., ქართ. ტექსტი გვ. 3. ფრანგულ თარგმანში—მეფემ შეიპყრო ყვარყვარე, გვ. 4). ქართლის ცხოვრების გაგრძელებაში (III ტექსტი) შეცდომით ლაპარაკია ყვარყვარეს მიერ ბაგრატ იმერთა მეფის შეპყრობაზე (ქართ. ცხოვრ., II, გვ. $478_{15}$).

ყვარყვარე ათაბაგმა რომ გიორგი მეფეს უღალატა, ეს დიპლომატიკური მასალითაც დასტურდება (კონსტანტინეს სიგელი ჯავახიშვილისადმი. იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ერის ისტ., IV, 1948, გვ. 90). ბაგრატ VI-ის ქართლში გამეფება გიორგი VIII-ის შეპყრობის თანადროული ამბავი იყო. ბაგრატის ერთი ინდიქტიონიანი სიგლით ირკვევა, რომ იგი 1465 წ. გამეფდა (ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 97).

**35.** (V, 5).

ამ წელს გულქან დედოფლის გარდაცვალება აღნიშნულია პარიზის ქრონიკაში, სხვა ქრონიკალურ ცნობებში (Chronique Géorg., გვ. 3; ქრონიკები, II, გვ. 289).

მ. ბროსე გულქან დედოფალს აიგივებდა ახალ ქართლის ცხოვრებაში (II ტექსტი) ალექსანდრე დიდის უმცროსი ვაჟის დიმიტრის მეუღლედ მოხსენებულ დედოფალ გულანშართან (ქართ. ცხოვ., II, გვ. $476_{14}$; ბროსე, Histoire..., I; გვ. 684, შენ. 5).

**36.** (II, 11)

ტექსტი ცოდნისმიერად არის აღდგენილი თ. ჟორდანიას მიერ. ამ თარიღის სხვა მსგავსი ქრონიკალური ცნობა არ გაგვაჩნია. ადრევე დაწყებული ბრძოლა ბაგრატსა და კონსტანტინეს შორის ცნობილი ამბავია. 1472 წ. 2/I თარიღის დოკუმენტში აღნიშნულია მათი ორმეფობა „ორიანობა“ (იხ. ჯ. ოდიშელი, ალმ. საქ. პოლიტ. ისტორიისათვის, კრებ., XIV—XVIII სს. რამდენიმე ისტ. საბუთი, 1964, გვ. 84—85).

ეროვნული ბიბლიოთეკა

**37.** (III, 7. IV, 7).

გიორგი XIII-ის გარდაცვალების ვახუშტისეული თარიღი 1469 წ. ივ. ჯავახიშვილის აზრით ხელოვნურად არის გამოყვანილი კონსტანტინე II-ის ქართლში გამეფების თარიღიდან. გიორგის ძე ალექსანდრე I 1476 წ. გამეფდა კახეთში და ივ. ჯავახიშვილის დასკვნით გიორგიც იმავე წელს უნდა გარდაცვლილიყო (ქართ. ერის ისტ., IV, 1948, გვ. 94).

გიორგი VIII-ის კახეთში მეფობის შესახებ თითქმის არაფერია ცნობილი. გვაქვს ერთი უთარიღო სიგელი — გიორგი VIII-მ კახეთში აზნაური შესწირა მცხეთას (ჯ. ოდიშელი, ალმ. საქ. პოლიტ. ისტორიისათვის, კრებ. XIV — XVIII სს. რამდენიმე ქართული ისტ. დოკუმენტი, 1964 წ., გვ. 98).

**38.** (V, 7).

იტალიელი ელჩების იოსაფა ბარბაროს და ჯიოვანი ანჯოლელოს სარწმუნო ცნობებით უზუნ-ჰასანმა საქართველოში 1477 წ. ილაშქრა (ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ერის ისტ., IV, 1948, გვ. 119—125; რ. კიკნაძე, საქართველო-ირანის ურთიერთობის ისტორიიდან, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტ. შრომები, VII, 1964, გვ. 118).

უზუნ-ჰასანის საქართველოში ლაშქრობა ზედგინიძეთა ერთ სახივრის წიგნშიც არის ასახული (იხ. ნ. ბერძენიშვილი, ფეოდალური ურთიერთობიდან XVI ს-ში, საქ. ისტ. საკითხები, II, 1965, გვ. 125).

ოტომარ ბეჰუშის გამოკვლევით 1478 წ. უზუნ-ჰასანმა საშინლად დაარბია საქართველოს ეკლესია-მონასტრები, დააწიოკა-დაატყვევა ხალხი და ალაფად დიდი განძეულობა წაიღო (M. Brosset, Histoire..., II ტ., I ნაწ., 1856, გვ. 209, შენ. 3).

**39.** (II, 12. V, 8).

„ათონის კრებულის" ალაპების მიხედვით იანქო ყვარყვარე ათაბაგისა და დედისიმედის მეოთხე ვაჟიშვილი იყო.

იანქოს ბატონად დაჯდომაში ქრ. შარაშიძის აზრით იგულისხმება მისთვის საპატრონო-საუფლისწულოს გამოყოფა მამის მიერ და არა მისი გახდომა სამცხე-საათაბაგოს მფლობელად (იხ. ქ. შარაშიძე, საქ. ისტ. მასალები, მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, ნაკვ. 30, 1954, გვ. 204, 208, 209).

**40.** (V, 9).

განსხვავებული ცნობები არადეთის ომის შესახებ არის პარიზის ქრონიკაში, ვახუშტი ბაგრატიონთან, ახალ ქართლის ცხოვრებაში. ამ ომის მიზეზის, არადეთის ადგილმდებარეობის (მდ. ფრონეს მარჯვენა ნაპირი) გარკვევის, წყაროთა ჩვენებების ურთიერთშეჯერების სა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფუძეველზე ივ. ჯავახიშვილმა დაასკვნა: „იმის გარდა, და იმაზე მეტი, რაც სულ მოკლედ კინკლოსებშია არადეთის ბრძოლის შესახებ ნათქვამი, დანაძდვილებით არა ვიცით რა“ (ქართ. ერის ისტ., IV, 1948, გვ. 136—143).

**41.** (V, 10).

ვახუშტი ბაგრატიონის გადმოცემით ალექსანდრე II გამეფება იმერეთში პირდაპირი შედეგი იყო არადეთის ომის, ქართლის მეფის პოლიტიკური მდგომარეობის გაუარესების (ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ერის ისტ. IV, 1948, გვ. 143).

**42.** (II, 13. IV, 8. V, 11. VII, 2. VIII, 2).

კინკლოსური ცნობების ძირითადი მასა, ერთის გამოკლებით, (VIII, 2—1486 წ.) იაყუბ (=იალობ) ყაენის სამცხეში შემოსევას 1485 წ. აღნიშნავს. ვახუშტისთან, პარიზის ქრონიკაში, ახალ ქართლის ცხოვრებაში იგივე ამბავი 1486 წლის თარიღითაა გადმოცემული. სპარსული წყაროების: „ჰასან-რუმლუს, იბნ რუზბეჰანის, აჰმედ ყაფარის ცნობათა შესწავლა-გაანალიზების საფუძველზე რ. კიკნაძემ დაადგინა, რომ საქართველოს სამხრეთში (სამცხეში) აყ-ყოინლუს ტომის თურქმანების პირველი შემოსევა, უზუნ-ჰასანის შვილის, იაყუბ ყაენის მეთაურობით 1481 წ. შემდგომ, მაგრამ 1486 წლამდე მოხდა (რ. კიკნაძე, საქართველო-ირანის ურთიერთობის ისტორიიდან, ისტორიის ინსტ. შრომ., VII, 1964, გვ. 123—127; იხ. აგრეთვე ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ, 1966 წ. ვ. ფუთურიძის გამოც., გვ. 17). ცნობები საკუთრივ ქართლში იაყუბ ყაენის მეორე შემოსევის შესახებ კინკლოსურ ქრონიკებში არ არის.

**43.** (X, 2)

ათაბაგთა ქრონიკის შემოწმებული, სანდო ცნობის მიხედვით დიდი ყვარყვარე ათაბაგის მეუღლე დედისიმედი გარდაიცვალა 1489 წლის 18 დეკემბერს, პარასკევს (იხ. ქ. შარაშიძე, საქართველოს ისტ., მასალები, კრებ., მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, ნაკვ. 30. 1954, გვ. 198). ამ წლის 18/XII მართლაც პარასკევი იყო.

**44.** (II, 14. IV, 9. X. 13. VI, 3. VIII, 3. X, 3).

ათაბაგთა ქრონიკით ყვარყვარე 1498 წ. 1 ივლისს კვირას გარდაიცვალა (ქ. შარაშიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 198). ამ წლის 1/VII მართლაც კვირა იყო.

**45.** (VI, 4. X, 4. VIII, 4).

ათაბაგთა ქრონიკით ძე ყვარყვარესი, ქაიხოსრო, გარდაიცვალა

1500, წ. 5 ივნისს, ოთხშაბათს 6 საათზე (ქ. შარაშიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 198). ამ წლის 5/VI მართლაც ოთხშაბათი იყო.

**46.** (II, 15. V, 14).

სხვა ცნობები ათაბაგის ძის იანქოს გარდაცვალების შესახებ არ გაგვაჩნია (ქ. შარაშიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 208—209).

**47.** (V, 15)

პარიზის ქრონიკის მიხედვით კონსტანტინე II 1503 წ. გარდაიცვალა (Chr. Géorgienne, ქართ. ტექსტი, გვ. 3). იგივე თარიღია ერისთავიანთ დაუჯდომელის ქრონიკაში, ქართლის ცხოვრების გაგრძელებაში, ხოლო ჩხეიძის ქრონიკით კონსტანტინე 1504 წ. გარდაიცვალა (ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ერის ისტ. IV, 1967, გვ. 205).

საკითხის გასარკვევად არ გაგვაჩნია კონსტანტინეს ძის, დავით მეფის, ინდიქტიონიანი სიგლები. ამიტომ, პირობითად, კინკლოსური ქრონიკების და ვახუშტის (ქართ. ცხოვრ. II, ჩუბინაშვ. გამოც. გვ. 241) ცნობების მიხედვით კონსტანტინეს გარდაცვალების თარიღად მიღებულია 1505 წ.

**48.** (V, 16. X, 5. XIII, 1. XV, 1.).

ერთ-ერთი მომენტია „საქართველოების" მეფეთა უნაყოფო შინაბრძოლისა ერთიანი ტახტისათვის. პარიზის ქრონიკაში (ამდენად ახალ ქართლის ცხოვრებაშიც, III ტექსტი, გვ. $487_2$) შედარებით უფრო დეტალიზებული იგივე ცნობა 1509 წ. თარიღითაა გადმოცემული. მითითებულია, რომ ალექსანდრე II იმერთა მეფემ გორი 6 აგვისტოს აიღო და რომ იმერეთიდან თათრებმა მრავალი ტყვე წაასხეს (Chronique Géorg., გვ. 4, იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ერის ისტ., IV, 1967, გვ. 209—212). ნამდვილ თარიღად მომხდარი ამბებისა ივ. ჯავახიშვილს 1509 ან 1510 წ. მიაჩნდა.

**49.** (V, 18).

ვახუშტი ბაგრატიონისა და ერთი კინკლოსური (ჟამნი № 2) ცნობის სიზუსტეს ალექსანდრე II იმერთა მეფის 1510 წ. გარდაცვალების შესახებ ადასტურებს ოყურეშის ეკლესიის ხატის წარწერაში და ალექსანდრეს ძის, ბაგრატის, მიერ გაცემულ სიგელში მოცემული ინდიქტიონები ბაგრატის მეფობისა. ბაგრატი 1510 წ. გამეფებულა, ხოლო მოხისთან ბრძოლა ვახტანგსა და ბაგრატს შორის 1513 წ. უნდა მომხდარიყო (იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ერის ისტ., IV, 1967, გვ. 213—214 და გვ. 239, შენ. 2).

**50.** (VI, 5. IX, 2).

ავ-გიორგის გამუდმებული ქიშპობა ჰქონდა ქართლის მეფე და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვითთან და რამდენიმეჯერ დაურბევია ქართლი. მისი უკანასკნელი სიგელი—ყმა-მამულის შეწირულების წიგნი მიცემული დავით-გარეჯისთვის — 1513 წ. 4/VI არის დათარიღებული. კინკლოსური ცნობებით, ვახუშტი ბაგრატიონის, პარიზის ქრონიკის მიხედვით ამავე 1513 წ. ავ-გიორგი შეპყრობილ იქნა და პატიმრობაში მოკვდა თუ მოკლეს. ქართლის ცხოვრების გაგრძელებათა მიხედვით ავ-გიორგი 1514 წ. შეიპყრეს და შემდეგ ციხეში მოაშთვეს (ქართ. ცხოვრება. II, გვ. 351 $_{14-16}$, გვ. 489$_{25-26}$). ავ-გიორგის შეპყრობის თარიღად უფრო მისაღები ჩანს 1513 წ. წყაროთა უმეტესობა ამ თარიღს უჭერს მხარს და ავ-გიორგის უკანასკნელი სიგელიც 1513 წლისაა (ჯ. ოდიშელი, ალმ. საქ. პოლიტ. ისტორიისათვის, გვ. 99 შენ. 150).

**51.** (II, 16. IV, 10. V, 19. VI, 6. VIII, 5. X, 6).

ყვარყვარე დიდის და დედისიმედის ვაჟის მზეჭაბუკის გარდაცვალებას კინკლოსური ცნობების მსგავსად 1516 წ. აღნიშნავს ვახუშტი ბაგრატიონი, პარიზის ქრონიკა (3/VI—პარიზის ქრონიკაში, ბროსეს გამოც., გვ. 5).

ათაბაგთა ქრონიკის სარწმუნო ცნობით მზეჭაბუკი 1515 წ. 5 ივნისს, სამშაბათს გარდაიცვალა (ქ. შარაშიძე, დასახ. ნაშრომი, მასალები, ნაკვ. 30, 1954, გვ. 198).

**52.** (XIII, 2. XIV, 1. XV, 2).

იგივე 1519 წ. თარიღით ვახუშტი ბაგრატიონი გადმოგვცემს: „ბაგრატ მეფემან... ჰყო გელათი საეპისკოპოსოდ და დასვა საყვარელიძე **მელქისედეკ**“ (ქართ. ცხოვ., ჩუბინაშვილის გამოც., II, გვ. 188; Brosset, Histoire..., II ტ., I ნაწ., გვ. 254, შენ. 5).

პარიზის ქრონიკით (=ახალი ქართ. ცხოვ., III ტექსტი, გვ. 493$_{25}$) 1519 წ. მიიცვალა გელათის მოძღვართ-მოძღვარი ილარიონი, ხოლო 1529 წ. გელათის „მეორედ აღმაშენებელმა“ ბაგრატ III იმერთა მეფემ ჩაატარა საეკლესიო რეფორმა—სამ საეპისკოპოსოდ დაჰყო დასავლეთი საქართველო და გელათში ეპისკოპოსად მელქისედეკ საყვარელიძე დასვა. შემოქმედის გულანით (XV, 2) გელათში ომფორი 1525 წ. დასდეს.

**53.** (X, 20).

პარიზის ქრონიკის ცნობითაც დავით X 1526 წ. მიიცვალა (ბროსეს გამოც., გვ. 5). შემონაზონებამდე, უკანასკნელად როგორც მეფე, საბუთებში დავითი ჩანს 1525 წ. (ჯ. ოდიშელი, ალმ. საქ. პოლიტ. ისტორიისათვის, გვ. 85—86).

ეროვნული ბიბლიოთეკა

**54.** (X, 7).

ვახუშტის მიხედვით ჯიქეთში ლაშქრობა მოხდა 1532 წ. (ქართ. ცხოვ., II, ჩუბ. გამოც., გვ. 188). პარიზის ქრონიკაში (=ქართ. ცხოვ., II, $497_{16}$) ცნობა უფრო დეტალიზებულია. აღნიშნულია, რომ ჯიქებსა და მეგრელ-გურულებს შორის საბოლოო ბრძოლა მოხდა 31 იანვარს, პარასკევს. თ. ჟორდანიას სწორი გამოთვლით 1533 წ. 31 იანვარი სწორედ პარასკევი იყო და ამიტომ თარიღი სანდო უნდა იყოს (ქრონიკები, II, გვ. 379; იხ. Grumel, La chronologie, 1958, გვ. 316).

**55.** (II, 17. III, 9. IV, 11. 22. VI, 8. VII, 4. VIII, 7. IX, 4 X, 8).

პარიზის ქრონიკით იმერთა მეფე ბაგრატ III ალექსანდრეს ძემ ყვარყვარე ათაბაგი მურჯახეთში 1535 წ. 13 აგვისტოს, ხუთშაბათს დაამარცხა. ერთი კინკლოსური ცნობით ეს მოხდა 12 აგვისტოს, ხუთშაბათს. თ. ჟორდანიას სწორი გამოთვლით 1535 წ. 12 აგვისტო მართლაც ხუთშაბათი იყო. ამიტომ მოცემული თარიღი სანდოა (იხ. ქრონიკები, II, გვ. 381; Grumel, La chronologie, გვ. 316).

მურჯახეთის ლოკალიზაციის შესახებ იხ. ნ. ბერძენიშვილი, ჯავახეთის 1933 წ. ექსპედ. დღიური, საქ. ისტ. საკითხები, I, გვ. 58; ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, 1958, გვ. 334—351. მურჯახეთი ახალქალაქის მახლობლად მდებარეობს და ამიტომ ერთი კინკლოსი (X, 9) ბრძოლის ადგილად ახალქალაქს ასახელებს.

**56.** (III, 10, 25. IV, 12, 32, 63. VI, 9. VII, 5. VIII, 8. XV, 3).

იმ წლებში, როდესაც აღდგომა 6 აპრილს უწევს, მართლმადიდებლურ (ბერძნულ) ეკლესიასთან კონფესიური განხეთქილების შედეგად, სომხურ-გრიგორიანული (იაკობიტური, ნესტორიანული) ეკლესია აღდგომას 13 აპრილს დღესასწაულობს. ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის თვალსაზრისით ეს არის „შეშლა"—ცრუზატიკის დადება. ასეთი ცრუზატიკები იყო 570, 760, 1007, 1102, 1292 წწ. (Grumel, La chronologie, გვ. გვ. 245, 249, 254, 256, 258, 260).

აბულ ფარაჯის, კირაკოზ განძაკელის გადმოცემით აღდგომის გამო შეუთანხმებლობამ 1197 წ. განხეთქილება წარმოშვა სომეხ-ქართველთა შორის (Brosset, Additions..., XVII, გვ. 279—282). გრიგორიანული ეკლესიის თვალსაზრისით ცრუზატიკები მითითებული აქვს არაქელა თავრიზელს, მაგრამ ხშირად შეცდომით, მაგალითად 1539 წ. ნაცვლად — 1538 წ. (Brossèt, Collection d'historiens arméniens, I, 1874, გვ. 565, 566, 568, 574.)

1539, 1634, 1729 წწ. აღდგომა 6 აპრილს იყო, ხოლო სომეხთათვის 13 აპრილს. 1539 წ. და 1729 წ. ცრუზატიკები აღნიშნულია ვახუშტის ქორონიკონებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**57.** (V, 24. VI, 10. IX, 5).

ისკანდერ მუნშის, ჰასან რუმლუს ცნობებითაც, შაჰ-ისმაილის ძის, შაჰ-თამაზის (1524 — 1576) პირველი მოულოდნელი შემოსევა საქართველოში, როდესაც მან ციხისთავის გულბაათის ღალატით თბილისი დაარბია, მოხდა 1540/1541 წ. (Brosset, Histoire moderne..., II, I ნაწ., გვ. 447; ჰასან რუმლუს ცნობები საქ. შესახებ, ვ. ფუთურიძის გამოც., 1966, გვ. 22).

არაქელა თავრიზელთან შაჰ-თამაზის თბილისში პირველი შემოჭრის თარიღია 1540 წ. Collection d'historiens arméniens, I, 1874, ბროსეს გამოც., გვ. 574). ვახუშტი ბაგრატიონი თამაზშაჰის ლაშქრობას შეცდომით 1536 წ. აღნიშნავს, ხოლო ქართლის ცხოვრების გაგრძელებებში ეს ამბავი უთარიღოდაა მოთხრობილი.

**58.** (III, 11. IV, 13. V, 25. VI, 11. VIII, 9).

ოსმალეთის სულთან სულეიმანის (1520 — 1566) მიერ არზრუმის მმართველ მუსა ფაშას სარდლობით 60 სანჯაყის ძმირების გამოგზავნა საქართველოს დასაპყრობად და ოსმალთა დამარცხება იმერეთის მეფის ბაში-აჩუკ ბაგრატის (1510—1566) მიერ 1542/3 წ. მოთხრობილი აქვს ჰასან-რუმლუს (ჰასან რუმლუს ცნობები..., ვ. ფუთურიძის გამოც., გვ. 23—24).

ქართველ-ოსმალთა ბრძოლის ადგილად ერთ კინკლოსში (V, 25) აშკარად შეცდომით ქალაქი, ე. ი. თბილისია მითითებული, მეორეში ქარაბაკი (VIII, 13), სხვაში ქარხაქი (VI, II). ორი ერთნაირი ცნობით ბრძოლა მოხდა ქარაღაქს (III, 11. IV, 13). ამ ქარხაქ-ქარაბაკისა, თუ ქარაღაქის ლოკალიზაცია არ ხერხდება. ჰასან რუმლუს მიხედვით ბრძოლა მოხდა ოლთისში.

**59.** (X, 11).

ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში მხარდაუჭერლობისათვის ბაგრატ III იმერთა მეფის მიერ ხონის ჭალაში ლევან დადიანის სანადიროდ შეტყუება და მისი დამწყვდევა გელათის სამრეკლოში უთარიღოდაა მოთხრობილი ქართლის ცხოვრების გაგრძელებებში. იქვეა აღნიშნული, რომ დადიანი ქაიხოსრო ათაბაგის კაცმა ხოფილანდე ჩხეიძემ გააპარა (ქ. ც., II, 1959, გვ. 359—360; გვ. $501_1$). ვახუშტი ბაგრატიონთან ეს ამბავი 1546 წ. თარიღითაა გადმოცემული (ქ. ც. II, 1854 წ., გვ. 189—190).

**60.** (III, 12. IV, 14. V, 26. VI, 12. VIII, 10).

იგივე ცნობა არის ვახუშტი ბაგრატიონთან, ახალ ქართლის ცხოვრებაში (III ტექსტი, გვ. $560_{15}$).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰასან რუმლუ წერს, რომ სულთანმა სულეიმანმა თავისი მეორე ვეზირი აჰმედ ფაშა გამოგზავნა საქართველოში 40 000 ცხენოსნით. ოსმალებმა ყვარყვარეს ქვეყანაში დად ელი აიღეს და გაბრუნდნენ (ჰასან რუმლუს ცნობები..., გვ. 26).

**61.** (II, 19. III, 13, 14. IV, 15, 16. VI, 13, 14. VIII, 11. IX, 6. XII, 2).

1553 წ. თარიღით ახალი ქართლის ცხოვრება მოგვითხრობს ოსმალთა ფართო ექსპანსიაზე სამცხეში და ქართველთაგან „ღონედ უძლურებისა თჳსისა“ (ნ. ბერძენიშვილი) შაჰ-თამაზის მოწვევაზე (ქ. ც. II. გვ. 500). ვახუშტი ბაგრატიონის ქორონიკონებში არტანუჯის აღება ოსმალთაგან აღნიშნულია 1552 წ.

ჰასან რუმლუს და ისქანდერ მუნშის ცნობებით არტანუჯის აღება ოსმალთა სარდლის ისქანდერ ფაშას მიერ გახდა მიზეზი 1551/2 წ. შაჰ-თამაზის III შემოჭრისა საქართველოში, რამდენადაც შაჰი ქაიხოსრო ათაბაგმა მოიწვია და არტანუჯის დაკავებასთან ერთად ვახუშტი ქართველის, შერმაზანისა და სხვათა ანტისპარსული აჯანყება აცნობა (ჰასან რუმლუს ცნობები.... გვ. 28—31; Brosset, Histoire moderne..., II, I ნაწ., გვ. 448—449). სპარსულენოვანი ისტორიკოსების ცნობებით ვახუშტი ქართველი (დიასამიძე) და შერმაზანი ამ შემოსევისას (1551/2 წ.) დაიჭირეს და შემდეგ სიკვდილით დასაჯეს.

კინკლოსების თარიღების შეცდომა შეიძლება იმით აიხსნას, რომ 1553/4 წ. ჰასან რუმლუს და ისქანდერ მუნშის ცნობებით კვლავ იყო შაჰ-თამაზის IV ლაშქრობა საკუთრივ ქართლში, რაც ორ კინკლოსში სწორად არის ასახული (II, 19. VI, 14—დიასამიძის შეპყრობა ადრე მოხდა. იხ. ჰასან რუმლუ, გვ. 32—34; Brosset, დასახ. ნაშრ., გვ. 450).

**62.** (X, 13).

თ. ჟორდანიას აზრით ხახულის ეპარქია ამ დროს გაუქმებულია, რადგან ხახულის ეპისკოპოსი მტბევრად დაჯდა (ქრონიკები, II, გვ. 399). ამ კინკლოსური ცნობით ათარიღებს ქ. შარაშიძე საბა მტბევარის საერთგულო წიგნს, მიცემულს კათალიკოს დომენტისათვის (Ad—720—ხელნაწ. ინსტ.; სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, 1961, ქ. შარაშიძის გამოც., გვ. 36).

**63.** (XII, 3).

ახალი ქართლის ცხოვრებით როსტომ გურიელი 12 წელი მთავრობდა, ხოლო როდის გარდაიცვალა, არ არის მითითებული (ქ. ც., II, 1959, გვ. $361_3$ $502_3$). ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით როსტომ გუ-

რიელი 1564 წ. გარდაიცვალა და მთავარი გახდა მისი ძე გიორგი (ქ. ც., II, 1854, გვ. 191).

მამია I-ის ძის როსტომ I-ის ზეობის წლებია 1534—1564 წწ. (იხ. ო. სოსელია, ფეოდალური საქ. პოლიტ. დაშლის ისტორიიდან, მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, ნაკვ. 30, 1954, გვ. 134, შენ. 5).

**64.** (VI, 15. IX, 7. XI, 2).

ამავე თარიღით მოგვითხრობენ ჰასან რუმლუ, ისქანდერ მუნში, პარიზის ქრონიკა შაჰვერდი სულთანის მიერ სიმონ მეფის დამარცხებას და სიმონის სიძის, ლევან კახთა მეფის ძის გიორგის მოკვლას (ჰასან რუმლუს ცნობები..., გვ. 36. Brosset, Histoire moderne... II, I ნაწ., გვ. 453). ისქანდერ მუნშისა და ფარსადან გორგიჯანიძის ცნობებით სიმონი გორიდან მოემართებოდა თბილისის გასანთავისუფლებლად.

**65.** (X, 14).

ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით ხოსრო შვილიშვილი იყო გიორგი II იმერთა მეფის ბიძის ვახტანგისა. მეფის გამარჯვებით დასრულებული ბრძოლა იანეთს მომხდარა (ქ. ც., II, 1854, გვ. 191).

ვახუშტის არაფერი აქვს ნათქვამი ჟამიანობაზე და გიორგი მეფის ძმისწულის დატყვევებაზე.

**66.** (IV, 19. VI, 17. VIII, 13. IX, 8. XI, XII, 4).

ქართული და უცხოური (ჰასან რუმლუ, ისქანდერ მუნში) წყაროებით კარგად დაზუსტებული ფაქტი.

**67.** (VII, 7. XII, 5).

ახალი ქართლის ცხოვრების მიხედვით „ნადირობაში ჯაიანმან ცხენი შეაძგერა და მოაკუდინა დადიანი“ (ქ. ც., II, გვ. $361_{26}$; გვ. $503_{9}$). ვახუშტი ბაგრატიონს ჯაიანზე არაფერი აქვს ნათქვამი, ხოლო თარიღი ნადირობის დროს ლევან დადიანის დაღუპვისა არის 1572 წ. (ქ. ც., II, 1854, გვ. 192).

**68.** (II, 21. III, 17. IV, 20).

ბერი ეგნატაშვილისა და ვახუშტის მოთხრობით შაჰ-თამაზის კიდევ ერთი (უკანასკნელი) გამანადგურებელი შემოსევა ოცხეში გამოწვეული იყო დედისიმედის მიერ ვარაზა შალიკაშვილის, შაჰ-თამაზის ცოლის ძმის მოკვლით (ქ. ც., II, 1959. გვ. 370—371; ქ. ც., II, 1854, გვ. 163). ვახუშტისთან შემოსევის თარიღია 1574 წ. — ქაიხოსრო ათაბაგის სიკვდილის შემდგომი პერიოდი.

„მესხური მატიანე“ ქაიხოსრო ათაბაგის სიკვდილის ახლო ხანებში ყიზილბაშთა სამცხეში შემოსევაზე არაფერს ამბობს სპარსულ-

თურქული პირველწყაროებით (იბრაჰიმ ფეჩევი, შაჰ-თამაზ I-ის „თეზქერე“) შაჰ-თამაზის IV შემოსევა საქართველოში მოხდა ირან-ოსმალეთის 1555 წ. ზავამდე, 1554 წ. (იხ. ვ. ჩოჩიევი, შაჰ-თამაზის საქ. შემოს.., სტალინირის პედინსტიტუტის შრ. VII, 1959, გვ. 95—100).

ეროვნული ბიბლიოთეკა

**69.** (III, 18. IV, 21. VI, 18).

1570 წლიდან შაჰ-თამაზთან წასული ქაიხოსრო ათაბაგი პარიზის ქრონიკისა და „მესხური მატიანის“ ცნობით ყაზვინში მოკვდა 1573 წ. 29 სექტემბერს, სამშაბათს, 9 საათზე (იხ. სამხრ. საქ. ისტ. მასალები. ქ. შარაშიძის გამოც., 1961, გვ. 41). თარიღი სარწმუნოა, ვინაიდან 1573 წ. 29 სექტემბერს მართლაც სამშაბათი იყო.

**70.** (XII, 6).

სეფევიდების დინასტიის მესამე წარმომადგენელი შაჰი ისმაილ II ტახტზე ავიდა 1567 წ. მამის, შაჰ-თამაზის გარდაცვალების შემდგომ. მამის სიცოცხლეში 20 წელი ციხეში იყო დამწყვდეული. 1578 წ. იგი მოწამვლით მოკვდა ( М. С. Иванов, Очерк истории Ирана, 1952, გვ. 63). თურქი ისტორიკოსის იბრაჰიმ ფეჩევის ცნობით შაჰ-ისმაილი გარდაიცვალა 985 წ. ჰიჯრით პატიოსანი შველის თვეში (1577, 12/XII—1578. 9/I)—იხ. ს. ჯიქია, ი. ფეჩევის ცნობები საქ. და კავკ. შესახებ, 1964, გვ. 36.

**71.** (III, 19. IV, 22. VI, 19. VII, 8. VIII, 14. IX, 9. X, 16. XI, 4).

უცხოურ წყაროებთან (ფეჩევი, მინადორი, დონ ხუან სპარსელი და სხვ.) ერთად მურად III-ის ვეზირის მუსტაფა ლალა ფაშას ლაშქრობა მრავალ ქართულ წყაროშია ასახული. განსაკუთრებით დეტალური და სანდოა „მესხური მატიანე“, სადაც დღეების სიზუსტითაა აღწერილი 1578 წ. 7/VIII, ხუთშაბათს ლალა ფაშას მხედრობის პირველი გამოჩენა საათაბაგოში, მგელციხესთან, 8/VIII პარასკევს ბრძოლები ქაჯის ციხესთან, თეთრციხესთან..., შემდეგ ოსმალთა შეჭრა ქართლში, თბილისის აღება (სამხრ. საქ. ისტ. მასალები, ქ. შარაშიძის პუბლიკაცია, 1961, გვ. 47—52. 1578 წ. 7/VIII მართლაც ხუთშაბათი იყო).

ლალა მუსტაფა ფაშას ლაშქრობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში ამავე სათაურით სპეციალურად შესწავლილი აქვს მ. სვანიძეს (იხ. თსუ შრომები, № 116, გვ. 381 — 400). 1578 წ. 21/XI ლალა ფაშა არზრუმში ჩავიდა და ამით დასრულდა 1578 წ. ოსმალთა შემოტევა საქართველოში (მ. სვანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 399).

**72.** (III, 20. IV, 23. VI, 20).

იბრაჰიმ ფეჩევის დახასიათებით სინან ფაშა, თავგადადებული მოქიშპე მუსტაფა ლალა ფაშასი, საკმაოდ უნიჭო პიროვნება იყო. 1580

წლის 25/VIII დიდი მაქინაციების შედეგად სინან ფაშას ოსმალეთის დიდვეზირობის ბეჭედი ჩააბარეს. ამის შემდეგ ოსმალთა [illegible] მისი სარდლობით თბილისისკენ დაიძრა და ქალაქის ახლოს დაბანაკდა. სინან ფაშამ შეცვალა თბილისის ბეგლარ-ბეგი. დანიშნა ქართველი ბეგი გიორგი (ისლამის მიღების შემდეგ იუსუფ-ფაშა).

სინან ფაშის ლაშქრის წინააღმდეგ ქართველები პარტიზანულ ბრძოლას ეწეოდნენ. განსაკუთრებით აქტიური იყო ალექსანდრე II კახთა მეფე. სინან ფაშა ლაშქრითურთ სამხრეთ საქართველოში, მანუჩარის ქვეყანაში წავიდა; ყარსის ველზე ჯარის დათვალიერება მოაწყო, ხოლო საზამთროდ არზრუმის ველზე გადავიდა. შაჰის ჯარების წინააღმდეგ უინიციატივო მოქმედებისთვის სულთანმა სინან ფაშა დიდვეზირობიდან გაათავისუფლა 1581 წ. დასაწყისში (იხ. იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქ. და კავკ. შესახებ, ს. ჯიქიას გამოც., გვ. 58 — 65).

მესხური ქრონიკით (=ქ. ც. გაგრძელებას, III ტექსტი) 1581 წ. სინან ფაშას თბილისისკენ ყვარყვარე და მანუჩარ ათაბაგები გაჰყვნენ. რაიმე ბრძოლაზე ლაპარაკი არ არის (იხ. სამხრ. საქ. ისტ. მასალები ქ. შარაშიძის პუბლიკაცია, 1961, გვ. 53). როგორც აღნიშნული იყო, იბრაჰიმ ფეჩევის მიხედვით სინან ფაშა თბილისისკენ 1580 წ. შემოდგომაზე დაიძრა.

**73.** (III, 21. IV, 24. VI, 21. X, 17. XI, 4. XII, 7).

ირან-ოსმალეთს შორის ლავირებისას ათაბაგის მიერ პროსპარსული პოზიციის შერჩევის მომენტია აღნიშნული. ამავე თარიღით არის მოთხრობილი აწყურს მყოფი მანუჩარის გამარჯვება თურქებზე, ყაენის განჯას მოსვლა და მანუჩარის დასაჩუქრება ვახუშტისთან, ახალი ქართლის ცხოვრებაში (III ტექსტი), მესხურ მატიანეში (ქ. ც., II, 1959, $528_{24}$=მესხური მატიანე).

**74.** (XV, 4).

ახალი ქართლის ცხოვრების მიხედვით გიორგი II იმერთა მეფის სიკვდილის შემდეგ გამეფდა მისი ძე კონსტანტინე, ხოლო ლევანი— ძმის, კონსტანტინეს, გარდაცვალების შემდგომ (ქ. ც., II, 1959, გვ. $375_{23}$, $531_{25}$). ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით კონსტანტინე ძმა იყო გიორგი მეფისა. 1585 წ. ვახუშტი აღნიშნავს გიორგი მეფის სიკვდილსა და მისი ძის ლევანის გამეფებას (ქ. ც. II, 1854, გვ. 193—194). მაგრამ 1583 წ. ლევანი უკვე მეფეა. შემორჩენილია ამ წელს ლევან მეფის მიერ გიორგი ლალანიძისთვის მიცემული ყმა-მამულის წყალობის წიგნის დედანი (ხელნაწ. ინსტ. Ad—1334; ისტ. დოკუმ., I, შ. ბურჯანაძის გამოც., 1959, № 6).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**75.** (X, 18).

იხ. ამავე კინკლოსის 1603 წ. ცნობა № 23.

**76.** (X, 20. XII, 8).

1587 წ. ურუმთაგან ახალციხისა და გორის აშენებაზე, მესხეთის დარბევაზე მოგვითხრობს პარიზის ქრონიკა, ახალი ქართლის ცხოვრება (=მესხური მატიანე, ქ. ც., II, 1959, გვ. $531_1$).

**77.** (XII, 9).

ვახუშტისთან ვკითხულობთ — „ქორონიკონსა სოე (1587 წ.) მოვიდა შაჰ-ბაზ განჯას, აღაშენა განჯა“ (ქ. ც., 1854, გვ. 31).

ჰამმერის მიხედვით 1588 წ. განჯა აიღო ფაჰრად-ფაშამ (Collection d‘historiens arméniens, I, გვ. 676, შენ. 5).

კინკლოსის ცნობა დამახინჯებულია (განქა და სხვ.).

**78.** (XII, 10).

1591 წ. „აფხაზნი მოუხდენ გურიას, გურიელის ძემ მამიამ მოსწყვიტნა“ (ვახუშტი, ქორონიკონები).

**79.** (VIII, 15. X, 21. XI, 6. XIII, 4).

ოფშკვითთან (=ოფისკუჩი) სვიმონ მეფის დამარცხება მამია IV დადიანის მიერ და იმერეთში როსტომის გამეფება 1591 წ. თარიღით ვრცლადაა აღწერილი ახალ ქართლის ცხოვრებაში (III ტექსტი, გვ. 533—534), არის ვახუშტისთან, მის ქორონიკონებშიც. კინკლოსებში თარიღები განსხვავებულია. ერთგან (X, 21) ცნობა დამახინჯებულია.

**80.** (VI, 22. IX, 10).

უკანასკნელი ისტორიული დოკუმენტი, სადაც ალექსანდრე II კახთა მეფე მოიხსენიებს თავის მეუღლეს თინათინს (ამილახორის ასულს),—ყმა-მამულის შეწირულების წიგნი, მიცემული ხახულის ღვთისმშობლის ეკლესიისთვის, დათარიღებულია 1594 წლით (ს. კაკაბაძე, ისტორიული დოკუმენტები, II, გვ. 58).

**81.** (XII, 11).

ცნობა როსტომ იმერთა მეფის ქორწინების შესახებ ათაბაგის ქალ თინათინზე ვახუშტის ქორონიკონებშიც არის.

**82.** (III, 22. IV, 25. VI, 23. VII, 10. VIII, 16. IX, 11. XI, 7).

ბერი ეგნატაშვილის, ვახუშტი ბაგრატიონის, ქართლის ცხოვრების გაგრძელების (III ტექსტი) მიხედვით სიმონ მეფე 1600 წ. შეიპყრეს; პარიზის ქრონიკით 1599 წ. (ქ. ც. II, 1959, გვ. $379_{28}$, $536_{16}$; ქ. ც. II, 1854, გვ. 33; პარიზის ქრონ., ბროსეს გამოც., გვ. 28). H:380 (XI,

7) კინკლოსში და ფარსადან გორგიჯანიძესთან თარიღი აშკარად მცდარია (1593, 1592 წწ.). სიმონ მეფის უკანასკნელი ცნობილი [illegible] დათარიღებულია 1599 წლით (სვეტიცხოვლის ყმების სამეფო გადასახადებისაგან გათარხნების წიგნი—ცსა ფ. 1448, № 2329).

იოანე წარეცის ისტორიაზე დაყრდნობით, რამდენადაც ეს ისტორია 1600 წ. მთავრდება, მარი ბროსემ მიიჩნია, რომ სიმონ I 1600 წ. ზაფხულზე შეიპყრეს (Histoire de la Géorgie, II, I ნაწ., 1856, გვ. 455, შენ. 2). თურქი ისტორიკოსის მუსტაფა ნაიმას საისტორიო თხზულების მიხედვით სიმონ მეფის შეპყრობა მოხდა 1008 წ. ჰიჯრით ე. ი. 1599 წ. 24/VII-დან 1600 წ. 12/VII-მდე (იხ. ს. ჯიქია, ეპიზოდი XVI ს. საქ. ისტორიიდან, მასალები საქ. და კავკ. ისტ., ნაკვ. 31, გვ. 55).

**83.** (XII, 12. XV, 5).

1600 წ. „მოკუდა გიორგი გურიელი, დაჯდა ძე მისი მამია გურიელად“ (ვახუშტი, ქორონიკონები). გიორგი II-ის ძე მამია II მთავრობდა 1600—1625 წწ. (იხ. ო. სოსელია, ფეოდ. საქ. პოლიტ. დაშლის ისტორიიდან, მასალები საქ. და კავკ. ისტ., ნაკვ. 30, გვ. 136).

**84.** (X, 22).

სხვა მსგავსი ცნობა არ გაგვაჩნია.

**85.** (IX, 12).

ცნობილია დავით I კახთა მეფის ერთადერთი სიგელი 1602 წლისა. მეუღლესთან ქეთევანთან, შვილებთან: თეიმურაზ ბაგრატთან ერთად იგი ნინოწმინდის ეკლესიას ყმებს სწირავს (ქრონიკები, II, გვ. 432).

**86.** (XI, 8).

შემორჩენილია 1605 წ. 11/VII დათარიღებული მამულის წყალობის წიგნი გაცემული გიორგი X-ის მიერ (ხელნაწ. ინსტ., Hd 1327; საქ. სიძვ., III, 553). გიორგი მეფე მოხსენებულია ბეჟან ჯავახიშვილის მიერ 1606 წ. ქაიხოსრო ჯავახიშვილისთვის მოცემულ მიწის ნასყიდობის წიგნში (Hd — 9319).

პირველი სიგელი, რომელშიც ლუარსაბი მეფედ იწოდება, დათარიღებულია 1606 წ. 24/III (Hd — 2091). ამრიგად, გიორგი მეფის გარდაცვალება და ლუარსაბის გამეფება 1606 წ. უნდა მომხდარიყო (იხ. ჯ. ოდიშელი, ალმ. საქ. პოლიტ. ისტორიისათვის, კრებ., XIV—XVIII სს. რამდენიმე ისტ. დოკ., 1964, გვ. 96).

**87.** (X, 23).

იხ. ამავე კინკლოსის ცნობა № 18, ელენე ქაიხოსრო II ათაბაგის ქალი იყო. იგი ცოლად გაჰყვა ალექსანდრე II კახთა მეფის ვაჟს გიორგის, რომელიც 1605 წ. მოკლეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**88.** (IV, 26. VI, 24. VIII, 17. IX, 13. XI, 9).

ბერი ეგნატაშვილის, ვახუშტი ბაგრატიონის ცნობებით რენეგატმა უფლისწულმა კონსტანტინემ მამა ალექსანდრე II, ძმა გიორგი, აგრეთვე რუსთველი და მისი ძმა ღალატით დახოცა 1605 წ. (ქ. ც., II, 1959, გვ. 389, ქ. ც. II, 1854, გვ. 113). პარიზის ქრონიკით ეს ამბავი მოხდა 1605 წ. 12/III (პარიზის ქრონიკა, ბროსეს ფრანგ. გამოც., გვ. 31).

**89.** (XIII, 5).

ბერი ეგნატაშვილის ცნობით იმერთა მეფე როსტომი გარდაიცვალა 1604 წ., ხოლო ვახუშტის ცნობით 1605 წ. (ქ. ც., II, 1959, გვ. $380_{18}$; ქ. ც., II, 1854, გვ. 196).

**90.** (XI, 10).

თეიმურაზ მეფის პირველი სიგელი, ყმების წყალობის წიგნი, დათარიღებულია 1606 წლით, ხოლო 1612 წ. 10 მაისს თეიმურაზ I მიერ ალავერდის წმ. გიორგის ეკლესიისთვის მიცემულ ყმების შეწირულების წიგნში აღნიშნულია მისი გამეფების 6 ინდიქტიონი (ხელნაწ. ინსტ. Ad—693; ცსა ფ. 1448, № 5017, საისტორიო მოამბე, I, 1925, გვ. 146).

**91.** (XII, 13).

1606 წ. „დაიბადა მამია გურიელის ძე სვიმონ“ (ვახუშტი, ქრონიკონები). მამია II-ის ძე სვიმონ II მთავრად იყო 1625 წლიდან (იხ. ო. სოსელია, ფეოდ. საქ. პოლიტ. დაშლის ისტორიიდან, მასალები საქ. და კავკ. ისტ., ნაკვ. 30, გვ. 136, შენ. 3).

**92.** (IX, 14, 15).

ბერი ეგნატაშვილთან, ვახუშტისთან თეიმურაზ I-ის გურიელის ქალზე ანაზე ქორწინების თარიღი არ არის. მათი ცნობებით თეიმურაზი 15 — 16 წლისა იყო ქორწინებისას. პარიზის ქრონიკით, სადაც ქორწინება დეტალურადაა მოთხრობილი, იგი შედგა 1605 წ. (ბროსეს ფრანგ. გამოცემა, ქართული ტექსტი, გვ. 36—37).

პირმშო თეიმურაზ I-ისა და ანასი, ლევანი, თეიმურაზის სიგლებში პირველად 1610 წ. არის მოხსენებული (ხელნაწ. ინსტ., Ad—530; დოკ. საქ. სოც. ისტ., I, 509).

**93.** (IV, 28. VI, 25. VII, 11. VIII, 18).

პარიზის ქრონიკით, ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებებითა და ქართლის ცხოვრების გაგრძელებებით კარგად ცნობილი ისტორიული ფაქტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**94.** (XI, 12, 13).

პარიზის ქრონიკით თეიმურაზ I-ის მეუღლე ანა 1609 წ. გარდაიცვალა და ამავე წელს გაემგზავრა მეფე შაჰთან (ბროსეს გამოც., გვ. 37). ვახუშტის მიხედვით ეს ამბები 1610 წ. მოხდა (ქ. ც. II, 1854, გვ. 114). 1612 წ. 10 მაისს ალავერდისთვის მიცემულ სიგლით თეიმურაზმა ანას ალაპი გაუჩინა (ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ერის ისტ., IV, 1967, გვ. 346).

**95.** (XII, 14).

ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, ქვრივი როსტომ იმერთა მეფისა, ათაბაგის ასული თინათინი 1610 წ. გარდაიცვალა (იხ. ქ. ც., II, 1854, გვ. 196 და ქორონიკონები, გვ. 246). მისი დაქორწინება როსტომ მეფეზე 1597 წ. მოხდა (XII, 11).

**96.** (XII, 15).

ვახუშტის თხზულების მიხედვით მამია II გურიელმა აჭარა 1609 წ. დაიკავა (ქ. ც., 1854, გვ. 196 და ქორონიკონები).

**97.** (XII, 16).

1611 წ. „ნადირობასა შინა ხრომან ირმისამან წარიტაცა დადიანი მანუჩარ და მოჰკლა იგი“, ვკითხულობთ ვახუშტისთან (ქ. ც., II, 1854, გვ. 196).

**98.** (XII, 17).

მანუჩარ ბატონიშვილი იყო ძე მამია II გურიელისა. (Ф. Жордания, Пять грузинских хроник, Духовный вестник грузинского экзархата, 1903, № 7—8, გვ. 29).

99. (IV, 29, 30. VI, 26. VII, 12. VIII, 19. IV, 16. VI, 14).

პარიზის ქრონიკით შაჰ-აბასმა კახეთი 1614 წ. აახრა და ამავე წელს შეიპყრო ქართლის მეფე ლუარსაბი (ბროსეს გამოც., გვ. 56—57). ეს თარიღი, აგრეთვე კინკლოსების თარიღები, სწორი არ არის, ვინაიდან გვაქვს ორი სიგელი ლუარსაბ მეფისა 1615 წლით დათარიღებული (ხელნაწ. ინსტ. Ad—1410 და Sd—600 პ; საქ. სიძვ., II, 187). ვახუშტისა და ისკანდერ მუნშის ცნობებით, შაჰმა კახეთი აახრა და ლუარსაბი შეიპყრო—1615 წ. (ქ. ც., II, 1854, 247; M. Brosset, Histoire..., II, I ნაწ., გვ. 476—480). დასაწყისი შაჰ-აბასის პირველი გამოლაშქრებისა საქართველოში 1614 წ. შემოდგომა იყო.

**100.** (IV, 31. VI, 27. VII, 13. VIII, 20).

შაჰის მიერ დადგენილი მმართველის ისა-ხანის გადაგდება ნოდარ ჯორჯაძისა და დავით ჯანდიერის მიერ, თეიმურაზ მეფის მოწვევა კახეთში და 1616 წ. კახთა გამარჯვება არაგვზე, წიწამურის ზემოთ, სპარსელთა ჯარზე, რომელსაც ალი ყული-ხანი სარდლობდა, მოთხრობილია

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარიზის ქრონიკაში, ვახუშტისთან, ბერი ეგნატაშვილთან. საკმაოდ დეტალურადაა გადმოცემული ეს ამბები ისკანდერ მუნშის თხზულებაში (M. Brosset, Histoire..., II, I ნაწ., გვ. 482—485).

ამავე წელს თვით შაჰ-აბასმა გამოილაშქრა და თეიმურაზი იმერეთში გადაიხვეწა. მართლაც, 1616 წლიდან 1622 წლამდე თეიმურაზ მეფის არცერთი სიგელი არ არის ცნობილი.

**101.** (XIII, 6. XIV, 4).

ვახუშტის ცნობით ბრძოლა გოჭოურთან 1623 წ. მოხდა (ქ. ც., II, 1854, გვ. 197). ლევან დადიანმა გიორგი მეფე დაამარცხა.

**102.** (XI, 15).

ქართველთა აჯანყება სპარსელების წინააღმდეგ გიორგი სააკაძის მეთაურობით, მარტყოფის ბრძოლა, მოხდა 1625 წ. 25 მარტს, ხოლო ახალი სტილით 7 აპრილს (იხ. ვ. ჩოჩიევი, ოსმალეთის სულთანის მურად IV მიერ დიდი მოურავისადმი გაცემული სიგლის თარიღის გამო. სტალინირის პედინსტიტუტის შრ., VII, 1959. Bellan, Chah-Abbas I, Sa vie son, histoire, Paris, 1932—ამ შრომის მიხედვით შაჰმა ყარჩიხა ხანი საქართველოში 1625 წ. გამოგზავნა).

1625 წ. 3/VII თურქეთის ვეზირ ჰაფიზ ფაშას სააკაძის ელჩები ეახლენ მარტყოფთან მოპოვებული ნადავლით. სააკაძემ თურქებს ყარაბაღის, განჯის და შირვანის დალაშქვრა შესთავაზა. თურქი ისტორიკოსი იბრაჰიმ ფეჩევი დანანებით აღნიშნავს ვეზირმა სააკაძეს მხარი არ დაუჭირაო. კინკლოსური ცნობით ჩანს თითქოს სააკაძეს განჯა მაინც დაულაშქრავს, რაც ელჩების ვეზირთან ჩასვლამდე 1525 წ. 1 ივლისს მომხდარ მარაბდის ომამდე უნდა მომხდარიყო (იხ. იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები..., ს. ჯიქიას გამოც., 1964, გვ. 83—85).

**103.** (VI, 28. VIII, 21. XI, 16).

ისა-ხან ყორჩიბაში (შაჰ-აბასის სიძე) 1625 წ. ივნისის დამლევს მოვიდა საქართველოში. ქართველების დამარცხებით დამთავრებული მარაბდის ომი 1625 წ. 1 ივლისს მოხდა (გ. ჯამბურია, გიორგი სააკაძე., 1964, გვ. 134 — 135).

**104.** (VIII, 7. XV, 6).

ბერი ეგნატაშვილთან სვიმონის მიერ მამის მოკვლის თარიღი არ არის, ხოლო ვახუშტი ამ ამბავს 1625 წ. აღნიშნავს (ქ. ც., II, 1854, გვ. 197). ეს თარიღი სწორი უნდა იყოს (იხ . ო. სოსელია, ფეოდ. საქ. პოლიტ. დაშლის ისტორიიდან, მასალები საქ. და კავკ. ისტ., ნაკვ. 30, გვ. 138, შენ 2).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**105.** (VI, 29. XI, 17).

გიორგი სააკაძის დამარცხებით დასრულებული ბაზალეთის ომი 1626 წ. გვიან შემოდგომაზე მოხდა (გ. ჯამბურია, გიორგი სააკაძე, 1964, გვ. 162—163).

**106.** (XI, 18).

ქვათახევის გულანის კინკლოსის მიხედვით ყიზილბაშებმა გორის ციხე 1633 წ. ააშენეს (=შეაკეთეს), ვახუშტის ცნობით 1634 წ. (ქრონიკები, II, გვ. 400. ვახუშტი, ქორონიკონები), „ლექსთა კრების" (ხელნაწ. ინსტ. A—1164) თარიღია 1636 წ.

ყიზილბაშებს გორის ციხე როსტომ მეფემ შეაკეთებინა და შემდგომში ციხე გამოიყენა თავადური შინააშლილობის დასათრგუნად (იხ. დ. გვრიტიშვილი, გორის ისტორია, 1954, გვ. 38).

**107.** (III, 24).

დაუთხანის ხარჭის ნაშობი ძის, ხოსრო-მირზად წოდებული როსტომ მეფის გამეფების თარიღი დადგენილი აქვს ივ. ჯავახიშვილს. რამდენადაც როსტომ მეფის 1648 წლის ერთი ვრცელი საბუთი მისი გამეფების 16 ინდიქტიონს ითვლის და სიმონ II 1632 წ. იქნა მოკლული, როსტომიც ამავე წელს უნდა გამეფებულიყო, ან 1633 წ. დასაწყისში (ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ერის ისტ., V, გვ. 30).

**108.** (III, 26. IV, 33. VI, 30. VIII, 23. XI, 19).

არაქელ თავრიზელის ცნობებით თურქეთის სულთანმა მურადმა 700000 მხედრით ერევანი აიღო 1635 წ. აგვისტოში, 9 დღის ალყის შემდეგ. ერთ დღე-ღამეში 600-ჯერ გაისროლეს ზარბაზანი. იმავე წლის დეკემბერში ქალაქს მოადგა შაჰ-სეფი 100 000-იანი არმიით და 3 დღის ალყის შემდეგ აიღო იგი (Collection d'historiens armèniens, M. Brosset-ს გამოც., I, 1874, გვ. 423, 536, 586-7).

**109.** (X, 24).

თურქეთის მიერ დაპყრობილ სამცხეში იმ ხანად ფაშად იყო იუსუფი, თავგადადებული მუსულმანი, მოძულე ქრისტიანობისა (ქ. ც., II, 1854, გვ. 168 — 169).

**110.** (VIII, 24. XIII, 8).

ლევან II დადიანის მიერ შეპყრობილი გიორგი III იმერთა მეფის გამოხსნას მისი ძის ალექსანდრეს მიერ და შემდგომ გიორგის გარდაცვალებას ვახუშტი ბაგრატიონი 1639 წ. თარიღით მოგვითხრობს (ქ. ც. II, 1854. გვ. 198—199).

თ. ჟორდანია კინკლოსების თარიღს მართებულად მიიჩნევდა, რად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გან 1655 წ. ალექსანდრეს მეფობის 18 ინდიქტიონი შესრულდა (ქრონიკები, II, გვ. 452, 469).

**111.** (XV, 8, 9)

გიორგი გურიელის ძე, მალაქია, კათალიკოსად არის მოხსენებული 1622, 1628, 1629 და შემდეგ 1636, 1639 წლებში. კინკლოსური ცნობა 1639 წ. მისი გარდაცვალების შესახებ სწორი უნდა იყოს, ვინაიდან 1640 წლიდან დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი უკვე მაქსიმე მაჭუტაძეა. მალაქიას კათალიკოსობასთან ერთად ცაიშლობა, ჯუმათლობა ჰქონდა. მასვე ეჭირა ხონის ეპისკოპოსობაც. მისი სიკვდილის შემდეგ ჯუმათელი გამხდარა ნიკოლოზ მანველიშვილი (იხ. ბ. ლომინაძე, მასალები დასავლეთ საქ. XVII — XVIII ს-თა ისტ. ქრონოლოგიისთვის, მასალები საქ. და კავკ. ისტ., ნაკვ. 31, 1954, გვ. 129—130).

**112.** (XV, 10).

დავითის ისტორიკოსის თხზულებიდან ცნობილია, რომ დავით აღმაშენებელი გარდაიცვალა 1125 წლის 24 იანვარს, შაბათს, 53 წლის ასაკში, 36 წლის მეფობის შემდეგ (ქართ. ცხოვრება, I, 1955, გვ. $362_{19-20}$, $363_{1}$).

**113.** (XII, 18).

დ. ბაქრაძისა და მ. ბროსეს ძირითადად ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებაზე დაყრდნობილი გენეალოგიებისაგან განსხვავებული ცნობაა.

მ. ბროსეს გენეალოგიური ტაბულით ვახტანგ I მთავრად იყო 1583—1587 წწ., ხოლო ქაიხოსრო I 1625—1658 წწ. მამა-შვილად მიჩნეული ამ ორი მთავრის ზეობის წლები აშკარად გვიჩვენებენ ქრონოლოგიურ შეუსაბამობას. ვახტანგ I-ის ზეობის წლებზე მოგვიანებით. რუსული ცნობებით მ. ბროსე ასახელებს გურიის მთავარ Bортан-ს, იგივე Вохтам-ს რომელსაც ლევან II დადიანმა 1640 წ. თავისი ქალი მისცა (M. Brosset, Histoire de la Gèorgie, II, I, 1856, გვ. 651—გენეალოგიური ტაბულები. იხ. აგრეთვე ო. სოსელია, ფეოდ. საქ. პოლიტ. დაშლის ისტ., მასალები საქ და კავკ., ისტ., ნაკვ. 30, გვ. 135. შენ. 2. გვ. 136, შენ. 3).

**114.** (III, 27. IV, 34. VIII, 25).

1642 წ. შაჰ სეფი I-ის (1629—1642) სიკვდილის შემდგომ გამეფდა მისი ძე შაჰ-აბას II (М. С. Иванов, Очерк ист. Ирана, 1952, გვ. 76). 1642 წ. — „მოკუდა შასეფი და დაჯდა ძე მისი შააბაზ“ (ვახუშტი, ქრონიკონები).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**115.** (III, 28. IV, 35).

მარიამ დედოფლისა და მისი პირველი ქმრის სვიმონ გურიელის ვაჟი, ოტია, მართლაც 1645 წ. უნდა გარდაცვლილიყო. ისტორიულ დოკუმენტებში როსტომ მეფე მარიამ დედოფალთან ერთად 1645 წლიდან პირმშო ძედ იხსენიებს ნაშვილებ ლუარსაბს (ცსა, ფ. 1448, № 1035, აქტები, I, გვ. 18; ხელნაწ. ინსტ. Hd — 14443).

**116.** (XII, 19, 20).

დედოფალი ხვარამზე, მეუღლე ქაიხოსრო I გურიელისა ხშირად არის მოხსენებული თავისი შვილის გიორგი III (1664 — 1684 წწ.) გურიელის სიგლებში. დიმიტრი ბაქრაძის აზრით ხვარამზე გოშაძის ქალი იყო (АПГА, გვ. 292, 293. იხ. ო. სოსელია, ფეოდ. საქ. პოლიტ. დაშლის ისტ., მასალები საქ. და კავკ. ისტ., ნაკვ. 30, გვ. 136, შენ. 3). დაბადებულა გიორგი III გურიელი 1651 წ

**117.** (IV, 36. VI, 32. VII, 14. VIII, 26).

1648 წ. „ბატონს თეიმურაზს ულლისს დაუმარცხდა და მაღაროს ძე მისი დათუნა მოკლეს“ (ვახუშტი, ქორონიკონები).

თ. ჟორდანიას ქრონიკებში (II, გვ. 461) დაცულია როსტომ მეფის 1648 წლის საქართველოს ისტორიის თვალსაზრისით, მეტად საინტერესო დოკუმენტი, სადაც თეიმურაზ მეფის „გაღარიბება“, იმერეთში გაგდება მოთხრობილია როგორც მომხდარი ფაქტი.

იკორთის ძლისპირის კინკლოსის ცნობით შაჰნავაზის ძე არჩილი 1647 წ. დაიბადა (იხ. იკორთის ჟამგულანის კინკლოსის ს. კაკაბაძისეული გამოც. 1912 წ.).

**118.** (X, 26).

საეპისკოპოსო ეპარქიათა შემცირება სამცხე-საათაბაგოს მუსულმანიზაციის სწრაფი ტემპის შედეგია.

**119** (IV, 18).

თ. ჟორდანიას აზრით იგი ძე იყო ბაგრატ მუხრან-ბატონისა (ქრონიკები, II, გვ. 466).

**120.** (X, 27).

მექანიკური შეცდომაა — უნდა იყოს ქ. ნ. ბ.

**121.** (X, 28. XIII, 9. XIV, 6).

ძმა ალექსანდრე III იმერთა მეფისა, მამუკა, შეპყრობილი ლევან დადიანის მიერ და თვალდათხრილი, 1654 წ. გარდაიცვალა ვახუშტის ცნობით (ქ. ც., 1854, გვ. 200—201).

ეროვნული ბიბლიოთეკა

**122.** (XIV, 7).

მაქსიმე მაჭუტაძე დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი იყო 1639 — 1657 წწ. ბ. ლომინაძის დაკვირვებით კინკლოსში მაჭუტაძის გარდაცვალების სწორი თარიღია მოცემული. ზაქარია ქვარიანი, რომელმაც საკათალიკოსო რეზიდენცია ბიჭვინთიდან გელათში გადაიტანა კათალიკოსი იყო 1657 — 1660 წწ. (ბ. ლომინაძე, მასალები დასავლეთ საქ. XVII—XVIII ს-თა, ისტ., ქრონ., მასალები საქ. და კავკ. ისტ. ნაკვ. 31, გვ. 131—132).

**123.** (III, 29. IV, 37).

1656 წ. მცხეთის დაქცეული გუმბათის აშენება როსტომ მეფის მიერ აღნიშნული აქვს ვახუშტისაც ქორონიკონებში. ამავე თარიღით მხვილი ასომთავრულით გაკეთებული წარწერა სვეტიცხოვლის გუმბათის შიგნით ირგვლივ, გვამცნობს: „დაიქცა გუმბათი და აღვაშენე მეფემან როსტომ და დედოფალმან მარიამ, დადიანის ასულმან, ა. ნავროუზს“ (Свэти-Цховели, А. Натроева, 1900, გვ. 205).

**124.** (VII, 15. X, 29. XIII, 10, 11. XIV, 8).

ლევან II დადიანის სიკვდილი ვახუშტი ბაგრატიონთან 1657 წ. არის აღნიშნული. ლევანის ძმის ლიპარიტისა და ალექსანდრე III იმერთა მეფის შორის მომხდარი ბრძოლის ამბავი ვახუშტის საკმაოდ დეტალურად აქვს მოთხრობილი 1658 წ. თარიღით (ქ. ც., 1854, გვ. 201—202). ლიპარიტ დადიანის მოკავშირე იყო ქაიხოსრო გურიელი (იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ერის ისტ., IV, 1967, გვ. 388—389).

**125.** (II, 28. IV, 38. VI, 33. VIII, 27. IX, 19. XI, 23).

ვახუშტის გარდა როსტომ მეფის 1658 წ. გარდაცვალებასა და ვახტანგ-შაჰნავაზის გამეფებას ამ წელს, ვახტანგ V-ის სამი ინდიქტიონიანი სიგელი ადასტურებს (იხ. ჯ. ოდიშელი, ალმ. საქ. პოლიტ. ისტ., კრებული — XIV — XVIII სს. რამდენიმე ისტ. დოკ., 1964).

**126.** (VIII, 28. X, 30. XIII, 12. XIV, 9).

ალექსანდრე III იმერთა მეფის გარდაცვალება, მისი ძის ბაგრატის გამეფება, დედინაცვლის დარეჯანის მიერ ბაგრატისთვის თვალების დათხრა და ვახტანგ ჭუჭუნიასშვილის გაბატონება ვახუშტი ბაგრატიონს 1660 წ. თარიღით აქვს მოთხრობილი (ქ. ც., II, 1854, გვ. 202).

არაქელ თავრიზელის ცნობით ალექსანდრე, ბაშიაჩუკთა მეფე, 1659 წ. გარდაიცვალა და მისი ძე ბაგრატი ტახტზე ავიდა 1660 წ. (Collection d'historien armen., I, გვ. 591).

**127.** (XV, 11).

ქაიხოსრო I გურიელი 1658 წ. ბანძის ომში ლიპარიტ დადიანის

მხარეზე იბრძოდა ალექსანდრე III-ის წინააღმდეგ და დამარცხების შემდეგ სტამბოლში გაიქცა. ამავე წელს უნდა მომხდარიყო დემეტრე I-ის მთავრად დასმა.

ოსმალთა ძალაზე დაყრდნობით ქაიხოსრომ მცირე ხნით დაიბრუნა გურიის მთავრობა, მაგრამ მალე ლალატით მოკლეს და კვლავ დემეტრე გახდა მთავარი, გადმოგვცემს ვახუშტი ბაგრატიონი (ქ. ც., II, 1854, გვ. 202. ო. სოსელია, ფეოდ. საქ. პოლიტ. დაშლის ისტ., მასალები საქ. და კავკ. ისტ., ნაკვ. 30, გვ. 137, შენ. 1, 2, 3).

დემეტრე I-ის ხელმეორედ გამთავრება უნდა მომხდარიყო 1660 წლამდე, ან ამ წელს, კინკლოსური ცნობის თარიღი მცდარია, ვინაიდან 1661 წ. ალექსანდრე III გარდაცვლილი იყო და, ცხადია, გურიას ვერ „მიუჭდებოდა" (იხ. შენ. 126).

**128.** (VI, 34, 35. VII, 16).

ვამიყ III დადიანმა თავისი ქალი, ვახტანგ V-ის ვაჟის არჩილის საცოლედ გამიზნული, შემდგომში ბეჟან ლოლობერიძეს მიათხოვა. ვახუშტის მიხედვით ეს მოხდა ალექსანდრე III იმერთა მეფის სიკვდილის შემდგომ (1660 წ.); თითქოს ამას მოჰყვა ვახტანგ მეფის მიერ იმერეთ-აფხაზეთის დალაშქრვა 1661 წ., (ქ. ც., II, გვ. 202—203)

**129.** (IX, 20. X, 31. XIV, 11).

ვახუშტი ბაგრატონის ცნობითაც, ბაგრატ IV გამეფება, ბატონიშვილ არჩილის წასვლა იმერეთიდან 1663 წ. მოხდა. ამავე წელს შეებრძოლა ბაგრატს მძახალი ვახტანგ V-ისა ლევან დადიანი, იძლია და შეიპყრეს (ქ. ც., II, 1854, გვ. 203, 204). ბრძოლის ადგილი ვახუშტისთან აღნიშნული არ არის.

**130.** (IV, 39).

ქართული წყაროების მიხედვით თეიმურაზ I 1663 წ. გარდაიცვალა (ვახუშტის მიხედვით—ზამთარში, პარიზის ქრონიკით—იანვარში). არაქელ თავრიზელი თეიმურაზის სიკვდილს 1662 წ. აღნიშნავს და დამატებით იძლევა ცნობას, რომ იგი შაჰმა მოაწამვლინა (Collection d'historiens arm., I, გვ. 593).

გვაქვს ორი სიგელი, გაცემული თეიმურაზ I-ის მიერ 1662 წ. (ხელნაწ. ინსტ. Qd — 1787; 4/IV-ცსა, ფ. 1448, № 600).

**131.** (VI, 36, 37. VII, 17. VIII, 29).

საქართველოს ეკლესიის მიერ ავტოკეფალიის მოპოვების (ანტიოქიის პატრიარქის უფლებისაგან განთავისუფლების) შემდგომაც დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი დარჩა ანტიო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქიის პატრიარქის ერთგვარი ზეგავლენის ქვეშ. ბერძენი პატრიარქები სხვა ინტერესებთან ერთად მატერიალურად იყვნენ დაინტერესებულნი ქართული ეკლესიით.

1664 — 1665 წწ. საქართველოში იყო გაკათოლიკებული პატრიარქი ანტიოქიისა მაკარიოსი (1648 — 1672), რომლის საქართველოში წაკითხულ ქადაგებათა შესახებ კაპუცინებმა 1665 წ. აღტაცებული რელაცია გაგზავნეს რომში. მაკარიოსს დომენტი კათალიკოსთან შეურიგებია ქაიხოსრო ბარათაშვილი (იხ. მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა..., გვ. 167, 217, 229).

მაკარიოსმა საინტერესო ცნობები შემოგვინახა XVII ს. საქართველოს შესახებ (იხ. Грузия в XVII веке по изображению патриарха Макария, პ. კ. ჟუზეს თარგმანი, Православный собеседник, 1905 წ. მაისი).

**132.** (XIV, 12).

ვახუშტის მიხედვით ბაგრატ IV იმერთა მეფემ ლევან დადიანს ცოლი თამარი წაართვა და თვით შეირთო 1663 წ. (ქ. ც., II, გვ. 204).

**133.** (II, 33).

ბაგრატ IV იმერთა მეფის გამარჯვებითა და სეხნია ჩხეიძის მოკვლით დასრულებული ჩხარის ომის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონს მოთხრობილი აქვს 1669 წ. თარიღით (ქ. ც., II, გვ. 205).

**134.** (IV, 40. IX, 22).

ცნობა ანაქრონისტულია. ამ პერიოდში არც იმერეთში, არც საქართველოს რომელიმე სხვა კუთხეში მეფე ალექსანდრე არ ყოფილა. იმერთა მეფე ალექსანდრე მესამე გარდაიცვალა 1660 წ. (იხ. შენიშვნა 126).

**135.** ( X, 32).

ვახუშტის თხზულების, მისი ქორონიკონების მიხედვით 1680 წ. (ქ. ც., II, გვ. 208).

**136.** (X, 33, XIII, 13, XIV, 13).

1668 წ. დარეჯანთან ერთად მოკლეს მისი ქმარი ვახტანგ ჭუჭუნიაშვილად წოდებული (ქ. ც., II, გვ. 204—205). 1669 წ. (XIV, 13) აღდგომა მართლაც 11 აპრილს იყო.

**137.** (IX, 23).

თეიმურაზ მუხრან-ბატონს ორი ვაჟი ჰყავდა — ვახტანგი (შაჰნავაზი) და კონსტანტინე (ქ. ც., II, 1959, გვ. $433_{23}$).

ეროვნული ბიბლიოთეკა

**138.** (IV, 41).

თეიმურაზ მეფის ძის დავითის ასული, ქეთევანი, მისმა მამიდამ სამცხეში მძევლად მისცა ოსმალებს. ვახტანგ V-მ კახეთის ბაგრატიონებთან დანათესავების მიზნით გამოისყიდა ქეთევანი და თავის ვაჟს არჩილს შერთო. ვახუშტის მიხედვით ქორწინება 1667 წ. მოხდა, პარიზის ქრონიკით—1668 წ. (ქ. ც., II, გვ. 127; პარიზის ქრონ., ბროსე, გვ. 103). არჩილ მეფეს ქეთევან დედოფლისაგან სამი ვაჟი ჰყავდა: პირმშო ალექსანდრე, მამუკა და დავითი (ჯ. ოდიშელი, ალმ. საქ. პოლიტ. ისტ., კრებული — XIV — XVIII სს. რამდენიმე ისტ. დოკ., 1964, გვ. 114).

**139.** (XII, 21, 22).

S — 1204-ის (XII) ცნობათა საკმაო ნაწილი გურიელთა ქრონიკას წარმოადგენს. ამდენად 1666 წ. უნდა მომხდარიყო ქორწინება თამარისა და გიორგი III გურიელის.

ქაიხოსრო ბატონიშვილი, ძე გიორგი III გურიელისა, ვახუშტის ქორონიკონების, მისი თხზულების მიხედვით გურიის მთავარი გახდა 1685 წელს მოკლული მისი მამის გიორგის შემდგომ და მთავრად იყო 1689 წლამდე (ქაიხოსრო II). მისი გამთავრების შესახებ იხ. XII, 23.

**140.** (X, 34. VIII, 14, 15).

1672 წ. ბაგრატ იმერთა მეფის შეპყრობა. 1674 წ. ბაგრატის მიერ ქუთაისის ციხის აღება მოთხრობილი აქვს ვახუშტის, არის მის ქორონიკონებშიც (ქ. ც., II, გვ. 206).

**141.** (VIII, 31).

იგივე თარიღი აქვს ვახუშტისაც. ერეკლეს სპარსეთში მოგზაურობის შესახებ საკმაოდ დაწვრილებით აქვს მოთხრობილი ფარსადან გორგიჯანიძეს (საისტორიო მოამბე, II, 1925, გვ. 279—280).

**142.** (IV, 42. VI, 38, 39. VIII, 32. IX, 24. XI, 34).

ვახუშტის ცნობა შაჰნავაზის 1675 წ. გარდაცვალების შესახებ სწორი არ არის, ვინაიდან არსებობს 1676 წ. სიგელი შაჰნავაზისა, რომლითაც იგი მდივანბეგობას უწყალობებს ვახტანგ ორბელიშვილს (ხელნ. ინსტ. Sd—536; ქრონ. II, გვ. 489; საქ. სიძვ. II, 109).

ვახტანგ V-ის ძე, გიორგი XI, მისი ინდიქტიონიანი სიგლების მიხედვით გამეფდა 1678 წ. (ჯ. ოდიშელი, ალმ. საქ. პოლიტ. ისტ., გვ. 111—112).

**143.** (XI, 33).

ზაზა ციციშვილი მოკლეს ვახტანგ V-ის სიცოცხლეში უფლისწულ გიორგის ბრძანებით (ქ. ც., II, 1854, გვ. 55).

ეროვნული ბიბლიოთეკა

**144.** (XIII, 16).

აქ აღნიშნულია არჩილის იმერეთში გამეფების მესამე ცდა. ვახუშტის მიხედვით ამჯერად არჩილმა ერთი წელი იმეფა (1678-1679 წწ. ქ. ც., II. გვ. 207)

**145.** (VII, 19).

სომეხი ისტორიკოსი ზაქარია დიაკონი (კანაკერცი) მოგვითხრობს საშინელ მიწისძვრაზე არარატის ქვეყანაში, რაც დაიწყო 1679 წ. 4 ივნისს, დილის 7 საათზე და გავრცელდა გარნისის მხრიდან. მიწისძვრამ, რომელიც რამდენიმე დღეს გაგრძელდა, დააქცია მრავალი საყდარი. იყო დიდი მსხვერპლი (ერევნის მახლობლად კანაკერცში 1228 კაცი).

მოთხრობილია აღდგენითი სამუშაოების შესახებ (Collection d'historiens arm., II, გვ. 125—126).

**146.** (X, 35).

1681 წ. იმერთა მეფე ბაგრატ IV ალექსანდრეს ძის გარდაცვალებით შეწყდა იმერეთის ბაგრატიონთა კანონიერი შტო. გამეფდა გიორგი გურიელი (ქ. ც., II, 1854, გვ. 208).

**147.** (IV, 43. 44. VIII, 33, 35. XI, 39).

მანუჩარ დადიანის ასულის, სიმონ გურიელის შემდეგ როსტომ მეფისა და ბოლოს ვახტანგ V-ის მეუღლის, დედოფალ მარიამის, აგრეთვე გიორგი XI-ის მეუღლის თამარ დედოფლის გარდაცვალება შესაბამისად 1682, 1683 წწ. არის აღნიშნული ვახუშტის ქორონიკონებში, პარიზის ქრონიკაში, მაგრამ იქ არაფერია ნათქვამი განჯის ხანის მოსვლაზე.

**148.** (IV, 46. X, 36. XII, 23).

ალექსანდრე IV, ძე ბაგრატ იმერთა მეფისა, შეძენილი ლეჩხუმელი კოჩილას ცოლისაგან, იმერეთში გამეფდა 1683 წ. 1684 წ. ვახუშტის გადმოცემით მან როკითთან დაამარცხა გიორგი III გურიელი, რომელიც ბრძოლის შემდგომ მალე მოკვდა. გურიელად დაჯდა ძმა გიორგი III-ის მალაქია, რომელიც 1685 წ. გიორგის ძემ ქაიხოსრომ ახალციხის ფაშის და მალაქია აბაშიძის შემწეობით გადმოაგდო და თვით გახდა გურიელი (ქ. ც., II, 1854, გვ. 239—240).

**149.** (XII, 24, 25).

ვახუშტის ცნობით ქაიხოსრო II გურიელი შავშეთის ბეგმა მოკლა 1684 წ. მცირე ხანს გურიელი იყო მისი ძე მალაქია I და ამავე წელს გურიელად ახალციხიდან მოიყვანეს ძმა ქაიხოსროსი მამია III,

რომელმაც ცოლად შეირთო ნაბერალ გიორგი აბაშიძის ასულ[illegible] დაწინდული მისი ძმის ქაიხოსროს მიერ (ქ. ც., II, გვ. 211).

**150.** (IX, 25).

ბიძაშვილი გიორგი XI-ის, თეიმურაზ მუხრანბატონი.

**151.** (IV, 47. VI, 40. VIII, 36. XI, 43, 44, XVI, 2).

სპარსეთის სამხედრო ძალაზე დაყრდნობით, თუშ-ქიზიყელთა მხარდაჭერით ერეკლე-ნაზარალიხანმა ქართლი დაიკავა და გიორგი XI იმერეთში (რაჭაში) წავიდა 1688 წ. ამავე წელს უფრო ადრე გიორგი XI-ემ სპარსეთში შაჰის მოთხოვნით გაგზავნა თავისი ძე ბაგრატ და ძმა ლევანი (ქ. ც., II, 1854, გვ. 59—60). ერეკლე შვილიშვილი იყო თეიმურაზ I-ის, მაგრამ მის ძედ იწოდება ზოგიერთ დოკუმენტში კი.

**152.** (VI, 41, VIII, 37. X, 37).

ვახუშტის თხზულებაში მოთხრობილია, რომ არჩილ მეფის მიერ გოდოგანთან დამარცხებული ალექსანდრე იმერთა მეფე შიდა ქართლში გადავიდა და გორის ციხეს შეაფარა თავი, სადაც მას ქართლში მომძლავრებული გიორგი XI, ძმა არჩილისა უტევდა. ნაზარალიხანიც შევიწროებული იყო გიორგი მეფისაგან და თავს თბილისის ციხეს აფარებდა (ქ. ც., II, 1854, გვ. 60—61, 213).

**153.** (VI, 42).

ნინოწმინდასთან გიორგი XI-ს მომხრე ქართლელთა დამარცხება კახთა მიერ, ვახუშტის გადმოცემით, ამ ბრძოლაში მოკლული ბარძიმ მდივანბეგის არაგონიერი საქციელის შედეგი იყო (ქ. ც., II, გვ. 61).

**154.** (IV, 49).

ერანის შაჰის სულეიმანის (1666 — 1694 წწ.) დროს უკვე თავი იჩინა სეფევიდური სახელმწიფოს პოლიტიკურ-ეკონომიური დაცემის დასაწყისმა.

**155.** (XII, 27).

თ. ჟორდანიას აზრით აქ ლაპარაკია მამია III გურიელის ძეზე, გიორგიზე, რომელიც გურიას მართავდა 1712 — 1726 წწ. გარკვეული შეალედებით (იხ. Ф. Жордания, Пять грузинских истор. хроник, «Прибавление к Духовному вестнику грузинского экзархата», 1903, № 7—8, გვ. 31 იხ. აგრეთვე ო. სოსელია, ფეოდ. საქ. პოლიტ. დაშლის ისტ., მასალები საქ. და კავკ. ისტ., ნაკვეთი 30, გვ. 137—139). ჟორდანიასეულ გამოცემებში დაბადების თარიღი მექანიკური შეცდომის შედეგად არის 1702.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**156.** (IV, 51, 52. VI, 43, 44).

ვახტანგი, შვილიშვილი ვახტანგ შაჰნავაზისა, ძე ერანის მსაჯულთუხუცესის ლევანის, ვახუშტის ცნობით თბილისში 1701 წ. მოვიდა იმერეთიდან. მისი მამა ლევანი სპარსეთიდან 1703 წ. 15/V მოავლინეს ქართლში დროებით გამგებლად (იქ იყო 14 თვე), მომდევნო წელს ვახტანგი ქართლის გამგებელი გახდა (ქ. ც., II, 1854, გვ. 69—70 და ქორონიკონები). გიორგი მეფე ყანდაარს გაგზავნეს სარდლად.

**157.** (X, 40).

ბაგრატ IV იმერთა მეფის ასული თინათინი, ცოლყოფილი ლევან დადიანისა, მონაზვნობაში ნინო, თან ახლდა ვახტანგ VI-ს 1724 წ. რუსეთში (Brosset, Histoire..., II, I ნაწ., გვ. 578—579).

**158.** (XIII, 17).

ვახუშტი ბაგრატიონს არზრუმის ფაშის შემოსევის თანადროულად აღნიშნული აქვს ახალციხის ფაშის ისაყის შემოჭრა იმერეთში. შემოსევა საბოლოოდ ოსმალთა განდევნით, მათი დამარცხებით დასრულებულა. ოსმალთა სერასკირი გურიის გავლით წასულა საქართველოდან (ქ. ც., II, 1854, გვ. 219—220).

**159.** (XV, 14).

მსგავსი ცნობა ვერ მოვიძიეთ.

**160.** (VIII 38).

ერეკლე პირველის ვაჟი, დავით იმამ ყული-ხანი, ვახუშტის ცნობით კახეთში 1706 წ. მოვიდა და ლეკთა თარეშის ალაგმვა დაიწყო (ქ. ც., II, გვ. 132—133).

**161.** (XVI, 4).

1707 წ. კახეთში მოხსენებული ბატონიშვილი ლევანი (XVI, 4) ჩვენთვის უცნობია. შესაძლებელია აქ ლაპარაკია იმამ ყული-ხანის ვაჟზე ლევან მაჰმად-მირზაზე, რომელიც შემდგომში თოფალ-ფაშას წინააღმდეგ ბრძოლაში დაიღუპა.

**162.** (IV, 54. VI, 45. X, 41. XIII, 18).

1709 წელს იმერთა მეფე გიორგი VI ალექსანდრეს ძის გამარჯვება დადიანსა და რაჭის ერისთავზე, ამავე წელს მოკვლა ყანდაარში გიორგი XI-ისა მირვეისის მიერ, მოთხრობილი აქვს ვახუშტი ბაგრატიონს (ქ. ც., II, 1854, გვ. 72, 222 და ქორონიკონები).

**163.** (IV, 55. XVI, 5).

ვახტანგ VI საქართველოს ჯანიშინი იყო 1703 — 1712 წწ. მისი ძმის ქაიხოსროს დაღუპვის შემდგომ (1711 წ.) ვახტანგი 1712 წ. ჰუსე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინ I კარზე წავიდა და ქართლის გამგებლად დატოვა თავისი ძმა სი-მონი (იხ. ვ. დონდუა, საისტორიო ძიებანი, I, გვ. 149—150).

**164.** (XIII, 19).

1712 წ. ალექსანდრე იმერთა მეფის ძემ გიორგი VI იმერთა მეფემ ჩხარის ომში ახალციხის ფაშის ისაყის მხარდაჭერით დაამარცხა მამია III გურიელი, სვერის ბატონი პაატა აბაშიძე, რაჭის ერისთავი და დაიპყრო იმერეთი (ქ. ც., II, 1854, გვ. 224).

**165.** (IV, 56).

ქრისტიანობის დაუტევლობისთვის (=პროსპარსულ პოლიტიკაზე არ დადგომის გამო) შაჰმა სიმონის შემდგომ ქართლის გამგებლად მოავლინა ძმა ვახტანგ VI-ისა იესე (ალიყულიხან), რომელიც თბილისში შემოვიდა 1714 წ. 10/X (ქ. ც., II, 1854, გვ. 78—79; ვ. დონდუა, საისტ. ძიებ., I, გვ. 150—163).

**166.** (IX, 27, 28).

1715 წლის 24 მარტი ხუთშაბათი იყო და არა ორშაბათი, ხოლო 1 აპრილი პარასკევი და არა ხუთშაბათი.

**167.** (XVI, 6).

1715 წ. ვახუშტი ბაგრატიონი მოგვითხრობს ჭარელი ლეკების შემოსევის შესახებ კახეთში. ქართლის გამგებლის იესე-ალიყულიხანის მიერ კახელთა დასახმარებლად გაგზავნილი საბარათიანოს ლაშქარი ლეკებმა დაამარცხეს (ქ. ც., II, გვ. 79, 134 და ქორონიკონები).

**168.** (IV, 57. XVII, 1).

1716 წ. სპარსეთში მყოფი ვახტანგ VI კომპრომისზე წავიდა, მიიღო მუსულმანობა. შაჰმა მას ქართლი მისცა თუმცა კი მასთან დაიტოვა და ქართლის გამგებლად ვახტანგის ძე ბაქარი დასვეს (1716—1719 წწ. იხ. ქ. ც., II, გვ. 79—80).

**169.** (XVII, 2).

მირ-ვეისი 1715 წ. გარდაიცვალა და იგი მისმა ძმამ მირ-აბდულამ შეცვალა. ეს უკანასკნელი 1717 წელს მოკლეს ჰილზაებმა როგორც მოღალატე და მირ-ვეისის ძე მირ-მაჰმუდი გაიბატონეს (М. С. Иванов, Очерк истории Ирана, 1952, გვ. 81).

**170.** (XV, 16).

რაჭის ერისთავის, დადიანისა და ზურაბ აბაშიძის გადაწყვეტილებით, მოგვითხრობს ვახუშტი, 1720 წ. თხმელის ციხეში მყოფი გიორგი VI იმერთა მეფე ისტუმრა სვიმონ აბაშიძემ და თევდორობის შაბათს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოაკვლევინა (ქ. ც., II, 1854, გვ. 229). ვახუშტის ქორონიკონების მიხედვით ეს ამბავი 1720 წ. 27/II მოხდა.

**171.** (IV, 59).

1720 წლის თარიღით ვახუშტი ბაგრატიონის ქორონიკონებში არის ცნობა ვახტანგ მეფის მიერ იმამ ყული-ხანისთვის ჯარის გაგზავნის შესახებ ლეკთა წინააღმდეგ ბრძოლაში დასახმარებლად.

**172.** (IV 60. XI, 57).

სასიკვდილო სენით შეპყრობილი მეფე დავით იმამ ყული-ხანი 1722 წ. 4/VIII დაწერილ ე. წ. „ღმრთაების გუჯარში“ ამბობს. „მიერით ჟამითვე დაუტევე ცხოვრება ესე და შევეძინე მამათა ჩვენთა თანა“ (ქართული სამართ. ძეგ.. II, 1966, ი. დოლიძის გამოც., გვ. 383). კახთა მეფობა შაჰმა მის ძმას კონსტანტინე მაჰმად-ყული-ხანს მისცა (1722 — 1733).

**173.** (IV, 61, 62. XVII, 3).

ოსმალებმა 1723 წლის ივნისში უომრად დაიკავეს თბილისი. ამას წინ უძღოდა ქართლში ლეკთა შემოჭრა კახეთის მმართველის კონსტანტინეს ხელმძღვანელობით. 1724 წ. 15 ივლისს ვახტანგ მეფე შვილებით (ბაქარ მეფე მათ შორის) და დიდი ამალით რუსეთს წავიდა (ქ. ც., II, გვ. 86 — 87 და ვახუშტის ქორონიკონები, გვ. 254).

**174.** (IX, 37).

1726 წლის 6 აგვისტო შაბათი იყო და არა კვირა.

**175.** (IX. 38).

1728 წლის 20 ივნისი მართლაც ხუთშაბათი იყო.

**176.** (XV, 17).

ბეჟან I დადიანი მოკლულ იქნა გეგუთში ალექსანდრე V იმერთა მეფისა და ისაყ-ფაშას შვილის უსუფ-ფაშას ბანაკში. ამ უკანასკნელის მესაჭურჭლის მაჰმად-ბეგის მიერ. დადიანი გახდა ძე ბეჟანისა ოტია, რომელმაც გაქცევა შესძლო (ქ. ც., II. 1854, გვ. 231).

**177.** (IV, 64).

ბესარიონ ორბელიშვილი საქართველოს კათალიკოსი გახდა 1724 წლიდან, მაგრამ არსებობს დოკუმენტი გაცემული კათალიკოს პატრიარქ ბესარიონის მიერ 1723 წ. 4 აპრილს (ცსა, ფ. 1448, № 955 იხ. მ. ქავთარია, ბეს. ორბელიშვილის ცხოვ. და მოღვაწეობა, ხელნაწ. ინსტ. მოამბე, I, 1959, გვ. 81).

**178.** (IX, 39).

1729 წლის 5 ნოემბერი ოთხშაბათი იყო და არა სამშაბათი. 5 ნოემბერი სამშაბათი იყო 1728 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**179.** (IX, 40).

1730 წ. 16 იანვარი მართლაც პარასკევი იყო.

**180.** (XVII, 4).

ეს არის თარიღი ავღანთა განდევნისა ირანიდან. ამ წელს სეფევიდი შაჰის სულთან-ჰუსეინის ძის თამაზის სარდალმა ნადირხან აფშარმა საბოლოოდ დაამარცხა ავღანი შაჰი აშრაფი. ისპაჰანი აღებული იქნა უკვე 1729 წ. ნოემბერში (М. Иванов, Очерк ист. Ирана, 1952, გვ. 93).

**181.** (X, 42).

ბეჟან დადიანის ასული მარიამი, მეუღლე ალექსანდრე V იმერთა მეფისა, ვახუშტის მიხედვით გარდაიცვალა 1732 წ. (ქ. ც., II, 1854, გვ. 232).

**182.** (X, 43. XIII, 20).

ალექსანდრე V იმერთა მეფის გამარჯვებით დასრულებული ჩიხორის ბრძოლის თარიღი ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებაში 1734 წელია. სეხნია ჩხეიძის გადმოცემით ალექსანდრე მეფემ ბრძოლაში გაგზავნა შვილი დავითი, ხოლო ბრძოლა 1732 წ. 23/XII მოხდა (ქ. ც., II, 1854, გვ. 233; გვ. 337).

**183.** (IV, 67, 68).

ვახუშტის ცნობით კონსტანტინე კახთა მეფე (მაჰმად ყული-ხანი) 1729 წ. ვერაგულად მოკლეს ქართლის ოსმალო გამგებლის ისაყ-ფაშის ძის უსუფ-ფაშის ბანაკში, ხოლო ერეკლე I-ის ძე თეიმურაზ II კახეთში გამეფდა 1731 წ. (ქ. ც., II, 1854, გვ. 140—141).

სეხნია ჩხეიძე კონსტანტინეს მკვლელობას 1732 წ. 28/XII აღნიშნავს (იქვე, გვ. 337).

ნ. ბერძენიშვილის მიხედვით კონსტანტინეს მკვლელობისა და თეიმურაზის კახეთში გამეფების თარიღია 1733 წ. (ნ. ბერძენიშვილი, საქ. ისტ. საკითხები, II, გვ. 139).

**184.** (XVI, 7).

სეხნია ჩხეიძის ცნობით თურქეთის სულთანმა 1725 წ. ქართლი სამგეოდ მისცა ისაყ-ფაშას. 1737 წ. ისაყი დროებით გადაყენებული იყო. 1733 წ. ისაყ-ფაშა ზომებს იღებს ლეკთა თარეშისაგან და ყიზილბაშთა მოსალოდნელი თავდასხმისაგან ქართლის დასაცავად. ამ წელსააშენებინა მუხრანის ციხე, მომდევნო წელს ავჭალის ციხე და თორმეტი კოშკი დიღმიდან ატენის წყლამდე (ქ. ც., II, 1854, გვ. 333, 335).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**185.** (IV, 69).

ნადირ-ხან აფშარი (თამაზ ყული-ხანი), ფაქტიური მმართველი სპარსეთისა 1730 წლიდან, ვახუშტისა და სეხნია ჩხეიძის ცნობებითაც საქართველოში 1735 წ. შემოვიდა (ქ. ც., II, 1854, გვ. 91, 339). ოსმალოა წინააღმდეგ ბრძოლისას ქართველობის ნაწილი ყიზილბაშთა მხარეზე იბრძოდა.

სეხნია ჩხეიძის ცნობით ნადირ-ხანი თბილისში 1735 წ. 6/X შევიდა; ერთი სომხური წყაროს მიხედვით ეს მოხდა 1735 წ. 27/X (ნადირშაჰის ისტ. კათალიკოს აბრამისა, Collection d'historiens arm., II, 1876, გვ. 278).

**186.** (IV, 71).

ალექსანდრე (ალი-მირზა), ძე დავით-იმამყული-ხანისა, ვახუშტის და სეხნია ჩხეიძის ცნობებით ქართლ-კახეთის გამგებლად 1735 წ. დასტოვა ნადირ-ხანმა, მალევე ჩამოართვა გამგებლობა ქართლისა და ალექსანდრე შაჰთან წასვლამდის მცირე ხანს კახეთის მეფე იყო (ქ. ც., II, 1854, გვ. 91, 340, 341).

ცნობილია რამდენიმე სიგელი ალექსანდრე მეფისა. 1736 წ. 20/III მან მანგლელობა უწყალობა ქრისტეფორე მუხრანბატონს (ხელნაწ. ინსტ. Ad—583; ქართლ-კახ. საეკ. საბ., გვ. 263-264). ალექსანდრე მეფის ოთხი სიგლის მოკლე აღწერილობა გამოცემული აქვს მარი ბროსეს (იხ. M. Brosset, Histoire..., II ტ., II ნაწ., 1857, გვ. 520—521).

**187.** (IV, 73).

ჭარში ლეკებზე გამარჯვებული იბრეიმ-ხანის მოკვლა მისი გაუფრთხილებლობის გამო ვახუშტი ბაგრატიონს აღნიშნული აქვს 1739 წ. ხოლო სეხნია ჩხეიძეს 1738 წ. (ქ. ც., II, 1854, გვ. 143; 342). თვე და რიცხვი მითითებული არაა.

**188.** (X, 44).

1745 წლის 24 თებერვალი კვირა იყო, ასევე 14 აპრილიც.

**189.** (X, 44).

ვახუშტის ქრონიკონებში ალექსანდრე იმერთა მეფის გარდაცვალება აღნიშნულია 1752 წ. მარტში.

**190.** (VI, 49).

ომან ხერხეულიძის ცნობაზე დაყრდნობით მჭადიჯვართან ხუნძახის ბატონის ნურსალ-ბეგის დამარცხების თარიღად მიღებულია 1754 წ. (ქ. ც., II, 1854, გვ. 487—488). დავით ბატონიშვილთან მჭადიჯვრის ბრძოლის თარიღია 1751 წ. (დ. ბატონიშვილი, ახალი ისტ., თ. ლომოურის გამოც., 1941, გვ. 6).

ეროვნული ბიბლიოთეკა

**191.** (IX, 48).

დავით ბატონიშვილის ცნობით კონსტანტინე მუხრანბატონს 1755 წ. მოკლეს (იხ. დავით ბატონიშვილი, ახალი ისტ., 1941, გვ. 7).

1756 წ. 26 ოქტომბერი მართლაც შაბათი იყო, ამდენად კინკლოსური თარიღი უფრო სანდო ჩანს.

**192.** (X, 45. XIII, 21. XV, 19, 23).

ხრესილის ომში ოსმალები მეფის საწინააღმდეგო დაჯგუფების მხარეზე იმიტომ გამოვიდნენ, რომ სოლომონ პირველმა აკრძალა ტყვის სყიდვა (იხ. ს. კაკაბაძე, საქ. ისტორია I. 1500—1810 წწ. I, 1922, გვ. 201; ნ. დადიანი, ქართველთ ცხოვრება, 1962, გვ. 178). კინკლოსურ ცნობაში (XIII, 21) ხრესილის ომის თარიღი სწორად უნდა იყოს მონიშნული; 1757 წლის 14 დეკემბერი მართლაც კვირა იყო.

აგვისტოში (1758 წ.?) იმერეთში ლეკთა ჯარის შემოჭრის (XV. 19) შესახებ სხვა ცნობა ვერ მოვიძიეთ. ამავე კინკლოსში ცნობა ლევან აბაშიძესა და სოლომონ მეფეს შორის მომხდარი ბრძოლის შესახებ შეცდომით გამეორებულია 1768 წ. თარიღით (XV. 23). ბაგრატ ბატონიშვილის ახალი მოთხრობის მიხედვით 1768 წ. ოსმალთა და შემდეგ ლეკთა ჯარით იმერეთში ორჯერ ილაშქრა ლევან აბაშიძის ძემ ქაიხოსრომ. პირველად იგი სოლომონ მეფემ ხრესილთან დაამარცხა, მეორედ ჩიხორთან (ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა თ. ლომოურის გამოც., 1941, გვ. 55, § 19).

1768 წლის 14 დეკემბერიც (XV, 23), როგორც 1757 წ. 14 დეკემბერი, აგრეთვე კვირა იყო.

**193.** (XV, 20).

1760 წლის 2 ივნისი მართლაც პარასკევი იყო.

**194.** (XIII, 22).

ქაიხოსრო აგიაშვილი იყო სარდალი სოლომონ II-ისა.

**195.** (XV, 21, 22).

ლაპარაკია ხრესილის ბრძოლის შემდგომ შემოსევებზე ახალციხის ფაშა იბრეიმის მეთაურობით (ს. კაკაბაძე, საქართ. ისტ., 1922, გვ. 202).

**196.** (IX. 49, 50).

1767 წ. 27 მაისი მართლაც კვირა იყო, ხოლო 20 დეკემბერი ხუთშაბათი.

**197.** (X, 46).

ამ წელს სოლომონ პირველმა რაჭა დალაშქრა ლეკის ჯარით, მაგრამ ერისთავი ვერ შეიპყრო. მომდევნო წელს როსტომ რაჭის ერისთა-

ვი შეიპყრეს, თვალები დასთხარეს, რაჭის საერისთავო გააუქმეს (ს. კა-კაბაძე, საქართ. ისტ., 1922, გვ. 204). ერისთავის დამარცხება სოლომონ მეფემ ტოტლებენსაც აცნობა (Count Totlebens expedition დ. ლენგის გამოც. BSOAS, 1951, XIII/4, გვ. 887).

**198.** (IX, 52, 53. X, 47, 48).

ტოტლებენის ადიუტანტის კაპიტან დე გრეილი დე ფუას მიერ გრაფ რაზუმოვსკისთვის წარდგენილი რელაციის მიხედვით ტოტლებენის კორპუსმა თერგი 1769 წ. 24/VIII გადალახა და მცირე ყაბარდოში შევიდა. პირველი შეხვედრა ტოტლებენისა და ერეკლე II-ის მოხდა 1769 წ. 10/X სტეფანწმინდასთან „ალონ მინდორზე“. ამავე შემოდგომაზე ტოტლებენი იმერეთში გადავიდა. მაგრამ შორაპნის ციხის უნაყოფო ალყის შემდეგ დასაზამთრებლად აღმოსავლეთ საქართველოში, ცხინვალში გამობრუნდა. მისი წასვლის შემდეგ სოლომონ მეფემ შორაპნის ციხე წაართვა ოსმალებს.

ტოტლებენის მიერ მოწყობილი უნაყოფო ალყა აწყურის ციხისა და ოსმალებზე ერეკლე მეფის სრული გამარჯვებით დასრულებული 1770 წ. 24 აპრილს მომხდარი ასპინძის ომი, ამ ომის თვითმხილველ კაპიტან დე გრეილის საკმაოდ დეტალურად აქვს მოთხრობილი.

დე გრეილის ცნობით ქუთაისი აღებულ იქნა 1770 წ. 7 ივნისს. მაგრამ ტოტლებენის ჯარს იგი თურქთაგან დაცლილი დახვდა. სოლომონ მეფისა და თურქების სეპარატული შეთანხმების შედეგად თურქებმა ქალაქი 6 ივნისს ღამით დასცალეს (Count Totlebens expedition to Georgia, 1769—1771, edited, by D. M. Lang, BSOAS, 1951, XIII/4, გვ. 881—889. იხ. აგრეთვე დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია. გვ. 10—11; ნ. დადიანი, ქართველთ ცხოვრება. გვ. 179 და სხვ.).

**199.** (X, 49).

1774 წლის იანვარში ახალციხის ფაშა ვაჰანის გზით ოსმალო-ლეკთა ჯარით იმერეთში შევიდა. კაცია დადიანი ოსმალთათვის მხარდაჭერას აპირებდა, მაგრამ ერეკლე მეორის მიწერილობამ გადაათქმევინა განზრახვა. თვით ერეკლე გაუძღვა ჯარს ოსმალთათვის გზის მოსაჭრელად. აღნიშნულმა ამბებმა განაპირობეს სოლომონ მეფის სრული გამარჯვება ოსმალებზე ჩხერის ომში, რომელიც მოხდა 1774 წ. 6/II (ს. კაკაბაძე, საქართველოს ისტორია. 1922. გვ. 211).

**200.** (X, 50).

ალექსანდრე V იმერთა მეფის ძე იოსები, ძმა სოლომონ I-ის. 1745 წლიდან ვენათელი იყო, რაც შემდგომში კათალიკოსობასთან ერთად ეკავა; კათალიკოსი იყო 1769 წ. 10/V—1776 წ. 13/V (ბ. ლომინაძე, მა-

სალები დას. საქ. XVII — XVIII ს-თა ისტორიის ქრონ., მასალები საქ. და კავკ. ისტ., ნაკვ. 31, 1954, გვ. 137).

**201.** (X. 51. VIII, 23).

მარიამ დედოფალი, მეორე ცოლი სოლომონ პირველისა, იყო ასული ოტია დადიანისა, და—კაცია დადიანისა.

**202.** (XV, 23).

პაპუნა ორბელიანის ცნობით 1751 წელს დაკარგული მთავრობა მამია გურიელმა დაიბრუნა ერეკლე მეფისა და ახალციხის ფაშის შემწეობით (ქ. ც., II, 1854, გვ. 458, 469).

ნიკო დადიანთან უთარიღოდაა მოთხრობილი მამია გურიელის შემონაზვნება მოხუცებულობის გამო (ნ. დადიანი, ქართველთ ცხოვრება, 1962, გვ. 184).

შემოქმედის გულანის ისტორიული მინაწერების დ. ბაქრაძისეულ გამოცემაში მამია გურიელის სიკვდილი შეცდომით აღნიშნულია 1784 წ., ამიტომ ო. სოსელიას მამია IX-ის, გიორგი IV გურიელის ძის, ზეობის წლებად მინიშნული აქვს 1726—1784 წწ. (იხ. ო. სოსელია, ფეოდალური საქ. პოლიტ. დაშლის ისტორიიდან, მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, ნაკვ. 30, 1954, გვ. 139, შენ. 2).

**203.** (X, 52).

ნიკო დადიანის თხზულების მიხედვით რუხვის ბრძოლაში, რომელიც 1781 წ. მოხდა სოლომონ I კაცია დადიანის მოკავშირედ გამოვიდა. მათ დაამარცხეს დადიანის წინააღმდეგ ამხედრებული აფხაზები, ჩრდილო-კავკასიური ტომები. მეფემ დადიანს ხრესილის ომში დახმარებისათვის სამაგიერო სამსახური გაუწია. ნ. დადიანთან რუხვის ციხეზე მომხდურთა რაოდენობა აღნიშნული არაა (ნ. დადიანი, ქართველთ ცხოვრება, გვ. 180; იხ. აგრეთვე, ს. კაკაბაძე, საქართველოს ისტორია, 1922, გვ. 229).

**204.** (X, 53. XIII, 24).

იმერეთის მეფე სოლომონ I გარდაიცვალა 1784 წ. 23 აპრილს ქუთაისის სასახლეში. დაკრძალულია გელათის ტაძარში. მას მემკვიდრე არ დარჩენია (ნ. დადიანი, ქართვ. ცხოვრება, გვ. 181).

**205.** (X, 54).

სოლომონ პირველის გარდაცვალების შემდგომ კაცია დადიანის მხარდაჭერით იმერეთში გაამეფეს სოლომონის ბიძის, გიორგის, შვილი დავით II. სოლომონ I-ის ძმის, არჩილის შვილის დავითის ცდა, ხელთ ეგდო ტახტი, თავდაპირველად წარუმატებლად დამთავრდა. იგი დამარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხდა და პაპამისთან (დედის, ელენეს, მამა) ერეკლე II-სთან გადასახლდა აღმოსავლეთ საქართველოში.

1788 წ. 6/XII გარდაიცვალა კაცია დადიანი. დავით II-ის მიერ სამეგრელოს ხელთგდების უნაყოფო ცდის შემდეგ გრიგოლ დადიანმა და დავით ბატონიშვილმა დავით II დაამარცხეს მათხოჯთან. 1789 წ. 11 ივლისს იმერეთში დავით არჩილის ძე ბაგრატიონი გამეფდა სოლომონ II-ის სახელით (ნ. დადიანი, ქართვ. ცხოვრება, გვ. 184—185).

**206.** (IX, 55).

1793 წლის 1 იანვარი მართლაც შაბათი იყო.

**207.** (XIII, 25).

სოლომონ II-ის სარდალი ქაიხოსრო აგიაშვილი 1784 წ. სოლომონ მეფის დამარცხებით დამთავრებულ ჩაქვის ბრძოლაში დაიღუპა. (ნ. დადიანი, ქართველთ ცხოვრება, გვ. $181_{12}$).

**208.** (X, 55. XIII, 26).

ნიკო დადიანის ცნობით იმერეთის მეფეყოფილი დავით გიორგის ძე (დავით II), ერეკლე II-ის მეშვეობით მხოლოდ დროებით შეურიგდა სოლომონ II-ს. შემდგომში აფხაზ-ლეკთა შემწეობითა და ახალციხის საფაშოზე დაყრდნობით იგი მტრულ მოქმედებას განაგრძობდა ტახტის დასაბრუნებლად. იგი ყვავილის სენით გარდაიცვალა ახალციხეში. შ. ბურჯანაძის გამოქვეყნებული გამოკვლევის მიხედვით ეს მოხდა 1795 წ. 11 იანვარს (ნ. დადიანი, ქართვ. ცხოვრება, გვ. 181—187 და შენ. 454).

**209.** (X, 56).

ირანის მბრძანებელმა აღა-მაჰმად-ხან ყაჯარმა თბილისი აიღო და გაძარცვა 1795 წ. 11 აგვისტოს ქართველთა დამარცხებით დასრულებული კრწანისის ბრძოლის შემდეგ (ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, თ. ლომოურის გამოც, გვ. 65).

**210.** (X, 57. XIII, 27).

ერეკლე II გარდაიცვალა 1798 წ. 11 იანვარს, თელავში, 80 წლისა (ბაგრატ ბატონიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 69).

**211.** (X, 58).

საქართველოს უკანასკნელი მეფე გიორგი XIII გარდაიცვალა 1800 წ. 28/XII თბილისში. დაკრძალეს მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში (ბაგრატ ბატონიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 75).

**212.** (X, 59).

სოლომონ მეორის მიერ ლეჩხუმის წართმევა სამეგრელოს მთავ-

რის გრიგოლ დადიანისთვის ნ. დადიანის თხზულებაში საკმაოდ დაწვრილებით, მაგრამ უთარიღოდაა მოთხრობილი. 1802 წ. 31/XII სარდალ პავლე ციციანოვის მიერ რუსეთის მეფისადმი გაგზავნილი მოხსენებიდან ჩანს, რომ ამ დროს ლეჩხუმი უკვე იმერთა მეფეს ჰქონდა დაკავებული (იხ. მ. დუმბაძე, დასავლეთ საქ. XIX ს. I ნახევარში, 1957, გვ. 144 და შენ. 3). „ჭირისა გამო მეფისა სოლომანის მიერ, დადიანმან გრიგოლ კუალად განუახლა ციციანოვსა თხოვილი თვისი და მფარველობა როსისა“ (ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, გვ. 56).

**213.** (XIII, 28).

სამეგრელოს მთავარი გრიგოლ დადიანი გარდაიცვალა 1804 წ. 23/X ლეჩხუმში, მურის სასახლეში (ნ. დადიანი, ქართველთ ცხოვრება, გვ. $193_{35}$. მ. დუმბაძის გამოკვლევით იგი მისი პოლიტიკით უკმაყოფილო ფეოდალებმა მოწამლეს — იხ. მ. დუმბაძე, სამეგრელოს სამთავრო 1803—1857 წწ. გვ. 32).

**214.** (X, 61).

1810 წ. 20/II ქუთაისის ეკლესიებში გამოქვეყნდა გენ. ტორმასოვის მოწოდება იმერეთში სოლომონ მეფის ხელისუფლების გაუქმების შესახებ. ამავე წლის 1 აპრილს ტორმასოვმა შეიპყრო სოლომონ II, რომელიც 11 მაისს ტყვეობიდან გაიქცა და სათავეში ჩაუდგა აჯანყებას რუსთა წინააღმდეგ ვიდრე იძულებული არ გახდა 1810 წ. 25/IX ახალციხეში გადასულიყო (მ. დუმბაძე, დასავლეთ საქართველო.. გვ. 191, 192, 195).

**215.** (X, 62).

ნაპოლეონ ბონაპარტი მოსკოვში შევიდა 1812 წ. 2/IX (11 ოქტომბრამდე ეკავა).

1810 წ. ნაადრევმა ყინვებმა გაანადგურეს ჭირნახული და 1811 წ. დასავლეთ საქართველოში ისეთი არნახული შიმშილობა იყო, რომ მშობლები შვილებს უთმობდნენ მათ, ვინც შეძლე იყო გამოეკვებაისინი (მ. დუმბაძე. დასავლეთ საქართველო..., გვ. 224).

**216.** (X, 63, 64)

ინფანტერიის გენერალი ნიკოლოზ რტიშჩევი საქართველოს მთავარმართებლად იყო ტორმასოვის შემდეგ 1812—1816 წწ.

იმერეთის უკანასკნელი მეფე სოლომონ II გარდაიცვალა 1815 წ. 7 თებერვალს ტრაპიზონში (მ. დუმბაძე, დასავ. საქ., გვ. 228).

**217.** (X, 65).

ქუთათელი და გენათელი, აგრეთვე სეხნია წულუკიძე, მდივანბეგი ციქელაძე და იმერეთის აჯანყების სხვა მოთავენი პოლკოვნიკ პუზირევ-

სკის ბრძანებით შეიპყრეს და რუსეთის გზას გაუყენეს. სურამთან, ნა-
ეროვნული ბიბლიოთეკა
ცემი მიტროპოლიტი დოსითეოზ წერეთელი გარდაიცვალა (ა. კიკვიძე, საქართველოს ისტორია — XIX ს., 1954, გვ. 112).

**218.** (XVIII, 5).

ნიკო დადიანი მოგვითხრობს, რომ ერთი ბატალიონითა და არტილერიით მან კვლავ ჯიქეთში განდევნა ფოთის სერასკირის სულეიმან ფაშას ჯარით ძალამოცემული, ტამიშს აფხაზეთის დასაპყრობად მოსული, ასლან-ბეგ შერვაშიძე (ნ. დადიანი, ქართვ. ცხოვრება, გვ. 205. მ. დუმბაძის გამოკვლევით ეს 1818 წ. მოხდა. იხ. მისი, დასავლეთ საქ..., გვ. 238).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საძიებლები

## ა. პირთა

ა

აბას I, ირანის შაჰი IV, 29; XI, 13, 14
აბას II, ირანის შაჰი VIII, 25
აბაშიძე (1664 წ.) II, II, 33
აბაშიძე [ზურაბ] X, 43; XIII, 20
აბაშიძე ლევან X, 45; XIII, 21; XV, 19, 23
აბაშიძე (1774 წ.) X, 49
აგიაშვილი ქაიხოსრო XIII, 22, 25
ავთანდილი XI, 55
ათანასე, ნიკოლოზის შვილი XII, 26
ალექსანდრე [იმერთა] მეფე IV, 40; IX, 22
ალექსანდრე [ალი-მირზა] მეფე IV, 71
ალექსანდრე II, კახთა მეფე IX, 13
ალექსანდრე II, იმერთა მეფე V, 10, 16, 18; X, 9
ალექსანდრე III, იმერთა მეფე X, 25, 29, 30, 35; XIII, 10, 11, 12; XV, 11
ალექსანდრე IV, იმერთა მეფე IV, 46; X, 36, 37
ალექსანდრე V, იმერთა მეფე X, 42, 43, 44; XIII, 20
ამილახვარ XI, 45
ამირ II, II, 4
ანა, გურიელის ასული, თეიმურაზ I მეუღლე IX, 14
ანანია, სინის მთავარეპისკოპოსი VI, 37, VII, 17
ანუკა ბატონიშვილი IX, 43; XI, 49
არჩილ მეფე IV, 36, 41; VI, 32, 35; VII, 14; X, 37; XIII, 16
არჩილ, სოლომონ II-ის მამა X, 54, 64
ასან ფაშა X, 34; XIII, 14
ალა-მაჰმად-ხან ყაჯარი X, 56

ბ

ბაგრატ IX, 28
ბაგრატ ბატონიშვილი VIII, 36
ბაგრატ კუროპალატი (sic.) I, 11
ბაგრატ მეფე I, 3
ბაგრატ VI მეფე II, II, 11
ბაგრატ III, იმერთა მეფე III, 11; IV, 13; V, 18, 25; VI, 11; VIII, 9; X, 9, 11, 14
ბაგრატ IV, იმერთა მეფე II, II, 33, VIII, 28; X, 31, 33, 34, 35, 40; XIII, 14, 15; XIV, 9, 11, 12
ბადური XI, 32
ბაქარ მეფე IV, 57; XVII, 1
ბაშ-ალა XIII, 21; XV, 19
ბერიძე იოანე, ჯუმათელი XV, 13
ბექან დადიანი იხ. დადიანი ბექან, ჩიქოვანი
ბესარიონ იხ. ორბელიშვილი ბესარიონ
ბუონაპარტე X, 62

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გ


გაბრიელ, წილკნის ეპისკოპოსი VI, 46
გედეონ გენათელი XIV, 13
გელუანი XVIII, 1
გივი, ენისელთ მოურავი XIV, 14
გიორგი XI, 21
გიორგი XVI, 3
გიორგი XI, 54
გიორგი ბატონიშვილი VI, 15; IX, 7
გიორგი ბატონიშვილი XVIII, 2
გიორგი ბატონიშვილი იხ. [გურიელი] გიორგი ბატონიშვილი
გიორგი II, გურიელი. იხ. გურიელი II გიორგი
გიორგი III, გურიელი. იხ. გურიელი III გიორგი
გიორგი დადიანი. იხ. დადიანი გიორგი
გიორგი II, იმერთა მეფე X, 14; XV, 4
გიორგი III, იმერთა მეფე VIII, 24; X, 25; XIII, 6, 8
გიორგი VI, იმერთა მეფე X, 41, XIII, 18, 19; XV, 16
გიორგი (ავ-გიორგი) მეფე კახეთისა VI, 5; IX, 2
გიორგი, აფხაზთა მეფე I, 7
გიორგი I მეფე I, 10
გიორგი II მეფე I, 13, 15
გიორგი III მეფე I, 19; II, 1, 2
გიორგი ლაშა IV მეფე I, 23, 24, 25; II, 5; II, II, 32
გიორგი VIII მეფე III, 7; IV, 7
გიორგი X, მეფე XI, 8
გიორგი XI, მეფე IV, 42, 54; VI, 39, 45; VIII, 32, 36; XI, 34, 43
გიორგი XIII მეფე X, 58
გიორგი ჭყონდიდელი I, 16
გოლა ფაშა, X, 45; XV, 19
გრიგოლ დადიანი. იხ. დადიანი გრიგოლ
[გრიგოლ] ერისთავი. იხ. ერისთავი [გრიგოლ]
გულქან დედოფალი V, 5
გურიელი [არჩილ], ძე დემეტრე გურიელისა XIV, 9
[გურიელი] გიორგი ბატონიშვილი (1651 წ.) XII, 20
[გურიელი] გიორგი ბატონიშვილი (1700 წ.) XII, 27
გურიელი I გიორგი X, 7
გურიელი II გიორგი IV, 46; XII, 3, 12, XV, 5
გურიელი III გიორგი X, 34, 36; XII, 23
გურიელი I დიმიტრი XV, 11
გურიელი ვახტანგ XII, 18
გურიელი (მალაქია) კათალიკოსი XV, 8
გურიელი I მამია X, 7
გურიელი II მამია XII, 10, 15; XIII, 7; XV, 5, 6
გურიელი III მამია XII, 24
გურიელი IV მამია XV, 22, 24
გურიელი I როსტომ XII, 3
გურიელი [II სვიმონ] VI, 31
გურიელი I ქაიხოსრო IX, 20; X, 29; XII, 18; XIII, 11; XIV, 8; XV, 11
გურიელი II ქაიხოსრო XII, 22, 23,


## დ


დადიანი იხ. [ლიპარტიანი გიორგი]
დადიანი I ბექან, ჩიქოვანი XV, 17
დადიანი გიორგი X,41
დადიანი გრიგოლ XIII,28
დადიანი III ვამიყ VI, 34,35; VII, 16; XIII, 10; XIV, 9
დადიანი [კაცია] XIII, 20
დადიანი II კაცია X, 45, 52
დადიანი I ლევან VII,7; X,11, 12; XII,5
დადიანი II ლევან VII,15; VIII, 24; X,28; XIII 6,9, 10
დადიანი ლევან || ლეონ ანუ შამადავლე VI,35; IX,20; IX,31,32; XIV, 12
დადიანი ლიპარი || ლიპარიტი VII, 16; X, 29; XIII, 11; XIV, 8
დადიანი III მამია X,7
დადიანი IV მამია VII,9; VIII,15; X,21; XI,6; XIII,4
დადიანი I მანუჩარ XII,16
დადიანი [ოტია] X,43; XIII,20

დავით ბატონიშვილი, დემეტრე I ძე I, 17
დავით IV აღმაშენებელი I,14; X, 19; XIII,3; XV,7, 10
დავით VI [ნარინი] მეფე I,28, 30
დავით X მეფე V, 20; VI, 5; IX,2
დავით II იმერთა მეფე X,55; XIII,26
დავით I კახთა მეფე IX, 12
დავით იმამ-ყული-ხანი II კახთა მეფე IV, 71; XI, 57
დავით მუხრანბატონი IX, 39
დავით, მუხრანბატონის შვილიშვილი IX,47
დავით სოსლანი I, 22
დათუნა ბატონიშვილი VI, 32
დარეჯან XI, 22
დარიჯან || დარიჯნა დედოფალი X, 33; XIII, 13
დედისიმედი ათაბაგი X,2
დედისიმედი ბატონიშვილი XI,31
დემეტრე აფხაზთა მეფე I, 8
დემეტრე [დემნა] უფლისწული I,19,20
დემეტრე I მეფე I,17; II, 1
დიმიტრი I გურიელი XV, 11
დიასამიძე ვახუშტი III, 14; IV,16; VI,14
დომენტი კათალიკოსი VI, 46, 47

ე

ედია, ლევან მუხრანბატონის შვილი IX, 41
ელენე XI, 28, 36
ელენე XI, 51, 56
ელენე I, 29
ელენე ახალციხელი X, 18, 23
ელენე მუხრანბატონის ქალი IX, 49
ელენე დედოფალი, აბაშიძე IV,50; XII, 25
ელენე, სახლისუხუცესის ქალი XIV,5
ელია, ლევან მუხრანბატონის შვილი IX, 38
ერეკლე ბატონიშვილი იხ. ერეკლე I, კახთ მეფის შვილი
ერეკლე I, კახთ მეფის შვილი IV,47; VI, 40, 41; VIII, 31, 36, 38; XI, 44; XVI, 2
ერეკლე II მეფე IX, 52, 53; X, 57; XIII, 27
ერეკლე მუხრანბატონი VI, 47; IX, 36
ერისთავი [გრიგოლ] X,43; XIII, 20
ერისთავი [როსტომ] X,45, 46; XIII, 21
ეფრემ [ალავერდელი] IV, 66

ვ

ვამიყ დადიანი იხ. დადიანი ვამიყ
ვაჩნაძე იოსებ, ნინოწმინდელი XIV,15
ვახტანგ V, 18; X, 14
ვახტანგ ბატონიშვილი იხ. ვახტანგ V მეფე
ვახტანგ გორგასალი I, 4
ვახტანგ გურიელი იხ. გურიელი ვახტანგ
ვახტანგ V მეფე II, II, 28; IV, 38, 42; VI, 32, 33, 34, 35, 38, 39, 44; VII, 27; IX, 20, 23, 24; XI, 24
ვახტანგ VI მეფე IV 52, 55, 59, 62; VI, 43; XVI,5; XVIII, 1

ზ

ზაზა XI, 53
ზაზა სარდალი XI, 33
ზაქარია ალავერდელი IV, 72
ზაქარია ბოდბელი IV, 66
ზურაბი XI, 37

თ

თათარხანი IV, 28; VI, 25; VII,11; VIII, 18; XI, 11
თამაზ, ირანის შაჰი VI, 10, 14; IX, 5,6 XII, 2
თამაზ ყაენი II, II, 19
თამაზ ხანი IV, 69
თამარ, დავით აღმაშენებლის ასული I, 15, 18
თამარ დედოფალი, გიორგი III გურიელის მეუღლე XII, 21
თამარ დედოფალი, გიორგი XI მეუღლე IV, 44; VIII, 35
თამარ დედოფალი, თეიმურაზ II მეფის მეუღლე IX, 44

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამარ მეფე I, 21, 24; II, 5 II, II, 32
თეიმურაზ ბატონიშვილი IX, 17,25
თეიმურაზ I მეფე IV, 31, 39, 41; VI, 27, 29; VII, 13, 14; VIII, 20, 26; IX, 14; XI, 10, 13, 14, 15, 17; XVI, 2
თეიმურაზ II მეფე IV, 67
თემურ [ლენგი] (!) I, 5, 6; III, 6; IV, 6
თეოდორა, დიდი ათაბაგის ასული III, 23; IV, 27
თინათი, ბაგრატ მეფის და XIV, 12
თინათინ დედოფალი VI, 22; IX, 10
თინათინ დედოფალი XII, 14

### ი

იანქო ათაბაგი II, II, 12, 15; V, 8, 14
იასე აშოთანიშვილი IX, 32
იადობ ყაენი VII, 2; VIII, 2
იბრეიმ ხანი (ყაენის ძმა) IV, 73
იესე XI, 38
იესე ლევანის ძე, მეფე IV, 56; XVII, 1
ივანე აბუსერის ძე II, II, 1
იმამ ყული-ხანი იხ. დავით II იმამ ყული-ხანი
იოანე წინამძღვარი, ძე გივი ენისელთ მოურავისა XIV, 14
იოვანე წილკნელი IX, 29
იოვანე, მუხრანბატონის ლევანის შვილი IX, 47, 50, 51, 55
იორამ თარხანი XI, 26
იოსებ XI, 52
იოსებ გაენათელი, კათალიკოსი X, 50
ისაყ ფაშა XVI, 7
ისმაილ II, სპარსეთის შაჰი XII, 6

### კ

კაცია დადიანი იხ. დადიანი კაცია
კახი მეფე იხ. თეიმურაზ I მეფე
კვირიკე დიდი I, 12
კვირიკე კახთა I, 12
კეჭაღმაძე იოანე მღვდელი XVIII, 3
კოსტანტილე ბატონიშვილი IX, 23
კოსტანტილე მუხრანბატონი IX, 48
კოსტანტინე აფხაზთა მეფე I, 2; III, 4; IV, 4
კოსტანტინე ბატონიშვილი IX, 30
კოსტანტინე, კოსტანტინე ბატონიშვილის ძე IX, 31
კოსტანტინე, გიორგი II იმერთა მეფის ძმისწული X, 14
კოსტანტინე, კახი უფლისწული VI 24; VIII, 17; IX, 13; XI, 9
კოსტანტინე მაჰმად ყული-ხანი, კახეთის მეფე IV, 60, 68; XI, 57
კოსტანტინე II მეფე II, II, 11; V, 9, 15.

### ლ

ლალა ფაშა III, 19; IV, 22; VI, 19; VII,8; VIII, 14; IX, 9; X, 16; XI, 4
ლევან ბატონიშვილი IX, 15
ლევან II ლეონ დადიანი იხ. დადიანი ლეონ II ლევან ანუ შამადავლე
ლევან მუხრანბატონი IX, 35, 37, 38, 41, 42, 45, 50, 55
ლევან, შაჰნავაზ მეფის ძე IV, 56; VI, 44; VIII, 36; XVI, 4
ლევან დადიანი იხ. დადიანი I ლევან
ლეონ, კახეთის მეფე VI, 15; IX, 7
ლეონ იმერეთის მეფე, გიორგი მეფის ძე XV, 4
ლეონ, ლეონ მუხრანბატონის შვილიშვილი IX, 45
ლიპარი II ლიპარიტი იხ. დადიანი ლიპარი II ლიპარიტი
[ლიპარტიანი გიორგი] XIII, 18
ლომი, II, II, 27
ლორთქიფანიძე გედეონ გენათელი XIV, 9
ლორთქიფანიძე ოტია XIV, 10
ლუარსაბ ბატონიშვილი IX, 27
ლუარსაბ II მეფე III, 24; IV, 28, 30; VI, 25, 26; VII, 12; VIII, 19; XI, 8, 11
ლუარსაბ, მუხრანბატონის შვილიშვილი IX, 46

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა


მ

მაკარიოზ, ანტიოქიის პატრიარქი VI, 36; VII, 17; VIII, 29
[მალაქია] კათალიკოსი იხ. გურიელი [მალაქია] კათალიკოსი
მამია I გურიელი იხ. გურიელი I მამია
მამია II გურიელი იხ. გურიელი II მამია
მამია III გურიელი იხ. გურიელი III მამია
მამია IV გურიელი იხ. გურიელი IV მამია
მამია III დადიანი იხ. დადიანი III მამია
მამია IV დადიანი იხ. დადიანი IV მამია
მამუკა XI, 35
მამუკა, იმერთა ბატონიშვილი X, 28; XIII, 9; XIV, 6
მამუკა, მუხრანის ბატონიშვილი VI, 46, 47
მანველისშვილი ნიკოლოზ ჯუმათელი XV, 9
მანინა XI, 47
მანუჩარ III, 21; IV, 24; VI, 21; X, 17; XI, 5
მანუჩარ ბატონიშვილი XII, 17
მანუჩარ I დადიანი იხ. დადიანი I მანუჩარ
მარიამ ბატონიშვილი X, 38
მარიამ დედოფალი, დადიანის ასული X, 42
მარიამ დედოფალი, სოლომონ I მეფის მეუღლე X, 51; XIII, 23
მარიამ დედოფალი, როსტომ მეფის მეუღლე IV, 35
მარიამ დედოფალი, ვახტანგ V მეუღლე IV, 43; VIII, 33; XI, 39
მარიამყოფილი მარინე III, 15; IV, 17
მარინე იხ. მარიამყოფილი მარინე
მაჭუტაძე მაქსიმე, კათალიკოსი XIV, 7
მელეტის ეპისკოპოსი VIII, 34
მზექაბუკი II, II, 16; IV, 10; V, 19; VI, 6,; VIII, 5; X, 6
მირეიზი (მირ-ვეისი) XVII,
მიქელაძე XI, 42
მიქელაძის ქალი XIII, 10
[მურადი], თურქეთის სულთანი VI, 30; XI, 19

ნ

ნესტანდარეჯან დედოფალი XIV, 13
ნიკოლოზ ამბა ალავერდელი IV, 65
ნიკოლოზ, ზაქარია ალავერდელის ძმისწული IV, 72
ნიკოლოზ იოვანეს შვილი, IX, 50
ნიკოლოზ მღვდელი XII, 27
ნიკოლოზ რუსთველი IV, 70

ო

ომან იხ. ონოფრე ომანყოფილი
ონოფრე, ომანყოფილი IV, 64
ორბელნი I, 20
ოტია, ოტია ბატონიშვილის ძე IX, 34
ოტია ბატონიშვილი IX, 34
[ოტია] დადიანი იხ. დადიანი [ოტია]
ოტია, სვიმონ გურიელის შვილი III, 28; IV, 35; VI, 31

პ

პაისიოსი, ალექსანდრიის პატრიარქი VI, 37; VII, 17
პაპუა ბატონიშვილი IX, 18
პაპუა, იოანე მუხრანბატონის შვილი IX, 51
პაპუა მუხრანბატონი IX, 33
პაპუკა, ლევან მუხრანბატონის შვილი IX, 35
პაპუნა სარდალი XI, 27
პატა XI, 29
პატა XI, 46
პატარიძე იოანე XIII, 28
პეტრე IX, 40

რ

რატიშვილი შიოშ VI, 48
როდამ XI, 48
როდამ ბატონიშვილი III, 22

ეროვნული ბიბლიოთეკა

როსტომ გურიელი იხ. გურიელი როსტომ
[როსტომ] ერისთავი იხ. ერისთავი [როსტომ]
როსტომ მეფე III, 24; IV, 38; VI, 32, 33; VIII, 22; IX, 19; X, 29, XI, 23
როსტომ იმერეთის მეფე X, 21, 22; XIII, 4, 5,
რტისჩევი X, 63
რუსუდან მეფე I, 25, 28, 30

ს

[სააკაძე გიორგი] XI, 15
საბა I, 27
საფარიძე გედეონ მტბევარი, X, 24, 26
საყვარელიძე მელქისედეკ XIII, 2
სეფი I, ირანის შაჰი III, 26, 27; IV, 34
სეხნია სახლთუხუცესი იხ. [ჩხეიძე] სეხნია სახლთუხუცესი
სვიმონ, ბაგრატის შვილი IX, 28
სვიმონ ბატონიშვილი XII, 13
სვიმონ, ლევან მუხრანბატონის შვილი IX, 37
სვიმონ I მეფე III, 22; IV, 19, 25; VI, 17, 23; VII, 9, 10; VIII, 13, 15, 16, IX, 8, 11; XI, 3, 6; XII, 4; XIII, 4
სვიმონ ნასახჩიბაში IX, 54
სითი-ხათუნი, ამირსპასალარის და II, II, 1
სინა || სინამ ფაშა III, 20; IV, 23; VI, 20
სოთია I, 26
სოლალა XVIII, 6
სოლომონ II იმერეთის მეფე X, 54, 59, 64
სოლომონ I იმერეთის მეფე, X, 45, 46, 48, 49, 52, 53; XIII, 21, 23, 24; XV, 19, 22, 23
სულეიმან, ირანის შაჰი IV, 49

ტ

ტოტლობერი (ტოტლებენი) IX, 52

უ

უზუნ ჰასანი || უსურ ასარი II, II, 9; V, 27

ფ

ფარათ ფაშა X, 29; XIII, 11
ფეოდორე XI, 41
ფილიპე XVI, I

ქ

ქაიხოსრო ათაბაგი VI, 4; VIII; 4; X, 4
ქაიხოსრო II ათაბაგი III, 18; IV, 21; VI, 18
ქაიხოსრო ბატონიშვილი იხ. გურიელი II ქაიხოსრო
ქაიხოსრო II გურიელი იხ. გურიელი II ქაიხოსრო
ქაიხოსრო I გურიელი იხ. გურიელი I ქაიხოსრო
ქართლის მოურავი იხ. [სააკაძე გიორგი]
ქეთევან, თეიმურაზის ასული IV, 41
ქვარიანი ზაქარია, მიტროპოლიტი XIV, 7
ქრისტეფორე ბატონიშვილი, მთავარეპისკოპოსი IX, 26

ყ

ყუარყუარე დიდი ათაბაგი II, II, 10, 14; IV, 9, V, 3, 4, 9, 13; VI, 3, 4; VIII, 3, 4; X, 3
ყვარყვარე (ბროსეს მიხედვით IV) X, 9

შ

შავრაშიძე IX, 20
შაისმელი იხ. ისმაილ II სპასრსეთის შაჰი
შამადავლე დადიანი იხ. ლევან || ლეონ ანუ შამადავლე დადიანი
შარაშიძე, ჯუმათელი XV, 12
შარვაშიძე მაქსიმე, ჯუმათელი XV, 15
შასეფი || შაჰსეფი იხ. სეფი I, ირანის შაჰი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაჰაბაზი იხ. აბაზ I, ირანის შაჰი
შაჰნავაზ || შანაოზ იხ. ვახტანგ V
შაჰ სულეიმან იხ. სულეიმან, ირანის შაჰი
შთაგოლ II, II, 8

ჩ

ჩიძავაძე XI, 20
[ჩხეიძე] სეხნია, სახლთუხუცესი II, II, 33; XIV, 9
ჩხეიძე სვიმონ კათალიკოსი XIV, 9
ჩხეიძე || ჩხიძე სახლთუხუცესი იხ. (ჩხეიძე) სეხნია სახლთუხუცესი

ც

ცაცისშვილი XI, 25
ციციშვილი მარიამ XI, 50
ციციშვილი სახლთუხუცესი XIII, 11

წ

წულუკიძე X, 45; XIII, 21
წყმენდიძე საბა X, 13

ჭ

ჭილაძე XIII, 10

ხ

ხალი ფაშა XV, 14
ხვანთქარი იხ. (მურად) თურქეთის სულთანი
ხოსრო, ვახტანგის შვილი X, 14
ხოჯა ყაენი იხ. ალა-მაჰმად-ხან ყაჯარი
ხუარამზე დედოფალი XII, 19

## ბ. გეოგრაფიული

ა

აზრუმი XIII, 17
აილათი VI, 45
აყუ XVIII, 5
ალექსანდრია VI, 37; VII; 17; VIII, 29
ანანური VI, 47
ანტიოქია VI, 36; VII, 17; VIII, 29
ანძილახის საყდარი X, 31
არაგვი VII, 13; VIII, 20
არადეთი V, 9
არტანუჯი III, 13; IV, 15; VI, 13; VIII, 11
ასკანა XV, 22
ასტრაბათი IV, 39
აფხაზეთი IX, 20; XIV, 7; XVIII, 1, 3
აწყური || აწყვერი || აწყუწრი II, II, 13; IV, 8; V, 11, VI,2, 21; VII, 2; VIII, 2; IX, 53; XII, 7
აჭარა X, 45; XII, 15
ახალქალაქი X, 9
ახალციხე II, II, 5, 13; V, 11, VI, 2; VII, 2; VIII, 2; IX, 53; X, 38, 45, 55; XII, 8; XV, 21

ბ

ბანძა X, 29; XIII, 11; XIV, 8, 12
ბაღდათი X, 48
ბუკის ციხე XV, 22

გ

განჯა VI, 47; VIII, 33; XI, 15;XII,9
გელათი || გაელათი V, 16; X, 5, 19; XIII I,2,3; XIV, 1, 3, 13; XV, 1, 2, 7, 19
გირიშკი VI, 45
გოდოგანი X, 37
გორი V, 16; VI, 47; XI, 18
გოჭოურა XIII, 6; XIV, 4
გურია VII, 16; XV, 11, 14, 22

დ

დიმიშტი I, 5
დუალეთ-ოსეთი X, 22

ე

ერანი VI, 47
ერევანი III, 26; IV, 33; VI, 30, 47; VII, 19; VIII, 23; XI, 9

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვ

ვაკე XIII, 18

თ

თავრიზი || თავრეზი || თავრეჟი I, 6; III, 6; IV, 6; VI, 47; XII,4
თიანეთი VI, 42

ი

იმერეთი VI, 14, 35, 43; VII, 16; VIII, 28, 36; IX, 6, 20, 21; X, 14, 25, 30, 35, 40, 47, 54, 61,63; XIII, 14, 16; XIV, 9; XV, 16, 19,21; XVIII, 2
ისპანი XVII, 4

კ

კარი 1, 24
კახეთი IV, 29, 47, 60, 67, 69, 71; VI, 5, 47; IX, 16; XI, 14; XVI,4
კოსტანტინეპოლი || კოსტანტიპოლი II, 4; II, I!, 7, 31; III, 5; IV, 5; V, 1; VI, 1; VII, 1; VIII, 1; IX, 1; XII,1

ლ

ლეჩხუმი X, 59
ლექოური XV, 22
ლიხთ-იმერეთი XI, 14
ლორე I, 19

მ

მაოლაკი X, 41
მელეტი VIII, 34
მოსკოვი X, 62
მოხისი V, 18
მცხეთა იხ. სვეტიცხოველი
მურჯახეთი II, II, 17; III, 9; IV, !1; V, 22; VI, 8; VII, 4; VIII, 7; IX, 4; X, 8
მუხრანი VI, 5, 47; IX, 2
მჭადისჯვარი VI, 49

ნ

ნიგლის ჭევი XI, 11
ნინოწმინდა VI, 42

ო

ოდიში VI, 35; IX, 20; XIII, 14; XVIII, 6
ოვსეთი I, 16
ოსეთი, დუვალეთი X, 22
ოქრიბა XV, 23
ოფიშკჳდი || ოფისკუჱი XI, 6; XIV,2
ოცხე II, II, 21; III, 17; IV, 20

რ

რაჭა X, 60; XIII, 18
როკითი || როკვეთი X, 36; XII, 23
რუსთავი XVI, 7
რუხვი X, 52
რუსეთი IV, 62; VI, 47; IV, 49; X, 65; XVII,3

ს

საათაბაგო IX, 53; X, 9
საბექას ციხე XIII, 17
საბერძნეთი III, 5; VI, 1; IX,1
სამცხე II, II, 13; IV,8; V, 2, 11; VI, 2; VII, 2; VIII,2; X, 20;X,11
საქართველო V, 7; VI, 47; IX,53; XIV,8
სვანეთი IX, 20
სვეტიცხოველი III, 29, IV, 37;VI,46
სინა VI, 37; VII, 17
სიონი [თბილისის სიონი] IV,53
სომხითი XII, 2
სტამბოლი VI, 47; XIV,8
სუჯუნის საყდარი XV,19

ტ

ტაო III, 11, 12; IV, 13, 14; V,25, 26; VI, 11, 12; VIII, 9, 10
ტრაპიზონი X, 64

ტფილისი V, 20, 24; VI, 10; IX, 5; X, 56
ფარცხანაყანევი XIII, 18
ფარცხისი IV, 19; VIII, 13; XI,3

ქ

ქალაქი იხ. ტფილისი
ქალაქი იხ. ქარალაქი
ქარღლაქი || ქარაბაკი || ქარხაკი III, 11; IV, 13; V, 25; VI, 11,VIII,9
ქართლი II, II, 11, 19; IV, 13, 28, 47, 56, 60, 69, 71; VI, 5, 14, 25, 39, 40, 45,47; VII, 11; VIII, 37, IX, 2, 6, 16, 20;X, 58, XI, 7, 11, 15; XII, 2, 4; XVI, 2; XVII, 3
ქირმანი VI, 45
ქუთაისი V, 10, 16; X, 5, 31, 33, 34, 48; XIII, 1, 13, 14, 15; XV,1

შ

შავშეთი XI, 11
შალეთი XII, 14
შამახაი || შემახია I, 23; VI, 47
შარვანი || შირვანი I, 15, 23
შორაპანი X, 48; XIII, 17

ჩ

ჩალიანი I, 21
ჩიხორი V, 3; X, 43; XIII, 20
ჩოჩხათი XV, 15
ჩხარი II, II, 33; XIII, 19
ჩხერი X, 49

ც

ციხედიდი VI, 15; IX, 7; XI, 2
ცუცხვათი X, 48

ძ

ძალისი VI, 5

წ

წილკანი VI, 46
წყალწითელა XIV, 13

ჭ

ჭალატყის ციხე XIII, 17
ჭარი IV, 73
ჭიშურა XIV, 13

ხ

ხევი IX, 49; XII, 2
ხრესილი X, 45; XIII, 21

ჴ

ჴუნზახი VI, 49

ჯ

ჯიქეთი IX, 20; X, 7

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი . . . . . . . . . . 3
ტექსტები . . . . . . . . . . 22
კომენტარები . . . . . . . . 78
საძიებლები . . . . . . . . . 136

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**Джумбер Эммануилович Одишели**

Малые хроники

(исторические приписки пасхалиев)

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

რედაქტორი ნ. შოშიაშვილი
გამომცემლობის რედაქტორი დ. ლეჟავა
ტექრედაქტორი ნ. ბოკერია
კორექტორი ი. დონაძე

გადაეცა წარმოებას. 11.10.1968; ხელმოწერილია დასაბეჭდად 30.9.68;
ქაღალდის ზომა 60×1/16; ნაბეჭდი თაბახი 8.77; სააღრიცხვო-საგამომცემლო
თაბახი 7.88; უე 01478; ტირაჟი 600; შეკვეთა № 2523;

ფასი 55კაპ.

---

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 60, კუტუზოვის ქ., 15
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 60, ул. Кутузова, 15

---

გამომცემლობა „მეცნიერების“ სტამბა, თბილისი, 60, კუტუზოვის ქ., 15
Типография Издательства «Мецниереба», Тбилиси, 60, ул. Кутузова, 15

ქ. 6/148

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ⴄ | ⴋⴐ | ⴡ | ⴀⴎ | ⴈⴄ | ⴆⴀⴒ | ⴃ | ⴀⴎ | ⴉⴂ | ⴉⴡ | ⁘ |
| ⴂ | ⴔⴁ | ⴈⴇ | ⴀⴎ | ⴈ | ⴆⴀⴒ | ⴈ | ⴀⴎ | ⴅ | ⴅ | ⁘ |
| ⴂ | ⴔⴁ | ⴈⴂ | ⴋⴐ | ⴉⴈ | ⴆⴀⴒ | ⴂ | ⴋⴐ | ⴌ | ⴈⴇ | ⁘ |
| ⴆ | ⴋⴐ | ⴃ | ⴀⴎ | ⴈⴂ | ⴆⴀⴒ | ⴃ | ⴀⴎ | ⴈⴇ | ⴌ | ⁘ |
| ⴈ | ⴔⴁ | ⴈⴈ | ⴀⴎ | ⴃ | ⴆⴀⴒ | ⴡ | ⴀⴎ | ⴆ | ⴈⴂ | ⁘ |
| ⴡ | ⴔⴁ | ⴄ | ⴋⴐ | ⴉⴃ | ⴆⴀⴒ | ⴂ | ⴋⴐ | ⴉⴄ | ⴉⴃ | ⁘ |
| ⴂ | ⴔⴁ | ⴉⴄ | ⴀⴎ | ⴈ | ⴆⴀⴒ | ⴂ | ⴀⴎ | ⴈⴈ | ⴂ | ⁘ |
| ⴃ | ⴔⴁ | ⴈⴂ | ⴋⴐ | ⴌ | ⴆⴀⴒ | ⴄ | ⴋⴐ | ⴌⴂ | ⴈⴆ | ⁘ |
| ⴂ | ⴋⴐ | ⴂ | ⴀⴎ | ⴈⴅ | ⴆⴀⴒ | ⴡ | ⴀⴎ | ⴉ | ⴉⴈ | ⁘ |
| ⴆ | ⴔⴁ | ⴉⴂ | ⴀⴎ | ⴄ | ⴆⴀⴒ | ⴂ | ⴀⴎ | ⴈⴃ | ⴡ | ⁘ |
| ⴡ | ⴔⴁ | ⴈⴈ | ⴋⴐ | ⴉⴄ | ⴆⴀⴒ | ⴂ | ⴀⴎ | ⴂ | ⴈⴄ | ⁘ |
| ⴄ | ⴔⴁ | ⴉⴄ | ⴀⴎ | ⴈⴈ | ⴆⴀⴒ | ⴄ | ⴀⴎ | ⴡ | ⴉⴅ | ⁘ |
| ⴂ | ⴔⴁ | ⴈⴇ | ⴀⴎ | ⴇ | ⴆⴀⴒ | ⴆ | ⴀⴎ | ⴅ | ⴇ | ⁘ |
| ⴃ | ⴔⴁ | ⴈⴂ | ⴋⴐ | ⴉⴆ | ⴆⴀⴒ | ⴂ | ⴋⴐ | ⴌⴂ | ⴉ | ⁘ |
| ⴆ | ⴋⴐ | ⴃ | ⴀⴎ | ⴈⴃ | ⴆⴀⴒ | ⴂ | ⴀⴎ | ⴈⴇ | ⴂ | ⁘ |
| ⴈ | ⴔⴁ | ⴈⴈ | ⴀⴎ | ⴂ | ⴆⴀⴒ | ⴈ | ⴀⴎ | ⴆ | ⴈⴃ | ⁘ |
| ⴡ | ⴔⴁ | ⴄ | ⴋⴐ | ⴉⴂ | ⴆⴀⴒ | ⴃ | ⴋⴐ | ⴉⴄ | ⴉⴂ | ⁘ |
| ⴄ | ⴔⴁ | ⴉⴄ | ⴀⴎ | ⴇ | ⴆⴀⴒ | ⴂ | ⴀⴎ | ⴡ | ⴆ | ⁘ |
| | ⴔⴁ | ⴈⴃ | ⴋⴐ | ⴉⴇ | ⴆⴀⴒ | ⴡ | ⴋⴐ | ⴌⴂ | ⴈⴈ | ⁘ |
| | ⴋⴐ | ⴂ | ⴀⴎ | ⴈⴄ | ⴆⴀⴒ | ⴈ | ⴀⴎ | ⴉ | ⴉⴡ | ⁘ |